ISSN 0206—569X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-ჯს/3
1986

27

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

3.1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე",
ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1986, № 3

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

# ეკონომიკისა და სამართლის სერია

# СЕРИЯ ЭКОНОМИКИ И ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

3. 1986

გამომცემლობა „მეცნიერება“ • თბილისი
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА» • ТБИЛИСИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სარედაქციო კოლეგია:** ა. გუნია (რედაქტორი), ო. გამყრელიძე, მ. გველესიანი, პ. გუგუშვილი, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, გ. ნადარეიშვილი, ი. ფუტკარაძე, თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიკვაიძე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

**პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია**

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Гуния А. Л.** (редактор), **Гамкрелидзе О. К., Гвелесиани М. И., Гугушвили П. В., Тодуа Г. С., Лилуашвили Т. С., Надареишвили Г. Н., Путкарадзе Я. В., Чикава Л. Л., Чикваидзе Т. Н.,** (зам. редактора), **Шавгулидзе Т. Г.** (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1986, № 3.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, მახარაძის ქ. № 14
Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Махарадзе, 14

**ტელეფონი 93-22-60 телефон**

გადაეცა წარმოებას 6. 5. 86; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 8. 86; შეკვ. № 1447; ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108$^{1}/_{16}$; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 10,2; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,4; საღ.-გატარება 10,6; უე 10804; ტირაჟი 900;

**ფასი 85 კაპ.**

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შინაარსი

### ეკონომიკა

ლ. ჩიქავა, ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერება ახალ ხუთწლედში . 5
ი. ცისკარიშვილი, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების პირდაპირი სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო კავშირები და მართვის რესპუბლიკური ორგანოების როლი მათ განხორციელებაში . . . . . . 15
ნ. არევაძე, პროდუქციის მასალატევადობის შემცირების ძირითადი მიმართულებანი 22
მ. კაკულია, ტრანსნაციონალური ბანკები კაპიტალის მსოფლიო ბაზრების ეკონომიკური დაყოფისათვის ბრძოლაში . . . . . . . . . . . . . 30
ს. პავლიაშვილი, ძირითადი საწარმოო ფონდების კვლავწარმოება საქართველოს სსრ ელექტროტექნიკურ მრეწველობაში . . . . . . . . . . . . 40
რ. ახმეტელი, განათლებრივი პოტენციალის ფორმირების შესახებ . . . . . 49
ლ. დათუნაშვილი, ცენტრალიზებული ფონდების როლი რაიონული აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების საქმეში . . . . . . . . . . . . 59
ნ. ცომაია, თ. ლორთქიფანიძე, ავამაღლოთ რაიონული სამომხმარებლო კოოპერაციის ეფექტიანობა . . . . . . . . . . . . . . . . . 68
თ. აქუბარდია, საკურორტო მეურნეობის ძირითადი ფონდების ეფექტიანობის მაჩვენებლების საკითხისათვის . . . . . . . . . . . . . . 72

### სამართალი

ე. მისკარიანი-შეყრილაძე, ოჯახის დაცვა სკკპ XXVII ყრილობის შუქზე . . . 78
გ. ნადარეიშვილი, სასჯელების ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში („შვიდეული“) 84
დ. მეტრეველი, ნარკოტიკების უკანონოდ დამზადებისა და გავრცელების სუბიექტი 95

### რეცენზია, ინფორმაცია, ქრონიკა

კანონი და კანონქვემდებარე აქტი (თ. ლილუაშვილი, „სოციალისტური კანონიერების არსი და მნიშვნელობა) . . . . . . . . . . . . . . . 101
ორიგინალური გამოკვლევა . . . . . . . . . . . . . . 106
ნაშრომი ეკონომიკური ზრდის საკვანძო პრობლემაზე . . . . . . . . 110
წიგნი რეგიონალურ მეცნიერულტექნიკურ პოლიტიკაზე . . . . . . . 113

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# СОДЕРЖАНИЕ

## Экономика

**Чикава Л. Л.**, Усиление социальной ориентации экономики в новой пятилетке . . . 5
**Цискаришвили И. Э.**, Прямые научно-технические и производственные связи стран — членов СЭВ и роль республиканских органов управления в их осуществлении . . . 15
**Аревадзе Н. Г.**, Основные направления снижения материалоемкости продукции . . . 22
**Какулия М. Р.**, Транснациональные банки в борьбе за экономический раздел мировых рынков капитала . . . 30
**Павлиашвили С.**, Воспроизводство основных фондов в электротехнической промышленности республики . . . 40
**Ахметели Р. О.**, О формировании образовательнного потенциала . . . 49
**Датунашвили Л. Е.**, Роль централизованных фондов в деле развития агропромышленного комплекса . . . 59
**Цомая Н. П., Лордкипанидзе Т. Д.**, О повышении эффективности районной потребительской кооперации . . . 68
**Акубардия Т. Г.**, К вопросу о показателях эффективности основных фондов курортного хозяйства . . . 72

## Право

**Мискарян-Шекриладзе Е. Г.**, Защита и охрана семьи в свете решений XXVII съезда КПСС . . . 78
**Надарейшвили Г. Н.**, Из истории имущественных показаний в феодальной Грузии («семерица») . . . 84
**Метревели Д. Е.**, Субъект преступления, заключающегося в незаконном изготовлении и распространении наркотиков . . . 95

## Рецензия, информация, хроника

Закон и подзаконный акт . . . 101
Оригинальное исследование . . . 106
Труд об узловой проблеме роста экономики . . . 110
Книга о региональной научно-экономической политике . . . 113

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეო ჩიქავა

# ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერება ახალ ხუთწლედში

18526

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა შესაბამისად სკკპ ეკონომიკური სტრატეგიის უზენაესი მიზანი იყო და არის თითოეული საბჭოთა ადამიანის სრული კეთილდღეობისა და ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფა. ამ მიზნის რეალიზაციისკენაა მიმართული პარტიის სოციალური პოლიტიკა. მას, როგორც პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაშია აღნიშნული, პარტია მიიჩნევს ქვეყნის განვითარების დაჩქარების, მასების შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ამაღლების, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების, სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრების მძლავრ საშუალებად, საზოგადოების პოლიტიკური სტაბილურობის დიდმნიშვნელოვან ფაქტორად.

პარტიის სოციალური პოლიტიკის ძირითადი ამოცანებია: საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და შრომის პირობების განუხრელი გაუმჯობესება; საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპის სულ უფრო სრულად განხორციელება; კლასების, სოციალური ჯგუფებისა და ფენების დაახლოება, უპირატესად გონებრივი და უპირატესად ფიზიკური შრომის ადამიანებს, ქალაქსა და სოფელს შორის არსებით განსხვავებათა დაძლევა; ეროვნულ ურთიერთობათა სრულყოფა, ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ძმური მეგობრობის განმტკიცება.

სკკპ აყენებს პროგრამული მნიშვნელობის ამოცანას — ავიყვანოთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა თვისებრივად ახალ საფეხურზე, უზრუნველვყოთ მატერიალური, სოციალური და კულტურული დოვლათის მოხმარების ისეთი დონე და სტრუქტურა, რომელიც ყველაზე სრულად უპასუხებს ყოველმხრივ განვითარებული, სულიერად მდიდარი პიროვნების ჩამოყალიბების, საბჭოთა ადამიანების შესაძლებლობების, უნარისა და ნიჭის ყველაზე სრული გამოვლენის ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნებს საზოგადოების ინტერესებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ მომავალი თხუთმეტწლეულისათვის დასახულია გაორკეცდეს ხალხის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად განკუთვნილი რესურსების მოცულობა. ამ მიმართულებით დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება მიმდინარე ხუთწლედში.

როგორც პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებშია ხაზგასმული, მეთორმეტე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის, შექმნილი წარმოებრივი პოტენციალის ინტენსიურად გამოყენების, მართვის სისტემის, მეურნეობრივი მექანიზმის სრულყოფის ბაზაზე ეკონომიკური განვითარების ტემპებისა და ეფექტიანობის ამაღლება და ამის საფუძველზე საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების მიღწევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის მიერ დასახული ფართო პროგრამის რეალიზაციის მატერიალური საფუძველია ეროვნული შემოსავლის წარმოების მკვეთრი გადიდება და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის მისი სულ უფრო მზარდი ნაწილის გამოყოფა. ამჟამად ქვეყანაში შექმნილი ეროვნული შემოსავლის სამი მეოთხედი გამოიყენება მოხმარებისათვის. საბინაო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაზე გაწეული ხარჯების გათვალისწინებით კი მოხმარების ფონდის ხვედრითი წილი ეროვნული შემოსავლის საერთო მოცულობაში დაახლოებით ოთხ მეხუთედს შეადგენს. მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი ოთხი წლის (1981-1984 წწ.) მანძილზე წინა ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან (1976—1979 წწ.) შედარებით ეს თანხა 248 მილიარდი მანეთით გაიზარდა.

ამ მიმართულებით მეთორმეტე ხუთწლედსა და 2000 წლამდე პერიოდში კიდევ უფრო ფართო მასშტაბის პერსპექტივები ისახება. გათვალისწინებულია უახლოეს თხუთმეტწლეულში ეროვნული შემოსავლის წარმოება ქვეყანაში თითქმის 2-ჯერ გადიდდეს. ამასთან, მოხმარების ფონდის მოცულობის ზრდის დაჩქარების ტენდენცია კიდევ უფრო გამოკვეთილ სახეს მიიღებს.

მეთორმეტე ხუთწლედის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ეროვნული შემოსავლის ზრდის მაღალი ტემპი და მატების ფართო მასშტაბი. საკმარისია ითქვას, რომ აბსოლუტური მატება 1986—1990 წწ. გაიზრდება 1,6-ჯერ, მაშინ როცა განვლილ ხუთწლედში ეს მაჩვენებელი შემცირდა კიდეც. ეროვნული შემოსავალი მეთორმეტე ხუთწლედში 16,5 პროცენტით გაიზარდა, ახალ ხუთწლედში კი დასახულია მისი 22,1 პროცენტით გადიდება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ეროვნული შემოსავლის მატების ერთი პროცენტის აბსოლუტური მაჩვენებელი 1990 წელს ერთი მილიარდი მანეთით მეტი იქნება 1985 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, სავსებით ნათელი გახდება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამ განმაზოგადებელი მაჩვენებლის ზრდის გრანდიოზულობა.

ასეთ მძლავრ მატერიალურ ბაზაზე დაყრდნობით, როგორც სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებშია აღნიშნული, პარტია სახავს ამოცანას გავაძლიეროთ ეკონომიკის განვითარების სოციალური ორიენტაცია, მისი მიმართვა პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის საუკეთესო პირობების შესაქმნელად, სოციალისტური ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის გასააქტიურებლად. ეს არის ძლიერი სოციალური პოლიტიკის არსი საბჭოთა კავშირში საზოგადოებრივი პროგრესის დაჩქარების პირობებში. დასახულია მშრომელთა ცხოვრების დონის სინთეზური მაჩვენებელი — რეალური შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ჩვენს ქვეყანაში უახლოეს თხუთმეტწლეულში 60—80 პროცენტით, ხოლო მეთორმეტე ხუთწლედში 14 პროცენტით გადიდდეს.

1986 წელს ჩვენს რესპუბლიკაში არაწარმოებრივ მოხმარებასა და საბინაო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას მოხმარდება 7,2 მილიარდი მანეთი ანუ წინა წელთან შედარებით 7,9 პროცენტით მეტი. ცხოვრების დონის ესოდენ მასშტაბური ამაღლების შესაძლებლობანი ქვეყანას განვითარების წინა საფეხურებზე არ ჰქონია.

როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა უნდა ემყარებოდეს მატერიალური დაინტერესების პრინციპს. ამიტომ სოციალიზმის დროს პირადი მოხმარებისათვის განკუთვნილი მატერიალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოვლათისა და მომსახურებათა მთელი მასიდან აუცილებელია უპირველეს ყოვლისა გამოიყოს ის ნაწილი, რომელიც საჭიროა შრომის მწარმოებლურობის ზრდისა და წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მატერიალური წახალისებისათვის. სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავს სოციალისტურ საზოგადოებაში მშრომელთა ძირითადი მასის პირად მოხმარებაში შრომის მიხედვით, უფრო ზუსტად, შრომის საბოლოო შედეგებში თითოეული მუშაკის მიერ შეტანილი რეალური წვლილის მიხედვით ანაზღაურების გადამწყვეტ როლს. ჩვენი ქვეყნის მუშათა და მოსამსახურეთა რეალურ შემოსავალში მისი ხვედრითი წილი დღეისათვის თითქმის სამ მეოთხედს შეადგენს. პერსპექტივაშიც, სოციალიზმის სრულყოფის ხანგრძლივი დროის მანძილზე, იგი რჩება მშრომელთა შემოსავლის ძირითად წყაროდ. ამიტომ პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში მართებულადაა მითითებული იმის თაობაზე, რომ აუცილებელია გამუდმებით „სრულვყოთ ხელფასის სისტემა, რათა იგი სრულად ითვალისწინებდეს შრომის ოდენობასა და ხარისხს, მის პირობებსა და შედეგებს, ასტიმულირებდეს მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ყოველგვარი რესურსების ეკონომიას“. ქვეყნის მასშტაბით ახალ ხუთწლედში დასახულია მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გავზარდოთ 15 პროცენტით და 1990 წლისათვის ავიყვანოთ 218 მანეთამდე (ნაცვლად 1985 წლის 190 მანეთისა); გავადიდოთ შრომის ანაზღაურების ეფექტიანობა, უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ მუშაკთა გასამრჯელოს ოდენობა მათი შრომის საბოლოო შედეგებს, გადაჭრით აღმოვფხვრათ გათანაბრების ელემენტები, გავაძლიეროთ მუშაობაში ნაკლოვანებებისა და ხარჯებისათვის მატერიალური და მორალური პასუხისმგებლობა.

ხელფასის გადიდების დასახული პროგრამის რეალიზაციას განაპირობებს: ჯერ ერთი, ხელის, დაბალკვალიფიციური შრომის შემცირება და თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით წარმოების მუშაკთა შემადგენლობაში ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერ მუშაკების, აგრეთვე მაღალკვალიფიციური და უმაღლესი თანრიგების მქონე მუშების ხვედრითი წილის გადიდება; მეორე, პროფესიათა შეთავსების სისტემის ფართოდ გამოყენება; მესამე, ხელფასის მინიმალური დონის, აგრეთვე მცირე და საშუალო ხელფასიან მუშაკთა თვიური სატარიფო განაკვეთებისა და სარგოების გაზრდა; მეოთხე, ხელფასის რეგიონული რეგულირების სრულყოფა; და ბოლოს, მაღალი წარმოებრივი მაჩვენებლებისათვის ანაზღაურების პრემიალური სისტემის გაფართოება.

პარტიის კურსი ითვალისწინებს მთელი მოსახლეობის შემოსავალთან შედარებით ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების შემოსავლის უფრო სწრაფი ტემპებით გადიდებას. ამის შედეგია ის, რომ თუ 1960 წელს მოსახლეობის მხოლოდ 4 პროცენტს და 1970 წელს 18 პროცენტს ჰქონდა ოჯახის ერთ წევრზე თვეში 100 მანეთზე მეტი შემოსავალი, ამჟამად ასეთი შემოსავალი აქვს მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტს. მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მკვეთრად გაიზრდება. მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის, — ნათქვამია პარტიის XXVII ყრილობის მასალებში, ყველა ოჯახის 50 პროცენტზე მეტს ერთ სულზე ექნება 125 მანეთზე მეტი საშუალო თვიური შემოსავალი. პრაქტიკულად არ იქნება ოჯახი, რომელსაც ერთ სულზე საშუალოდ თვეში დაახლოებით 50 მანეთი შემოსავალი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდეს. ამ ამოცანის გადაწყვეტას ხელს შეუწყობს ის გარემოება, რომ საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის კვალობაზე უწინარეს ყოვლისა და წინმსწრები ტემპით მუშა-მოსამსახურეთა სწორედ მინიმალური ხელფასი მოიმატებს. გადიდდება აგრეთვე საშუალო ხელფასიან მუშაკთა მთელი რიგი კატეგორიის თვიური სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები.

გათვალისწინებულია ახალ ტარიფებსა და სარგოებზე გადასვლა (მათი გადიდება საშუალოდ 25-30 პროცენტით) მატერიალური წარმოების დარგებში განხორციელდეს შემჭიდროებულ ვადებში — პრაქტიკულად ერთი ხუთწლედის განმავლობაში. თანაც შემუშავებულია პრინციპულად ახალი, აქტიური მიდგომა ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო სახსრების წყაროების საკითხისადმი. დასახულია ამიერიდან საამისოდ საჭირო სახსრები გამოიმუშაონ უმთავრესად თვით შრომითმა კოლექტივებმა წარმოების, მისი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების, შინაგანი რეზერვების მობილიზაციის, შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების გაუმჯობესების გზით. ასეთი წესი უფრო აქტიურ ზემოქმედებას მოახდენს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე.

ახალ ხუთწლედში დიდძალი სახსრები მოხმარდება არაწარმოებრივი დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურების გადიდებას. 1987 წელს, როგორც სკოლის რეფორმით არის გათვალისწინებული, დამთავრდება სახალხო განათლების ყველა მუშაკის გადაყვანა ანაზღაურების ახალ პირობებზე. ეტაპობრივად მოემატებათ ხელფასი ექიმებს, სხვა სამედიცინო პერსონალს. მიმდინარე ხუთწლედში გაიზრდება აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, უმაღლესი სკოლების, ცალკეული კატეგორიების მუშაკთა განაკვეთები და სარგოები. ეს ღონისძიებები ნათლად გამოხატავენ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სისტემატურ ზრუნვას სოციალურ-კულტურული სფეროს შემდგომი განვითარებისათვის.

1986—1990 წწ. ჩვენი რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 13,4 პროცენტით მოიმატებს და 1990 წ. 190 მანეთს მიაღწევს. იგი შესაბამის საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე 24 მანეთით ნაკლებია, რაც მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით აიხსნება, ობიექტურ მიზეზებს შორის აღსანიშნავია წარმოების სპეციფიკური დარგობრივი სტრუქტურა (შრომატევადი, რთული შრომის მომთხოვნი დარგების შედარებით დაბალი ხვედრითი წონა), ხელფასის ე. წ. რაიონული კოეფიციენტების დაწესების საჭიროების არარსებობა და სხვ. სუბიექტურ მიზეზს კი წარმოადგენს საშუალო საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით წარმოების მთელ რიგ დარგებში შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე, რაც მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს მისი ამაღლების კარდინალური დაჩქარების ამოცანას.

მართალია, ჩვენს რესპუბლიკაში (განსაკუთრებით კოლმეურნეობების ბაზაზე შექმნილ საბჭოთა მეურნეობებში) მუშათა და მოსამსახურეთა შედარებით დიდი ნაწილი, ვინემ სსრ კავშირში საშუალოდ, პირადი დამხმარე მეურნეობიდან მნიშვნელოვანი ოდენობით ღებულობს შემოსავალს, რაც ხელფასის შედარებით დაბალი დონის ერთგვარ კომპენსაციას ახდენს, მაგრამ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი მაინც მკვეთრ გაზრდას საჭიროებს. მისი განხორციელების გზებია: საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის დაჩქარებული ტემპით გადიდება; თითოეული მუშაკის გამომუშავების გაზრდა მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების საქმიანობის ყველა სფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როში სწრაფად დანერგვისა და რაციონალურად გამოყენების საფუძველზე; მუშათა და მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლება, რთული შრომის მომთხოვნი დარგების ხვედრითი წონის ამაღლება და სხვ.

უკანასკნელ წლებში განხორციელებულ ქმედით ღონისძიებათა შედეგად კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი თანდათანობით უახლოვდება მუშათა და მოსამსახურეთა რეალურ შემოსავალს. ქვეყნის მუშათა და მოსამსახურეთა რეალურ შემოსავალთან შედარებით კოლმეურნეთა რეალური შემოსავლის დონე ოჯახის წევრზე გაანგარიშებით თუ 1960 წელს 70 პროცენტს არ აღემატებოდა 1970 წელს 80 პროცენტს მიაღწია, ხოლო 1984 წელს 90 პროცენტს გადააჭარბა. ეს კურსი გაგრძელდება მომავალშიც. ამის დასტურია ის გარემოება, რომ 1986—1990 წწ. ხუთწლიანი გეგმით დასახულია კოლმეურნეთა საშუალო თვიური ხელფასის ზრდამ მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასის გადიდებას 3 პროცენტული პუნქტით გაუსწროს. შრომის მწარმოებლურობის დასახული გადიდების შესაბამისად შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობებში ხუთწლედის დასასრულისათვის საშუალოდ თვეში 180 მანეთს მიაღწევს.

მუშა-მოსამსახურეებთან შედარებით კოლმეურნეთა რეალურ შემოსავალში (განსაკუთრებით საქართველოში) ჯერ კიდევ საგრძნობი ხვედრითი წილი უკავია პირადი დამხმარე მეურნეობიდან მიღებულ შემოსავალს. პერსპექტივაში, მართალია, მისი ხვედრითი წილის გადიდება არაა გათვალისწინებული, მაგრამ იგი მიმდინარე ხუთწლედსა და 2000 წლამდე პერიოდში კვლავაც დარჩება კოლმეურნეთა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ, ამიტომ დასახულია მისი განვითარებისადმი სახელმწიფო ორგანოების მხრივ ყოველმხრივი ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ პირადი დამხმარე მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის გათვალისწინებით კოლმეურნეთა შემოსავალი 1990 წლისათვის პრაქტიკულად გაუთანაბრდება მუშა-მოსამსახურეთა შემოსავალს.

შრომის საბოლოო შედეგებში მუშაკთა რეალური წვლილის მიხედვით განაწილება სოციალისტური საზოგადოების წევრთა შორის მოხმარების ფონდის განაწილების ძირითადი, მაგრამ არა ერთადერთი ფორმაა. მოხმარების ფონდის განუწყვეტლივ მზარდი ნაწილი მოსახლეობის ხელში მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების სახით გადადის. ამ უკანასკნელს (ყოველ შემთხვევაში მის უდიდეს ნაწილს) სხვანაირად „უხილავ შემოსავალს“ უწოდებენ, რამდენადაც უფასო და შეღავათიან პირობებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სამედიცინო მომსახურება, ბავშვებისა და მოზარდთა საზოგადოებრივი აღზრდა და შენახვა, განათლებისა და კულტურული განვითარების უზრუნველყოფა, მშრომელთა დასვენების ორგანიზაცია ან თუნდაც საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა და სახელმწიფოს ხარჯზე მისი შენახვა ისეთი ხილული შემოსავალი არ არის, როგორიც მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი ან კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების არსებობის გარეშე მრავალშვილიანი ოჯახები და შედარებით დაბალხელფასიანი მშრომელები ვერ შესძლებდნენ სწავლის, სამედიცინო მომსახურებისა და სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა შენახვის მნიშვნელოვანი ოდენობის ხარჯების დაფარვას; ვერ მოახერხებდნენ კეთილმოწყობილ ბინებში ცხოვრებას. ასეთი ოჯახების ხელფასი ძირითადად ყველაზე უფრო საჭირო და აუცილებელი მოხმარების საგნებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიხარჯებოდა. ამავე დროს უშვილო და შედარებით მაღალშემოსავლიანი ოჯახები უფრო ხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდებოდნენ.

სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკაში მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების სახით სწორედ ისეთი საუკეთესო საშუალება იქნა გამონახული, რომელიც ხელს უწყობს შრომის მიხედვით განაწილების შედეგად სულადობრივი მოხმარების დარგში არსებული მკვეთრი სხვაობის ლიკვიდაციას და მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების მეშვეობით სოციალისტური სახელმწიფო საზოგადოების ყველა წევრს ერთნაირად ხელსაყრელ პირობებს უქმნის ისეთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, როგორიცაა სწავლა-განათლება და ჯანმრთელობის დაცვა. სოციალისტურ საზოგადოებაში ახალგაზრდობის აღზრდა და განათლების მიღება არ შეიძლება მხოლოდ მშრომელთა პირად შემოსავალზე, ოჯახების მატერიალურ მდგომარეობაზე იყოს დამოკიდებული. მოთხოვნილება განათლებაზე მეტისმეტად სპეციფიკური ხასიათისაა. იგი არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივ საგნებზე არსებული მოთხოვნილებისაგან. ამიტომ ის ყველაზე სრულად შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ განსაზღვრული საზოგადოებრივი ორგანიზაციის საფუძველზე, ე. ი საზოგადოების ყველა წევრის მიერ ერთობლივად.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე ხორციელდება აგრეთვე მშრომელთა სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა. ეს სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების დიდი ჰუმანურობის მაჩვენებელია. სოციალისტური პრინციპებისათვის შეუთავსებელია ის, რომ მოხუცებულთა და საზოგადოების სხვა შრომისუნარდაკარგულ წევრთა შენახვა ხორციელდებოდეს მხოლოდ ახლობელთა დახმარებით ან საკუთარი ფულადი დანაზოგით. სოციალისტური საზოგადოება გარანტირებულს ხდის მოქალაქეთა დამშვიდებულ ცხოვრებას მათი შრომითი საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ.

ამრიგად, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების წარმოქმნა და მათ საფუძველზე სოციალისტური საზოგადოების წევრთა რიგი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს. იგი ექსპლოატაციისაგან თავისუფალ მუშაკთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლების მძლავრი საშუალებაა. ამიტომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებენ და მომავალშიც თანამიმდევრულად განახორციელებენ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების დაჩქარებული გადიდებისა და განაწილების სრულყოფის კურსს. დასახულია 1986—1990 წწ. მისი 25 პროცენტით გადიდება, რაც 10 პროცენტული პუნქტით აღემატება მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასის ზრდას. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები ერთ სულზე გაანგარიშებით 1990 წელს 635 მანეთს მიაღწევს. 1986 წელს ამ ფონდების მოცულობა ჩვენს რესპუბლიკაში გაიზრდება 6,3 პროცენტით (ნაცვლად კავშირის მასშტაბით 4,1 პროცენტით ზრდისა) და მიაღწევს 2631 მილიონ მანეთს.

თავის სოციალურ პოლიტიკაში პარტია ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოზარდი თაობის აღზრდის პირობების გაუმჯობესებას. მიმდინარე ხუთწლედში ბავშვიანი ოჯახებისადმი სახელმწიფო დახმარების გაძლიერების გეზი კიდევ უფრო მეტად განვითარდება. ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა მოსავლელად მომუშავე დედისათვის ანაზღაურებული შვებულების მიცემამ, რომელიც შემოღებულ იქნა რამდენიმე წლის წინათ, კარგი სოციალურ-დემოგრაფიული ეფექტი მოგვცა. პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებით დასახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია მისი კიდევ ნახევარი წლით გახანგრძლივება. გათვალისწინებულია აგრეთვე რომ ქალებს გაუდიდდეთ მშობიარობამდელი შვებულება და ანაზღაურებული დრო ავადმყოფი ბავშვის მოვლისათვის, უფასოდ გაიცეს წამლები სამ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის.

მიმდინარე ხუთწლედში განხორციელდება ღონისძიებათა ფართო კომპლექსი მოზარდი თაობის აღზრდისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად. უახლოეს პერიოდში სრულად დაკმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებზე. გაფართოვდება პიონერული, შრომითი და სპორტული ბანაკების, პიონერთა სახლების, მეცნიერულ-ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების სახლებისა და სადგურების ქსელი. გაიზრდება კვების ხარჯების ნორმები საბავშვო ბაგებსა და ბაღებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში.

„ძირითადი მიმართულებებით“ დასახულია ომისა და შრომის ვეტერანებისათვის, შრომისუუნარო მოქალაქეებისა და დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის ზრუნვის გაძლიერება; საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესება. კვლავაც გაუდიდდებათ ასაკისა და ინვალიდობის პენსიების მინიმალური ოდენობა მუშა-მოსამსახურეებს, წინათ დანიშნული პენსიები — კოლმეურნეებს. გაუმჯობესდება პენსიონერთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება. გაფართოვდება ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მიერ მარტოხელა ხანდაზმული და შრომის უუნარო მოქალაქეთა შინ მომსახურება. განვითარდება ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა ინტერნატების ქსელი. გაუმჯობესდება ამ დაწესებულებებში მოვლა-პატრონობის პირობები. სერიოზულ სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ დიდი გამოცდილების მქონე შრომის ვეტერანთა შესაბამის შრომითს საქმიანობაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აღმზრდელობით მუშაობაში მონაწილეობის შესაძლებლობათა გაფართოება.

როგორც პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებშია ხაზგასმული, უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნა მაღალხარისხოვან და მრავალფეროვან სახალხო მოხმარების საქონელზე — სასურსათო პროდუქტებზე, ხარისხოვან და ლამაზ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე, ავეჯზე, კულტურული დანიშნულების საგნებზე, რთულ საყოფაცხოვრებო ტექნიკასა და საოჯახო მოხმარების საქონელზე.

საბჭოთა ეკონომიკის განვითარების სოციალური ორიენტაციის გაძლიერების ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა ის, რომ ჩვენს ქვეყანაში დასახულია ახალ ხუთწლედში მრეწველობის ეგრეთ წოდებული „ა“ ჯგუფის პროდუქციის ანუ წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდას, „ბ“ ჯგუფის ანუ მოხმარების საგნების წარმოების ზრდამ 2 პროცენტული პუნქტით გაუსწროს. 1990 წელს 1985 წელთან შედარებით არასასურსათო საქონლის წარმოება გადიდდება სულ ცოტა 30 პროცენტით, რაც მრეწველობის პროდუქციის წარმოების ზრდის საშუალო მაჩვენებელს 5 პუნქტით აღემატება. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარების დაჩქარება, მომსახურების სფეროს გაფართოება მიჩნეულია ყველა სამინისტროს, უწყების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ყველა სახალხო დეპუტატთა საბჭოს საკვანძო მნიშვნელობის ამოცანად. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალკოჰოლური სასმელების გამოშვების შემცირებისა და ლოთობასთან გაშლილი ბრძოლის პირობებში.

იმასთან დაკავშირებით, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური ზრდის ტემპი ახალ ხუთწლედში (14,4%) მნიშვნელოვნად გადააჭარბებს წინა ხუთწლედის შესაბამის მაჩვენებელს (6%), ოთხმოციანი წლების დასასრულისათვის საგრძნობლად ამაღლდება კვების პროდუქტებით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონე. ასე, მაგალითად, იგი (მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმების გათვალისწინებით) ქვეყნის მასშტაბით 1986—1990 წწ. ამაღლდება: ხორცისა და ხორცპროდუქტებზე თითქმის 25 პროცენტულ პუნქტით, რძესა და რძის ნაწარმზე — 2—6, ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე — 16—22, ხილსა და კენკრაზე — 18—20 პროცენტული პუნქტით. იმის შედეგად მეთორმეტე ხუთწლედის დასასრულისათვის (1990 წ.) მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონე მიაღწევს (პროცენტობით): ხორცსა და ხორცპროდუქტებზე — 85, რძესა და რძის ნაწარმზე — 80—84, ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე — 86—92, ხილსა და კენძრაზე — 58—60. კვების პროდუქტების დიდმნიშვნელოვან ნაწილზე კი მშრომელთა მოთხოვნილება მთლიანად დაკმაყოფილდება.

ჩვენს რესპუბლიკაში დასახულია მოსახლეობის მოთხოვნილება (ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად) მთლიანად დავაკმაყოფილოთ მიმდინარე ხუთწლედში: თევზსა და თევზის პროდუქტებზე, კვერცხზე, ხილზე, ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე, მცენარეულ ზეთზე; მეცამეტე ხუთწლედში — რძესა და რძის ნაწარმზე; 2000 წლის შემდეგ — ხორცსა და ხორცპროდუქტებზე. ხორცისა და ხორცპროდუქტების მოხმარების პრობლემის გადაჭრის ვადა ანალოგიურადაა გათვალისწინებული კავშირის მასშტაბითაც.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამის შესაბამისად მიმდინარე ხუთწლეულის გეგმაში პირველად იქნება შეტანილი განმაზოგადებელი მაჩვენებელი — მოსახლეობის ფასიანი მომსახურების რეალიზაციის მოცულობა, რომლის გადიდება ქვეყანაში დასახულია 50 პროცენტით. იგი ჩვენს რესპუბლიკაში 1986 წელს 900 მილიონ მანეთს მიაღწევს. აქედან საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა განსაზღვრულია 222 მილიონი მანეთის ოდენობით, მათ შორის სოფლად — 83 მილიონი მანეთის მოცულობით, რაც შესაბამისად 6,5 პროცენტითა და 8,7 პროცენტით სჭარბობს 1985 წლის შესაბამის მაჩვენებლებს.

სკპ სოციალურ პოლიტიკაში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის მზარდი გადახდისუნარიანი მოთხოვნის უფრო სრულად დაკმაყოფილებას. შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ამოცანაა. მის გადაწყვეტასთან უშუალოდ არის დაკავშირებული შრომის მატერიალური სტიმულების განმტკიცება, არასამუშაო დროის რაციონალური გამოყენება, საბჭოთა ადამიანების განწყობილება, დეფიციტით წარმოქმნილი ნეგატიური მოვლენების დაძლევა. „ძირითადი მიმართულებების" შესაბამისად, მიმდინარე ხუთწლედში, საცალო საქონელბრუნვა (ღვინისა და არაყის ნაწარმის გაყიდვის ჩაუთვლელად) თითქმის მესამედით გაიზრდება; მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სავაჭრო მომსახურების კულტურა, დაჩქარებული ტემპებით განვითარდება ვაჭრობის პროგრესული ფორმები: თვითმომსახურება, კატალოგების ნიმუშების მიხედვით საქონლის გაყიდვა, წინასწარი შეკვეთებით საქონლის შინ მოტანა. საგრძნობლად გადიდდება საფირმო მაღაზიების ქსელი, მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის წარმოების დარგთა სისტემაში მათი ორგანიზაციის გზით; განხორციელდება საამანათო ვაჭრობის სწრაფი განვითარება.

ახალ ხუთწლედში განხორციელდება საბინაო მშენებლობის ფართო პროგრამა. აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა 595 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე 1986 წელს მარტო საქართველოში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1942 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რის შედეგადაც საბინაო პირობებს გაიუმჯობესებს 114 ათასამდე კაცი.

პარტიას განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობის საქმედ მიაჩნია საბინაო პრობლემის გადაჭრის დაჩქარება, რათა 2000 წლისათვის პრაქტიკულად ყოველ საბჭოთა ოჯახს ჰქონდეს ცალკე საცხოვრებელი ბინა ან ინდივიდუალური სახლი. ამასთან გაძლიერებული ყურადღება დაეთმობა საბინაო მშენებლობის ხარისხს, კომფორტულობის ამაღლებას, დაგეგმარების გაუმჯობესებას, ბინებისა და სახლების ტექნიკური აღჭურვილობის სრულყოფას.

მიმდინარე ხუთწლედსა და მომავალ პერსპექტივაში სკკპ განაგრძობს სახალხო განათლების სისტემის სრულყოფას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მოთხოვნილებების, კომუნისტური მშენებლობის პერსპექტივების, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის მიერ წამოყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით. როგორც პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაშია მითითებული, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა ერთიანი შრომითი პოლიტექნიკური სკოლის ლენინური პრინციპების შემოქმედებით განვითარებას ემყარება და მიზნად ისახავს კიდევ უფრო მეტად აამაღლოს ახალგაზრდობის სწავლა-განათლებისა და აღზრდის დონე; გააუმჯობესოს მისი მომზადება დამოუკიდებელი შრომითი ცხოვრებისათვის; განახორციელოს თანდათანობითი გადასვლა საყოველთაო პროფესიულ განათლებაზე.

პარტია და საბჭოთა სახელმწიფო უპირველესი მნიშვნელობის საქმედ მიიჩნევენ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის გაკაჟებას, მათი აქტიური ცხოვრების ხანგრძლივობის გადიდებას. ამ მიზნით დასახულია: შემოღებულ იქნეს მოსახლეობის საყოველთაო დისპანსერიზაციის სისტემა; განხორციელდეს დედათა და ბავშვთა დაცვის დაწესებულებების, პოლიკლინიკების, საავადმყოფოების, სანატორიუმების ქსელის შემდგომი განვითარება და მათი აღჭურვა თანამედროვე სამედიცინო აპარატურით; სამკურნალო წამლით, სამკურნალო და სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით სრული უზრუნველყოფა. დასახულია მიმდინარე ხუთწლედში დაახლოებით ერთნახევარჯერ გადიდდეს საამბულატორიო-პოლიკლინიკური დაწესებულებების მშენებლობა.

1986—1990 წწ. ფართო მასშტაბით განხორციელდება კულტურისა და სპორტის ობიექტების მშენებლობა. მაგალითად, აშენდება 500-ზე მეტი რაიონული კულტურის სახლი და 5,5 ათასზე მეტი კლუბი სოფლად. ამის შედეგად ყოველ რაიონულ ცენტრს ექნება კულტურის სახლი. ამრიგად, როგორც პარტიის XXVII ყრილობის ტრიბუნიდან ითქვა, უკვე მიმდინარე ხუთწლედში დასახულია გადავდგათ მნიშვნელოვანი ნაბიჯი პარტიის მიერ დასახული ამოცანის გადაწყვეტის გზაზე — ავიყვანოთ სოციალურ-კულტურული სფეროს დარგები თვისებრივად ახალ დონეზე.

პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში ახალ ხუთწლედსა და გენერალურ პერსპექტივაში თანამიმდევრულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხორციელდება გეზი, რომლის მიზანია მნიშვნელოვნად შეამციროს ხელით შრომა (200 წლამდე წარმოების სფეროში — 15—20 პროცენტამდე); არსებითად შეკვეცოს, პერსპექტივაში კი, მექანიზაციის, ავტომატიზაციის, კომპიუტერიზაციის და რობოტიზაციის ფართოდ დანერგვის საფუძველზე, აღმოფხვრას მონოტონური, მძიმე ფიზიკური და ნაკლებკვალიფიციური შრომა, უზრუნველყოს ჯანსაღი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და დანერგოს უსაფრთხოების სრულყოფილი ტექნიკა, რომელიც აღკვეთს საწარმოო ტრავმატიზმსა და პროფესიულ დაავადებებს. წარმოების უპირატესად ინტესიური განვითარების გზაზე გადასვლა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლება პერსპექტივაში გვისახავს ახალ შესაძლებლობებს სამუშაო დღის შემცირებისა და თავისუფალი დროის გადიდებისათვის. ამ უკანასკნელს კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

Л. Л. ЧИКАВА

## УСИЛЕНИЕ СОЦИАЛЬНОЙ ОРИЕНТАЦИИ ЭКОНОМИКИ В НОВОЙ ПЯТИЛЕТКЕ

Резюме

В соответствии с требованиями основного экономического закона социализма высшей целью экономической стратегии КПСС было и остается достижение полного благосостояния и всестороннего развития всех членов общества. В реализации этой цели весомый вклад будет внесен в двенадцатой пятилетке. Усиление социальной ориентации экономики — ее важнейшая особенность.

На современном этапе партия ставит задачу поднять благосостояние на качественно новую ступень, рассматривает социальную политику как мощное средство ускорения развития страны, подъема трудовой и общественно-политической активности масс, формирования нового человека, утверждения социалистического образа жизни. Решениями XXVII съезда КПСС в текущей пятилетке намечено повысить реальные доходы на душу населения на 14%, среднемесячную заработную плату рабочих и служащих на 15%, колхозников — на 18%, а объем общественных фондов потребления — на 25%.

Перевод народного хозяйства на преимущественно интенсивный путь развития и резкое повышение эффективности производства не только создадут мощную материальную основу для крутого подъема благосостояния советского народа, но в конечном счете обеспечут сокращение регламентированного рабочего дня и увеличение свободного времени, который в свою очередь, имеет первостепенное значение для всестороннего гармоничного развития личности.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა

И. Э. ЦИСКАРИШВИЛИ

# ПРЯМЫЕ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКИЕ И ПРОИЗВОДСТВЕННЫЕ СВЯЗИ СТРАН — ЧЛЕНОВ СЭВ И РОЛЬ РЕСПУБЛИКАНСКИХ ОРГАНОВ УПРАВЛЕНИЯ В ИХ ОСУЩЕСТВЛЕНИИ

Одним из реальных резервов повышения экономического потенциала социалистических стран является более активное вовлечение возможностей внешнеэкономической интеграции во внутригосударственные воспроизводственные процессы. Прогрессивные тенденции интернационализации хозяйственной жизни, обусловленные постоянным расширением и углублением международного разделения труда в производстве, науке и технике требуют дальнейшего развития с учетом современных требований научно-технического прогресса.

Наиболее интенсивно развивающейся сферой экономической интеграции социалистических государств является сотрудничество в области науки и техники. Одним из основных факторов, способствующих опережающему развитию международных научно-технических связей в сложной системе взаимодействия народнохозяйственных и производственных комплексов является сама интернациональная сущность науки, позволяющая доступными средствами углублять человеческие знания с учетом накопленных разными странами в разное время научных результатов. Немаловажно и то обстоятельство, что в большинстве случаев обмен результатами умственного труда в социалистическом содружестве не усложняется товарно-денежными отношениями до этапа материализации научных идей.

Процесс воплощения научной идеи в конкретное техническое новшество с последующим производством и потреблением можно представить следующим образом:

ФИ — ПИ — ПК и ТР — ОП — Т(П) — РП — Э(О)

ФИ — фундаментальные исследования; ПИ — прикладные исследования; ПК и ТР — проектно-конструкторские и технологические разработки; ОП — создание опытной партии изделий; Т(П) — тиражирование (производство) продукции; РП — реализация продукции; Э(О) — эксплуатация (обслуживание).

Объектами международного научно-технического сотрудничества, на наш взгляд, следует считать первые четыре этапа полного цикла «идея — потребление», а три завершающих этапа причислить к производственному сотрудничеству.

Органическое единство научно-технических и производственных фаз рассматриваемого полного цикла наглядно показывает, что научно-техническое сотрудничество как таковое не является самоцелью, а представляет собой комплекс необходимых этапов становления полноценных кооперационных производственных связей. Такое утверждение, естественно, не исключает возможности установления международных связей с этапа производства продукции на базе самостоятельных внутригосударственных научно-технических достижений одной из сотруд-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ничающих сторон, или на базе результатов, приобретенных от третьих стран.

Научно-техническое сотрудничество может возникнуть и завершиться на любом из этапов рассматриваемого цикла, в зависимости от поставленной цели, а также полномочий, предоставляемых партнерам вышестоящими органами.

На наш взгляд, при относительной эквивалентности затрат сотрудничающих сторон на проведение совместных фундаментальных и прикладных исследований работы могут осуществляться на основе договоров, без возникновения товарно-денежных отношений, путем безвозмездного обмена результатами умственного труда. Сотрудничество на этапах проектно-конструкторских, технологических разработок и создания опытных партий изделий должно сопровождаться соответствующими финансовыми расчетами и контрактными обязательствами. По существующему в странах — членах СЭВ порядку, на этих этапах сотрудничества (как и на этапах производственных связей) следует прибегнуть к содействию со стороны соответствующих внешнеторговых служб.

Современный этап осуществления межгосударственного научно-технического и производственного сотрудничества стран — членов СЭВ характеризуется гигантским объемом двусторонних и многосторонних хозяйственных связей. Важность и глобальность вопросов экономических отношений на межгосударственном уровне не всегда позволяют детально вникать в процесс их реализации, оперативно устранять возникающие трудности. В этих условиях первостепенное значение приобретает налаживание устойчивых деловых взаимоотношений на среднем и низшем уровнях хозяйственного управления сотрудничающих стран.

Как научно-техническое, так и производственное сотрудничество социалистических стран характеризуются разнообразием форм их осуществления, в разной степени оправдавших себя на практике. За последние годы все большее развитие получает новая прогрессивная форма организации сотрудничества — установление т. н. прямых или непосредственных связей между министерствами, ведомствами, организациями и предприятиями стран — членов СЭВ. Указания на необходимость дальнейшего широкого развития прямых связей содержатся в новой редакции Программы КПСС и Основных направлениях экономического и социального развития СССР.

Как в отечественной экономической литературе, так и в трудах ученых стран СЭВ, уделяется серьезное внимание проблемам раскрытия сущности, совершенствования и развития прямых связей. Однако определения сути, задач и форм осуществления прямых связей все еще далеко не однозначны. Недостаточная теоретическая разработка данного вопроса в определенной мере влияет и на возникновение разных проблем в процессе практического осуществления прямых связей.

По мнению Ю. С. Ширяева «Суть прямых производственных связей заключается не в форме их реализации (через специализированные внешнеторговые организации или же через коммерческие службы предприятий и объединений), а в их функциональном назначении: содействовать непосредственному объединению производственных и научно-технических усилий партнеров (в первую очередь основных хозяйственных звеньев) в интересах решения общих задач, обеспечить наиболее рациональное распределение ответственности между цент-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ральными ведомствами и непосредственными участниками международного сотрудничества»[1].

Разделяя мнение указанного автора о первичности функциональных задач в определении прямых связей, заметим, что так как эффективность таких связей во многом определяется уровнем маневренности и оперативности их осуществления, формы реализации таких связей могут оказать значительное влияние на их сущность.

О. Д. Баковецкий и В. С. Гринев прямые производственные связи трактуют как «средство осуществления непосредственного производственного и научно-технического сотрудничества между социалистическими странами, позволяющие оперативно решать вопросы обеспечения выполнения заданий государственных планов, обязательств, вытекающих из международного социалистического сотрудничества, мероприятий по совершенствованию организации производственных процессов, а также вопросы обмена передовым производственным и научно-техническим опытом»[2].

Данное определение, исчерпывающе характеризуя прямые связи, на наш взгляд является настолько емким, что практически может быть применено в целом к многогранной сфере производственного и научно-технического сотрудничества, тогда как непосредственные связи можно рассматривать как мобильную подсистему в сформировавшейся системе внешнеэкономических отношений социалистических государств.

Двусторонние межгосударственные экономические отношения, в том числе и между странами — членами СЭВ, всегда были «прямыми» — без их опосредования какой-либо третьей стороной. **Новизна формы прямых связей, на наш взгляд, заключается именно в том, что она является средством сотрудничества не между странами, а непосредственно между отдельными министерствами и ведомствами, конкретными научными организациями и производственными предприятиями социалистических стран, регулируемыми государственными органами в соответствии с внутренним законодательством стран-партнеров.**

Определение В. М. Шаститко, в соответствии с которым «под прямыми производственными связями следует понимать технологические и экономические связи кооперантов в разных странах для совместных разработок и производства на основе кооперации определенной продукции, последующей ее реализации и организации послепроизводственного обслуживания»[3], точнее отражает суть прямых связей, совпадает с мнением многих экономистов.

В отечественной экономической литературе нет четкого разграничения между терминами «прямые связи» и «непосредственные связи». Венгерский экономист К. Печи различает эти два понятия в зависимости от уровня основных звеньев сотрудничающих сторон. По его мнению «прямыми» являются связи, возникающие между предприятиями, в результате их опосредования вышестоящими министерствами и ведомствами, а «непосредственными» признаются самостоятельно устанавливаемые предприятиями разных стран хозяйственные контакты на основе существующих внутригосударственных экономических

1 Ю. С. Ширяев. Мировое хозяйство: новые технологические и социально-экономические факторы развития». М., 1984, с. 102.

2 О. Д. Баковецкий, В. С. Гринев. Развитие прямых производственных связей в содружестве СЭВ. М., 1984, с. 70.

3 Ж. «Вопросы экономики», 1984, № 1, с. 139.

рычагов. При этом автор прямые связи считает низшей формой сотрудничества и непосредственные связи — высшей формой[4].

Отмечая определенную условность подобного деления О. Д. Баковецкий и В. С. Гринев считают, что: «Прямые связи — единая форма сотрудничества, осуществляемая одновременно тремя категориями субъектов, на макро-, мезо- и микрохозяйственных уровнях»[5].

Разделяя мнение о единстве формы прямых связей, постараемся уточнить субъекты сотрудничества на разных уровнях. Вероятно, к макро-уровню следует отнести межправительственные связи, осуществляемые двусторонними Межправительственными комиссиями по экономическому и научно-техническому сотрудничеству; к мезо-уровню — сотрудничество союзных и союзно-республиканских министерств и ведомств с соответствующими органами управления стран — членов СЭВ; к микро-уровню — совместные работы, проводимые непосредственно научными и производственными коллективами сотрудничающих сторон.

Подобная классификация уровней сотрудничества приемлема для отраслевого принципа управления, однако она не отражает реального положения в связи с наличием в нашей стране как межотраслевых органов управления (Госплан, ГКНТ, Госстрой, в данном случае и Минвнешторг), так и территориальных органов управления (Советы Министров союзных республик, республиканские министерства и ведомства). С другой стороны, порядок осуществления прямых связей, действующий в нашей стране, регламентируемый соответствующими постановлениями Совета Министров СССР, отдельно выделяет вопросы, находящиеся в компетенции межотраслевых органов управления.

Кроме того, двусторонние Межправительственные комиссии по экономическому и научно-техническому сотрудничеству, в компетенции которых находится принятие решения о предоставлении права осуществления прямых связей на разных уровнях сотрудничества уже принимали решения о предоставлении полномочий на развитие прямых связей Советом Министров союзных республик. Так, например, решением XXVIII заседания Межправительственной советско-венгерской комиссии по экономическому и научно-техническому сотрудничеству право осуществления прямых связей в области экономики, науки и техники с министерствами, ведомствами, организациями и предприятиями ВНР предоставлены Советам Министров Украинской ССР, Грузинской ССР, Азербайджанской ССР, Молдавской ССР.

На XXVI заседании Межправительственной советско-чехословацкой комиссии (январь 1986 г.) достигнута договоренность о включении раздела «Сотрудничество предприятий и организаций Грузинской ССР и национальных республик ЧССР» в План мероприятий по реализации Программы долгосрочного экономического и научно-технического сотрудничества между СССР и ЧССР на период до 2000 года.

Основой таких решений явилось обоюдное стремление более полного вовлечения научно-технических и производственных потенциалов союзных республик в экономическое сотрудничество двух стран, а также повышения маневренности и оперативности в осуществлении двусторонних связей.

Реализация данного решения на практике столкнулась с рядом трудностей, основным из которых представляется недостаточная кон-

---

[4] К. Печи. Экономические аспекты развития прямых и непосредственных связей между министерствами, учреждениями, объединениями и предприятиями стран — членов СЭВ. Будапешт, 1983, с. 56.

[5] О. Д. Баковецкий, В. С. Гринев, Указ. раб., с. 66.

кретность в определении функций республиканских органов управления в системе управленческой иерархии по осуществлению прямых связей со странами — членами СЭВ.

Для выработки четких функций республиканских органов в данном вопросе следует учитывать, с одной стороны, наличие в республиках организаций и предприятий трех видов подчинения — союзного, союзно-республиканского и республиканского, а с другой стороны — разность в характере научно-технических и производственных стадий сотрудничества, определяющих целесообразность разных подходов к моделированию механизмов осуществления прямых связей.

В настоящее время предложения организаций и предприятий союзной республики об установлении прямых связей с зарубежным партнером должны получить одобрение вышестоящих органов на разных уровнях управления. Упрощенная схема согласования данного вопроса для организаций разных видов подчинения представлена на рис. 1, где ОСП — организаций и предприятия союзного подчинения, ОС-РП — союзно-республиканского подчинения, ОРП — республиканского подчинения; Главк — соответствующее звено управления союзного министерства, РМ-во — республиканское министерство, С-РМ-во — союзно-республиканское министерство, ведомство, СМ-во — союзное министерство, ведомство, СМ — Совет Министров союзной республики, МОУ — межведомственные органы управления, КВЭС — комиссия по внешнеэкономическим связям Совета Министров СССР.



Рис. 1

Подобная практика согласования с незначительными особенностями характерна при установлении и осуществлении прямых связей как научно-технических, так и производственных.

14 Советская социология. Т. I, М., 1982, с. 101.

15 В. Н. Шубкин. Социологические опыты. М., 1970.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



нием такого хода мыслей является заявление, согласно которому система образования должна развиваться по направлению введения всеобщего высшего образования[16].

Экономическая нецелесообразность развития системы образования в соответствии со спросом населения не вызывает никаких сомнений. Однако можно с уверенностью заявить, что такое развитие не принесет и никаких положительных социальных сдвигов. Оно не может стереть основных социальных различий, так как люди одного уровня образования занимали бы различную роль в системе общественной организации труда, т. е. все же отличались бы по основному признаку социальной дифференциации. Вместе с этим невозможность использования образовательной подготовки трудовых ресурсов чревато отрицательными социальными последствиями.

Природа социалистических производственных отношений препятствует возникновению каких-либо антагонистических противоречий. Однако и при социализме возникает ряд проблем, связанных с неполным использованием образовательной подготовки трудящихся. Даже переход ко всеобщему среднему образованию в условиях, когда в народном хозяйстве сохраняется большое количество рабочих мест неквалифицированного труда, вызвал такие отрицательные последствия как рост неудовлетворенности трудом, безразличие к результатам работы, текучесть и т. п.[17] Учитывая вышесказанное, нам представляется правомерным формирование образовательного потенциала, исходя в первую очередь из экономической потребности общества в образовании. Кстати, требует уточнения и содержание термина образовательный потенциал. Латинское слово Potentia несет двойную смысловую нагрузку. С одной стороны, оно характеризует степень мощности в каком-либо отношении, с другой указывает, что это мощность скрытая. Авторы монографии «Экономический потенциал развитого социализма», считая, что экономический потенциал есть совокупная способность производить промышленную, сельскохозяйственную продукцию и т. д. ближе к первому пониманию этого слова[18], а, например, Н. Гловацкая[19], понимая под духовным потенциалом запас нематериальных ценностей, как нам представляется, исходит из второго его понимания.

Исходя из первой интерпретации слова потенциал, образовательный потенциал будет представлять собой способность распространения знаний, а из второго — запас этих знаний. Становится очевидным, что два толкования слова «потенциал» выражает две самостоятельные сущности и следует отличать их друг от друга.

Так как знания могут иметься, строго говоря, в запасе, лишь постольку, поскольку ими овладели люди, то образовательный потенциал во втором понимании представляет собой образовательный потенциал населения (занятого населения, трудовых ресурсов или др.), который является совокупностью знаний и умений совокупного общественного работника, которые были получены путем обучения в учреждениях системы образования и подготовки кадров. Следовательно, образо-

---

16 Г. В. Макацария, В. Т. Лисовский. Современный студент. Тбилиси, 1982, с. 119.

17 Н. А. Хрооменков. Социально-экономические проблемы общего среднего образования в условиях развитого социализма. М., 1983, с. 8.

18 Экономический потенциал развитого социализма. Под ред. Мочалова В. И. М., 1982, с. 16.

19 Известия АН СССР, Серия экономическая, 1984, № 4, с. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

вательный потенциал трудовых ресурсов характеризуется профессионально-квалификационной структурой кадров, а возможность реализации образовательного потенциала трудовых ресурсов зависит от соотношения профессионально-квалификационной структуры трудовых ресурсов и экономической потребности общества в образовании.

Как было указано выше, потребность общества в образовании состоит из социальной и экономической потребностей. Предельно ясно, что при рассогласовании экономической потребности общества в образовании и образовательного потенциала трудовых ресурсов общество терпит определенные неудобства. В одном случае, когда образовательный потенциал трудовых ресурсов меньше экономической потребности общества в образовании, возникают трудности с рациональным использованием объективных условий производства, реализацией преимуществ социалистических производственных отношений. В другом случае, когда образовательный потенциал трудовых ресурсов меньше экономической потребности общества в образовании, во-первых, снижается экономическая эффективность затрат на образование, во-вторых, возникают проблемы рационального использования субъективного фактора производства.

Хотя мы исходим из того, что по мере развития социалистических производственных отношений главенствующую роль в социальной дифференциации членов общества будет играть их роль в общественной организации труда, т. е. фактор, описываемый экономической потребностью общества в образовании, можно допустить, что социальная потребность общества в образовании будет отличаться от экономической. В качестве примера можно привести введение в СССР всеобщего среднего образования, которое поднимает на более высокую ступень социальное равенство путем обеспечения равных шансов на обучение представителям различных социальных групп.

Так как определить действительные размеры социальной потребности общества в образовании, точнее, той ее части, которая характеризует разницу между социальной и экономической потребностью общества, представляется невозможным, то под количественной определенностью потребности общества в образовании мы можем понимать его экономическую потребность. Это тем более верно, что взвесить все за и против такого развития системы образования, которое считается удовлетворяющим социальную потребность общества в образовании, нет возможности. Например, введение всеобщего среднего образования с целью развития социального равенства обогнало повышение экономической потребности общества в образовании, а это вызвало целый ряд проблем, и невозможно соизмерить отрицательные последствия этого введения с положительными.

Поэтому при определении образовательного потенциала как способности распространения знаний надо иметь ввиду, что необходимо соответствие образовательного потенциала трудовых ресурсов с потребностями общества в образовании. Таким образом, образовательный потенциал общества будет представлять собой способность удовлетворять общественную потребность общества в образовании путем целенаправленной передачи знаний и умений членам общества в системе учебных заведений.

Образовательный потенциал общества и образовательный потенциал трудовых ресурсов тесно взаимосвязаны. Поскольку сложившийся образовательный потенциал трудовых ресурсов есть результат функционирования системы образования и подготовки кадров, возможность его рационального использования указывает на эффективность

ეროვნული ბიბლიოთეკა

функционирования этой системы, ее соответствие потребностям общества. Следовательно, возможность рационального использования образовательного потенциала трудовых ресурсов, т. е. его соответствие потребностям общества в образовании, показывает уровень соответствия развития системы образования и подготовки кадров потребностям общества, а значит, и характеризует образовательный потенциал общества. С учетом мнений, высказанных в научной литературе, перечень факторов, определяющих образовательный потенциал общества, может быть сформирован следующим образом:

— уровень развития системы образования и подготовки кадров (масштабы, структура, размещение);
— слаженность механизма оценки общественных потребностей в образовании, их доведения до системы образования и контроля этой системы;
— уровень развития системы распространения научных достижений.

СССР в данное время характеризуется передовым уровнем развития системы образования. В нашей стране самый высокий в мире показатель охвата учебой детей школьного возраста, а показатель числа студентов на 100 человек в возрасте 20—24 лет отстает лишь от соответствующего показателя США. Справедливости ради следует отметить, что лидерство США по этому показателю условно. Дело в том, что американская система высшего образования отличается большой пестротой. Наряду со всемирно известными университетами есть немало захолустных двухгодичных колледжей, которые по европейским меркам не дотягивают даже до уровня средних специальных заведений. По оценке американских специалистов, третья часть студентов обучается именно в таких колледжах.

Некоторые показатели развития

| | Общеобразовательные школы | | | Профессионально-технические училища | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1940 | 1965 | 1981 | 1940 | 1965 | 1981 |
| Средний размер учащихся | 179 | 255 | 310 | — | — | — |
| Расходы госуд. бюджета на 1 заведение, тыс. р. | 4,3 | 27,0 | 65,8 | — | — | — |
| Расходы госуд. бюджета на 1 учащегося, руб. | 24,1 | 119,6 | 212,3 | 493,8 | 618,7 | 683,8 |

Как видно из таблицы 1, постоянно и существенно возрастают затраты государственного бюджета и других источников на систему образования и подготовки кадров. Их величина в 1981 году превышала уровень 1940 года в 16,1, а уровень 1965 года в 2,3 раза. Причем рост затрат связан не только с расширением масштабов образования, но и с ростом, расходов в расчете на одного учащегося. Совершенствуется также структура учреждений образования и подготовки кадров, что выражается в укрупнении учебных заведений. Укрупнение позволяет, во-первых, оборудовать учебные заведения матери-

[20] Таблица составлена на основе: Народное хозяйство СССР 1922—1982. М., 1982, с. с. 289, 291, 432.

ально-технической базой, обеспечивающей обучение на уровне современных требований, во-вторых, это удешевляет обучение в расчете на одного учащегося, так как предполагает совместное использование многими обучающимися материально-технической бзазы.

Вышесказанное дает возможность заключить, что СССР обладает развитой сетью учебных заведений и достаточными ресурсными возможностями для ее развития. Следствием развития системы образования и подготовки кадров является повышение образовательного уровня занятых в народном хозяйстве. Уровень образования (число лет обучения) занятых в народном хозяйстве СССР повысился с 1970 по 1980 гг. на 19,4% и составил 9,2 года, в том числе в отраслях материального производства — на 20,8% и составил 8,7 лет.

Хотя цифры такого характера часто приводятся в качестве положительных характеристик развития системы образования, следует отметить, что они представляют слишком незначительный материал для анализа формирования образовательного потенциала и, тем более, для его оценки. Действительно, они ничего не говорят о соответствии образовательного потенциала трудовых ресурсов общественным потребностям, количественным выразителем которых мы приняли экономическую потребность общества в образовании. Одной (хотя и поверхностной, но очень показательной) характеристикой такого соответствия является улучшение общих показателей работы народного хозяйства в расчете на единицу повышения образовательного уровня занятых.

Анализ цифрового материала, однако, показывает, что налицо тенденция к ухудшению этих показателей. Если за период с 1960 по 1970 гг. на 1% прироста образовательного уровня, занятых в сфере

Таблица 1

системы образования СССР[20]

| Средние специальные учнбные заведения | | | Высшие учебние заведения | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1940 | 1965 | 1981 | 1940 | 1965 | 1981 |
| 258 | 958 | 1037 | 993 | 5106 | 5931 |
| 50,1 | 217,0 | 465,3 | 934,1 | 1961,6 | 4333,3 |
| 193,8 | 226,5 | 448,6 | 336,3 | 324,1 | 730,6 |

материального производства приходился прирост национального дохода в размере 4,9% и прирост производительности труда в размере 4,0%, то за период с 1970 по 1980 гг. эти показатели составили соответственно 2,8% и 1,5%, что означает сокращение процента прироста производительности труда в расчете на 1% прироста образовательного уровня занятых в 1,74 раза и сокращение процента прироста производительности труда на 1% прироста образовательного уровня занятых в 2,5 раза.

Объяснение ухудшения этих показателей найти нетрудно. Достаточно обратиться к использованию трудовых ресурсов. В отдельные годы «превышение численности работающих по сравнению с народ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

нохозяйственным планом достигало 2,—2,5 млн. человек»[21]. Особенно нерационально используется наиболее квалифицированная часть трудовых ресурсов — специалисты с высшим и средним специальным образованием. В 1970 году 12,4% от общей численности специалистов с высшим и средним специальным образованием работало на должностях преимущественно физического труда, в 1979 году этот показатель уже составил 20,3%, при этом численность специалистов данной категории возросла в 2,8 раза.

Вышеприведенные факты являются иллюстрацией того, что образовательный потенциал трудовых ресурсов рассогласован с той частью экономической потребности общества в образовании, которая определяется необходимостью целесообразной деятельности людей в сложившейся системе производственно-технического разделения труда.

Материалы проведенных советскими учеными конкретных социологических исследований (см. таблицу 2) показывают, что уровень образования занятых превышает также ту часть экономической потрености общества в образовании, которая определяется необходимостью участия в сложившихся организационных формах экономических отношений.

Таблица 2

Оценка фактического и необходимого привлечения работников к управлению производством

| Вид управленческой деятельности | Отношение числа лиц, считающих, что их необходимо привлекать к управлению, к числу фактически участвующих в управлении | |
|---|---|---|
| | Рабочие | ИТР |
| 1. Улучшение организации работы | 241,5 | 255,1 |
| 2. Внедрение новых машин и оборудов. | 147,0 | 246,7 |
| 3. Определение зарплаты, нормирование | 288,0 | 263,0 |
| 4. Разработка производственного плана | 190,0 | 186,8 |

Как мы увидели, образовательный уровень трудовых ресурсов рассогласован с экономической потребностью общества в образовании, а это негативно характеризует образовательный потенциал общества. Причину этого следует искать в факторах, определяющих образовательный потенциал общества. Такие факторы формирования образовательного потенциала общества, как уровень развития системы образования (масштабы и структура), уровень общеэкономического развития (наличие средств и ресурсов, необходимых для развития системы образования), уровень развития системы распространения научных достижений не могут являться причиной рассогласования, поскольку несмотря на то, что по ряду профилей подготовки, народное хозяйство испытывает недостаток квалифицированных кадров, в целом образовательный уровень занятого населения превышает экономическую потребность общества в образовании.

Основной причиной существующего рассогласования является недостаточная слаженность механизма оценки общественных потребностей в сфере образования, их доведения до системы образования, стимулирования и контроля реализации системой образования и подготовки кадров, этих потребностей.

Представлена отделом экономии науки и образования
Института экономики и права АН ГССР

[21] Таблица составлена на основе данных, приведенных в книге: Советская социология, т. II, М., 1982, с. 20.

„მაცნე", ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1986. № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლინა დათუნაშვილი

# ცენტრალიზებული ფონდების როლი რაიონული აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების საქმეში

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში აღნიშნულია, რომ მეთორმეტე ხუთწლედში კიდევ უფრო უნდა განვითარდეს და განმტკიცდეს სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, რომ ამ დარგში 14—16 პროცენტით უნდა გავზარდოთ მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა[1]. ამავე დოკუმენტებში ხაზგასმულია ქვეყნის აგრარული პოლიტიკის კურსის თანმიმდევრული განხორციელების საქმეში აგროსამრეწველო კომპლექსის ძირითად ამოცანებზე, რომლებიც ითვალისწინებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილური ზრდის მიღწევას, სასურსათო პროდუქტებითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით ქვეყნის საიმედო მომარაგებას, კომპლექსის ყველა დარგის ძალების გაერთიანებას საუკეთესო საბოლოო შედეგების მისაღებად.

ამ საკითხების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას, რომელთა შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის, აგრეთვე სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკის განმტკიცებაში, მათი წარმოების შემდგომ განვითარებასა და მათ შორის გარკვეული პროპორციების დამყარებაში, მუშაკთა წახალისებისა და მათი სოციალურ-კულტურული და საბინაო პირობების გაუმჯობესების საქმეში განსაკუთრებული როლი ცენტრალიზებული ფონდების ფორმირებისა და მიზნობრივი გამოყენების პრობლემას ენიჭება.

საქართველოს სსრ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ტიპიური დებულების შესაბამისად, რომელიც 1984 წლის 31 მაისს დამტკიცდა, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება, მასში შემავალ ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში, საწარმოო, სოციალურ-ეკონომიკური და კულტსაყოფაცხოვრებო ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად ქმნის წარმოების განვითარების, მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის და სარეზერვო ცენტრალიზებულ ფონდებს.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდები იქმნება გაერთიანებაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრების ანარიცხების ხარჯზე, რომლის ოდენობას განსაზღვრავს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭო დიფერენცირებულად, კოლმეურნეობების

[1] სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლების და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი, გაზ. „კომუნისტი", 9 მარტი, 1986 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მათი თანხმობით), საბჭოთა მეურნეობის, მომსახურე გადამმუშავებელი, დამამზადებელი და გაერთიანებაში შემავალი სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით, მათი მოგების, წმინდა შემოსავლის, წარმოების მოცულობის ფონდაღჭურვილობის, რენტაბელობის დონის და სხვა მაჩვენებლის გათვალისწინებით.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების წარმოების განვითარების, განმტკიცებისა და გაფართოების ცენტრალიზებული ფონდი იქმნება გაერთიანებაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების წარმოების განვითარებისათვის გათვალისწინებული საკუთარი სახსრების ნაწილის ცენტრალიზაციის გზით, გაერთიანების მიერ საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულების ცენტრალიზაციის დონის შესაბამისად. საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმოებს შეუძლიათ ცენტრალიზებულ ფონდში შეიტანონ მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდის სახსრების ნაწილი, წარმოების განვითარებისათვის გათვალისწინებული მოგების, ძირითადი ფონდების აღსადგენად განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხებისა და სხვა საკუთარი სახსრების ნაწილი, რომელთა გამოყენება შეიძლება წარმოების განვითარებისათვის, ხოლო კოლმეურნეობებს — კაპიტალური დაბანდებისა და კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული ფონდის ნაწილი.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების წარმოების განვითარების ცენტრალიზებულ ფონდში შენატანები შეაქვთ: კოლმეურნეობებს (მათი თანხმობით) წმინდა შემოსავლიდან განუყოფელ ფონდში ძირითადი საშუალებების ნაწილში ანარიცხების 15 პროცენტამდე და ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხების 5 პროცენტამდე ოდენობის ცენტრალიზაციით. საბჭოთა მეურნეობის, მომსახურე, გადამმუშავებელი, დამამზადებელი და აგროსამრეწველო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ წარმოების განვითარების ფონდის სახსრების 15 პროცენტამდე, აგრეთვე ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხების 5 პროცენტამდე ოდენობის ცენტრალიზაციით.

აღნიშნული ფონდის სახსრები გამოიყენება წარმოების ჩამორჩენილი რგოლის განვითარების, წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დასაჩქარებლად, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მეცნიერული და გამომგონებელთა ნამუშევრების დანერგვისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვის გაუმჯობესებისა და მისი გადამუშავების უზრუნველყოფისათვის, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მიერ ცენტრალიზებული ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად, ელექტროფიკაციის, ტელეფონიზაციის, რადიოფიკაციის და სადისპეჩერო სამუშაოთა ჩასატარებლად, აგრეთვე სხვა მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების განვითარებასთან. ყველა ეს ღონისძიებები რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებით ხორციელდება.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურული და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდები იქმნება გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების (მათი თანხმობით) საბჭოთა მეურნეობების, მომსახურე, გადამმუშავებელი და დამამზადებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების ანალოგიური ფონდების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახსრების 15 პროცენტამდე ოდენობის ცენტრალიზაციით. მატერიალური წახალისების ცენტრალიზებულ ფონდში თანხების შეტანისაგან თავისუფლდებიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოო ორგანიზაციები, რომელიც სამეურნეო წელს ზარალით დაამთავრებენ.

მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდი გამოიყენება ცალკეული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ანალოგიური ფონდების შესავსებად, მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით მათი საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლების დროებითი დაქვეითების შემთხვევაში. იმ მუშაკების პრემირებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებებს ასრულებენ, ფულადი დახმარება ეძლევათ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის მუშებს. ამ ფონდიდან თანხები ეძლევათ აგროსამრეწველო კომპლექსში სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა პრემირებისათვის, აგრეთვე წლიური შედეგების მიხედვით გაერთიანების აპარატისა და სამეურნეობათაშორისო ქვედანაყოფების მუშაკების პრემირებისათვის და სხვა.

რაიონული აგროსამრეწველო გერთიანების სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდის სახსრები გამოიყენება: გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ცალკეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, საწარმოებისა და ორგანიზაციების ანალოგიური ფონდების შესავსებად, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო თუ გაუარესდა მათი ეკონომიკური მაჩვენებლები. აღნიშნული ფონდის 20 პროცენტამდე ოდენობა დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, პროფილაქტორიუმების, ტურისტული ბაზების, პიონერთა ბანაკების, სპორტული ნაგებობებისა და გაერთიანების კულტ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის გაფართოებისა და კაპიტალური რემონტისათვის.

10 პროცენტამდე თანხის ოდენობა გაიცემა სასოფლო-სამეურნეო და სამეცნიერო პოპულარული ფილმების საჩვენებელი საშუალებების შესაძენად, კულტ-საგანმანათლებლო და ფიზკულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად, აგრეთვე სახსრების ნაწილი აღნიშნული თანხიდან გაიცემა გაერთიანების კუთვნილ სკოლა-ინტერნატებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, პიონერთა ბანაკებში, ბავშვთა კვების გასაუმჯობესებლად.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ აგროსამრეწველო გაერთიანების სამივე ცენტრალიზებული ფონდის სახსრები შეიძლება დადგენილი წესით გამოეყოთ გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს უკან დაუბრუნებლად ან დაბრუნების პირობით.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მეოთხე ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდი იქმნება გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციებში არსებული სარეზერვო ფონდის ნაწილის ხარჯზე, რომლის ოდენობას აწესებს გაერთიანების საბჭო ბუნებრივ-კლიმატური და სხვა ობიექტური პირობების გათვალისწინებით.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდების შექმნის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია აქ თავმოყრილი თანხების გამოყენება ისეთი ღონისძიებებისათვის, რომელთა განხორციელება ცალკეული საწარმოს შესაძლებლობას აღემატება, მაგრამ მათი განხორციელება დადებით

ეროვნული

გავლენას ახდენს რაიონის ეკონომიკის განვითარებაზე. აღნიშნულის დასადასტურებლად განვიხილოთ მახარაძის რაიონში ჩაის ნატურალური კონცენტრატის კომბინატის მშენებლობა, რომელიც რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდების სახსრებით 1980 წელს თამდენიმე თვეში აშენდა და მან უზრუნველყო რაიონში დაბალი ხარისხის ჩაის პროდუქციისა და ჩაის ნარჩენების მაქსიმალური გამოყენება. კომბინატში დამზადებული მატონიზებელი სასმელი „ბახმარო“ მომხმარებელთა მოწონებით სარგებლობს. კომბინატმა წარმოებული პროდუქციის რეალიზაციით იმავე წელს ათასობით მანეთი მოგება მიიღო.

აქვე გვინდა შევჩერდეთ დმანისის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაში ცენტრალიზებული ფონდების მიზნობრივი გამოყენების საკითხზე. რაიონში 1983—1984 წლებში გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდების თანხებით აშენდა სამაცივრო-სასაკლაო, რომლის აგებამდე რაიონის მეურნეობებს სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პირუტყვის გადაყვანა 100 და მეტ კილომეტრზე უხდებოდათ. ამჟამად რაიონის ბევრი მეურნეობა საერთოდ არ იყენებს ავტოტრანსპორტს, რითაც სატრანსპორტო დანახარჯების ეკონომიით წელიწადში საშუალოდ 700 ათასი მანეთი დაიზოგა. ამასთან ერთად რაიონის მეურნეობებში საშუალოდ შენარჩუნებულია 250 ტონა ხორცი, რომელიც საქონლის ჩასაბარებლად შორს მანძილზე გადაყვანის დროს იკარგებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ რაიონული აგოსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდებიდან გაღებული თანხები სამაცივრო-სასაკლაოს საქმიანობის შედეგად მიღებული ამონაგებით 6 თვეში დაიფარა. როგორც ვხედავთ, ცენტრალიზებული ფონდების შექმნა საშუალებას აძლევს რაიონის ხელმძღვანელობას განახორციელოს მასშტაბური ხასიათის მშენებლობები, რისი საშუალებაც მანამდე თითქმის შეუძლებელი იყო. აღნიშნული ღონისძიებები კი მტკიცე საფუძველს ქმნიან რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემის წარმატებით გადასაწყეტად.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ დმანისის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭომ გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდების მთელი თანხა, ყველა სახის ფონდიდან სამაცივრო-სასაკლაოს მშენებლობას მოახმარა, რაც დებულების მოთხოვნების დარღვევაა. საჭიროა ცალკეული სახის ფონდიდან თანხები მიზნობრივად, მისი დანიშნულებისამებრ იქნეს გამოყენებული.

განვიხილოთ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაში ცენტრალიზებული ფონდების ფორმირება და გამოყენება რაც 1984 წლამდე რიგი თავისებურებებით ხასიათდებოდა.

რესპუბლიკაში პირველად ექსპერიმენტის წესით 1975 წლის პირველი იანვრიდან აბაშის რაიონში შეიქმნა „სოფლის მეურნეობის მართვის რაიონული გაერთიანება“, რომელიც 1979 წლის პირველი იანვრიდან გარდაიქმნა „სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებად“, ხოლო 1982 წლიდან მას აბაშის „რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება“ ეწოდა.

აბაშის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში ცენტრალიზებული ფონდები 1979 წლიდან უნდა შექმნილიყო, მაგრამ რაიონის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სუსტი საფინანსო ეკონომიკური მდგომარეობის გამო ამ წელს ფონდების ფორმირება არ მოხერხდა. აბაშის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში ცენტრალიზებული ფონდები 1980 წლიდან შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქმნა. ცენტრალიზებულ ფონდების შექმნისა და გამოყენების შესახებ ახალი დებულების მიღებამდე აბაშის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში ცენტრალიზებული ფონდების ფორმირებისათვის მეურნეობებს, რომელთა საქმიანობა უშუალოდ დაკავშირებული იყო მიწასთან, შეჰქონდათ ყოველი ჰექტარი დამუშავებული მიწის ფართობზე 10 მანეთი გამრავლებული ამ მეურნეობის სამეურნეო პირობების კომპლექსური შეფასების კოეფიციენტზე, ხოლო ისეთ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა დაკავშირებული არ იყო მიწის ფონდის სამეურნეო გამოყენებასთან, შეჰქონდათ წლიური მოგების 20 პროცენტი. აბაშის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო საწარმოები დაიყო 3 ჯგუფად და დაუდგინდათ მათი სამეურნეო პირობების გათვალისწინებით შესაბამისი კოეფიციენტები. კომპლექსური შეფასებით პირველი ჯგუფის სამეურნეო პირობების კოეფიციენტი 1,5-ს უდრიდა, ამიტომ ამ ჯგუფში გაერთიანებული მეურნეობის შენატანები ცენტრალიზებულ ფონდში დამუშავებული ყოველი ჰექტარი მიწის ფართობზე 10 მან.×1,5=15 მანეთს შეადგენდა. მეორე ჯგუფის მეურნეობებისათვის ანალოგიური მაჩვენებელი 1-ის ტოლი იყო, ანუ ყოველ ჰექტარ დამუშავებულ მიწის ფართობზე შესატანი თანხა 10 მან.×1=10 მანეთს შეადგენდა, მესამე ჯგუფის მეურნეობისათვის კომპლექსური შეფასების კოეფიციენტი 0,5-ს უდრიდა, ხოლო ამ ჯგუფში გაერთიანებული მეურნეობებისათვის ყოველ ჰექტარ დამუშავებულ მიწის ფართობზე შესატანი თანხა 10 მან.×0,5=5 მანეთის ტოლი იყო.

აბაშის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებულ ფონდებში 1980 წელს შენატენების თანხა 89,3 ათას მანეთს, ხოლო 1981 წელს 66 ათას მანეთს შეადგენდა, სულ 155,3 ათასი მანეთი. ეს თანხები შემდეგნაირად განაწილდა 1) მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის გამოიყო მთლიანი თანხის 50 პროცენტი. 2) სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობისათვის 15 პროცენტი. 3) მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის 25 პროცენტი. 4) სარეზერვო ფონდისათვის 10 პროცენტი. 1980—1981 წლებში აღნიშნული თანხიდან მხოლოდ 39,1 ათასი მანეთი დაიხარჯა. აქედან მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდიდან 2,9 ათასი მანეთი, ხოლო მატერიალური წახალისების ფონდიდან 36,2 ათასი მანეთი, ძირითადად სამმართველო აპარატის მუშაკთა პრემირებისათვის. დანარჩენი 116,2 ათასი მანეთი გამოუყენებელი, ნაშთის სახით დარჩა. 1984 წელს აბაშის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებულ ფონდებში თავი მოიყარა 107 ათასმა მანეთმა. 1984 წლის პირველი იანვრისათვის ცენტრალიზებულ ფონდებში ნაშთი 48 ათასი მანეთი იყო, რამაც მთლიანად გადარიცხულ თანხასთან ერთად 155 ათასი მანეთი შეადგინა. აღნიშნული თანხიდან 1984 წელს მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდიდან 72 ათასი მანეთი (79,2%) გაიცა, აქედან 69,4 ათასი მანეთი პასტა-კონცენტრატის ობიექტის მშენებლობას, ხოლო 2,6 ათასი მანეთი მსუბუქი ავტომანქანის შეძენას მოხმარდა. მატერიალური წახალისების ფონდიდან 16 ათასი მანეთი (17,6%) გაერთიანების აპარატის მუშაკთა პრემირებისათვის, ხოლო სარეზერვო ფონდიდან 3 ათასი მანეთი (3,6%) სუსტი მეურნეობების ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად გაიცა. აღნიშნულ წელს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ფონდის თანხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 ათასი მანეთი არაფერზე არ დახარჯულა. როგორც ანალიზიდან ჩანს, აბაშის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში ცენტრალიზებული ფონდების თანხები დიდი რაოდენობით აუთვისებელი რჩება და წლიდან წლამდე ნაშთის სახით გადადის, მაშინ როდესაც ეს თანხები შეიძლება გამოეყენებინათ გაერთიანების მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის, აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ცენტრალიზებული ფონდების გამოყენების დროს საჭიროა დავიცვათ პროცენტული თანაფარდობა ცალკეულ ფონდებს შორის თანხების განაწილებაში. მაგ. 1981—1984 წლებში წარმოების განვითარებისა და განმტკიცებისათვის გამოიყო მთლიანი თანხის 50—79,2 პროცენტი, მატერიალური წახალისებისათვის 25—17,5 პროცენტი, ხოლო სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის ამ პერიოდში არც ერთი მანეთი არ დახარჯულა.

1981 წლიდან ექსპერიმენტის წესით მახარაძის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებაში (1982 წლიდან აგროსამრეწველო გაერთიანება) შეიქმნა შემდეგი სახის ცენტრალიზებული ფონდები: მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის, მატერიალური წახალისებისა და სარეზერვო ფონდი.

აბაშის რაიონისაგან განსხვავებით მახარაძის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში ცენტრალიზებული ფონდები შეიქმნა გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოების მოგებისა და წმინდა შემოსავლის ანარიცხების საფუძველზე. თითოეული მონაწილის ანალოგიური ფონდებიდან გაერთიანების შესაბამის ცენტრალიზებულ ფონდებში 20 პროცენტის გადარიცხვის გზით. აღსანიშნავია, რომ სახსრების მოზიდვა ამ ფონდში არარენტაბელური მეურნეობებიდან არ წარმოებდა, გაერთიანება ცენტრალიზებულ ფონდებში თავს უყრიდა აგრეთვე კოლმეურნეობებში კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხების იმ ნაწილს, რომელიც მხოლოდ საიჯარო წესით კაპიტალურ მშენებლობაზე უნდა დაიხარჯოს.

ცენტრალიზებული ფონდების ფორმირების აღნიშნული მეთოდი გარკვეული ცვლილებით შემდგომში საფუძვლად დაედო 1984 წელს რესპუბლიკის მასშტაბით შემუშავებულ დებულებას ცენტრალიზებული ფონდების შექმნისა და გამოყენების შესახებ.

1981 წელს მახარაძის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებულ ფონდებში თავი მოიყარა 6738,6 ათასმა მანეთმა. აღნიშნული თანხა შემდეგნაირად განაწილდა: მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდში გადაირიცხა მთლიანი თანხის 68,6 პროცენტი, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში 18,8 პროცენტი, მატერიალური წახალისების ფონდში 11 პროცენტი, ხოლო სარეზერვო ფონდში 1,6 პროცენტი.

მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ცენტრალიზებული ფონდებიდან რაიონის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათაშორისო საწარმოებსა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. ბაილეთის კოლმეურნეობაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სასუქი პუნქტის მშენებლობისათვის გამოიყო თანხა, მებოსტნეობა-მერძევეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგებული იქნა 260 სული პირუტყვისათვის სადგომი. ერთ ჰექტარ ფართობზე მოეწყო სასათბურე მეურნეობა, რაიონის მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანების, საკონსერვო ქარხნის, ხილისა და ციტრუსების მისაღები მოედნებისა და საწყობების, აგრეთვე წისქვილკომბინატში სიმინდის მისაღები საწყობის, № 2 ჩაის ფაბრიკის შენობა-დანადგარების, ხორცისა და რძის ქარხნის, აგრეთვე პირუტყვის მისაღები მოედნის რეკონსტრუქციისათვის გამოიყო თანხები.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებების და საბინაო მშენებლობის ფონდიდან თანხები მიეცა: მერიის კოლმეურნეობას კ. ლესელიძის სახელობის სახლ-მუზეუმის მშენებლობისათვის. საკვებწარმოების სამეურნეობათაშორისო გაერთიანებას პალიასტომის ტერიტორიაზე მუშათა საცხოვრებელი ბინების და სასადილოს მშენებლობისათვის. რაიკავშირის გამგეობას, სოფლად სავაჭრო ობიექტების მშენებლობისათვის და სხვა.

მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან თანხები გაიცა გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ჩაის ნედლეულის პირველადი გადამამუშავებელი ფაბრიკების, საკონსერვო ქარხნის, სამეურნეობათაშორისო გაერთიანების და სხვა საწარმოთა მუშაკების პრემირებისათვის.

მახარაძის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებულ ფონდებში გადარიცხულმა თანხამ 1984 წელს 4116,6 ათასი მანეთი შეადგინა. მას დაემატა ნაშთი 333,3 ათასი მანეთი. სულ 4510,0 ათასი მანეთი. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ 1984 წელს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებულ ფონდებში გეგმით უნდა გადაერიცხათ 4422 ათასი მანეთი. ფაქტიურად ნაკლები თანხები გადარიცხეს: მელექედურის, შემოქმედის, დვაბზუს, ცხემლისხიდის, მთისპირის და ბახვის კოლმეურნეობებმა, აგრეთვე ორმაგი დაქვემდებარების საწარმოებმა: ანასეულის სოფლის მეურნეობის ტექნიკუმმა, საკვების მომპოვებელმა და დამამზადებელმა გაერთიანებამ, საკონსერვო ქარხანამ და სამრეწველო კომბინატმა.

წარმოების გაფართოებისა და განმტკიცების ფონდიდან გეგმით უნდა დახარჯულიყო 1700 ათასი მანეთი. აღნიშნული თანხა ფაქტიურად გამოიყენეს შემდეგი ღონისძიებებისათვის: ბაილეთის კოლმეურნეობაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სასუქი პუნქტის, ნარუჯის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმის და საშენ მასალათა კომბინატის მშენებლობისათვის, მეფრინველეობის კომბინატის მშენებლობისათვის, მეფრინველეობის ფაბრიკის რეკონსტრუქციისათვის და სხვა.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდიდან გეგმით უნდა დახარჯულიყო 940 ათასი მანეთი. ფაქტიურად გამოიყენეს 1047 ათასი მანეთი. აღნიშნული თანხა გაიცა: სოფლად სპორტული კომპლექსის და საცხენოსნო კლუბის მშენებლობისათვის, აგრეთვე ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში სათბურის მშენებლობისათვის და სხვა.

მატერიალური წახალისების ფონდიდან გეგმით უნდა დახარჯულიყო 1844 ათასი მანეთი, ფაქტიურად დაიხარჯა 1167 ათასი მანეთი, აღნიშნული თანხა გამოიყენეს გაერთიანების მოწინავე მუშაკთა პრემირებისათვის. სარეზერვო ფონდიდან თანხები გაიცა: მეფრინველეობის ფაბრიკისა და სოფლად კომუნალური მომსახურების კომბინატის საბრუნავი საშუალებების შესავსებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახარაძის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდის შექმნამ და შემდეგ ამ ფონდიდან თანხების გამოყენებამ რაიონში ბევრი საკითხი დადებითად გადაწყვიტა. მაგრამ აქვე გვინდა შევჩერდეთ ზოგიერთ ნაკლოვანებაზე, რაც რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდებიდან თანხების მიზნობრივ გამოყენებაში შეინიშნება. ა) სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდიდან გეგმურთან შედარებით 11,4 პროცენტით მეტი თანხა დაიხარჯა, ხოლო მატერიალური წახალისების ფონდიდან გეგმურთან შედარებით 36,7 პროცენტით ნაკლები თანხა იქნა გამოყენებული, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საჭიროა თანხების გეგმური და ფაქტიური ხარჯვა ერთმანეთთან შეწონასწორებულად სწარმოებდეს. ბ) ჩვენის აზრით სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდიდან ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში სათბურის მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხა 400 ათასი მანეთი, წარმოების გაფართოებისა და განმტკიცების ფონდიდან უნდა გამოყოფილიყო. ალბათ აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდიდან გეგმურთან შედარებით ფაქტიურად მეტი თანხები იქნა დახარჯული, რასაც მომავალში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. გ) მახარაძის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდებიდან ორმაგი დაქვემდებარების საწარმოთა გაფართოებისა და განმტკიცებისათვის მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება, ვიდრე ამ ორგანიზაციებიდან ცენტრალიზებული ფონდებში გადაირიცხება. მაგალითად „სოფლენერგოსა“ და საშენ მასალათა კომბინატის მშენებლობისათვის ცენტრალიზებული ფონდებიდან გამოიყო 462 ათასი მანეთი, მაშინ როდესაც ამ ორგანიზაციების მიერ აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებულ ფონდებში გადარიცხული თანხა 6 ათას მანეთს არ აღემატებოდა (გეგმურთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლები).

ორმაგი დაქვემდებარების საწარმოების მიერ გაერთიანების ცენტრალიზებულ ფონდებში თანხების გადარიცხვის საკითხთან დაკავშირებით ანალოგიური მდგომარეობაა რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში. ჩვენის აზრით 1985 წლის ნოემბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებაში „აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ გატარებული ღონისძიებები, მათ შორის „სახაგრომრეწვის“ შექმნა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სტრუქტურას, დაგეგმვისა და დაფინანსების საკითხს აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენლობაში შემავალ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და სხვა სახელმწიფო საწარმოებში, რითაც მოიხსნება ის დაბრკოლება, რაც აღნიშნულ საწარმოო-ორგანიზაციებს შორის არსებობდა და მოწესრიგდება მათ მიერ ცენტრალიზებულ ფონდებში თანხების გადარიცხვისა და მათ შორის ამ სახსრების მიზნობრივი გამოყენების საკითხი.

განვიხილოთ გალის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში ცენტრალიზებული ფონდების მოზიდვისა და გამოყენების საკითხი. 1984 წელს გალის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებულ ფონდებში თანხები გადარიცხეს კოლმეურნეობებმა — 220,3 ათასი მანეთი. საბჭოთა მეურნეობებმა — 175,6 ათასი მანეთი, ორმაგი დაქვემდებარების საწარმოებმა 101,1 ათასი მანეთი — სულ 497,0 ათასი მანეთი. რაიონული გაერთიანების

ცენტრალიზებული ფონდებიდან თანხები გაიცა: საბერიოს განთიადის სახელობის კოლმეურნეობის, ლუკუხინის მეცხოველეობის გაერთიანების, აგრეთვე ჭუბერხინჯის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის წარმოების განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

გალის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდებიდან თანხები გადაერიცხა სხვადასხვა საჭიროებისათვის: გალის მუსიკალურ სკოლას, გალის რაიონული განათლების განყოფილებას, პროფტექნიკურ სასწავლებელს, „აფხაზმრეწვის“ რესპუბლიკურ გაერთიანებას, გალის რაიონულ კულტურის სახლს. აღნიშნული ორგანიზაციები არ უნდა შედიოდნენ გაერთიანების შემადგენლობაში, ამიტომ მათთვის თანხების მიცემა დებულების დარღვევაა. დებულებაში კი მითითებულია, რომ ცენტრალიზებული ფონდების თანხები მიმართული უნდა იქნეს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი მეურნეობებისა და საწარმოო-ორგანიზაციების განვითარებისათვის, მათი ეკონომიკის შემდგომი განმტკიცებისათვის.

პრობლემის შესწავლამ გვიჩვენა, რომ რესპუბლიკაში რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდების ფორმირებასა და მიზნობრივ გამოყენებაში რიგი ნაკლოვანებების მიუხედავად, ცენტრალიზებული ფონდების თანხების გამოყენებამ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელებს საშუალება მისცა გადაეწყვიტათ მათ წინაშე მდგომი საწარმოო, სოციალურ-კულტურული, ფინანსური და საყოფაცხოვრებო საკითხები. 1984 წელს ამ მიზნით დაიხარჯა რესპუბლიკის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებში თავმოყრილი თანხების 63 პროცენტი. გახარჯული მთლიანი თანხის 59,1 პროცენტი მოხმარდა წარმოების განვითარებასა და განმტკიცების ღონისძიებებს, 14,7 პროცენტი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის საჭიროებას. 15,2 პროცენტი მშრომელთა მატერიალურ წახალისებას, ხოლო 10 პროცენტი მეურნეობათა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

Л. Е. ДАТУНАШВИЛИ

## РОЛЬ ЦЕНТРАЛИЗОВАННЫХ ФОНДОВ В ДЕЛЕ РАЗВИТИЯ АГРОПРОМЫШЛЕННОГО КОМПЛЕКСА

Резюме

На уровне районных агропромышленных объединений рассмотрены вопросы формирования и использования централизованных фондов. Изучены положительные и отрицательные стороны их создания и использования в некоторых районных агропромышленных объединениях республики и намечены пути устранения имеющихся недостатков.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ.

„მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1986. № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ ცომაია, თენგიზ ლორთქიფანიძე

# ავამაღლოთ რაიონული სამომხმარებლო კოოპერაციის ეფექტიანობა

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტში ნათქვამია „უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა ადამიანების მზარდი მოთხოვნილება მაღალხარისხოვან და მრავალფეროვან საქონელსა და მომსახურებაზე... გავზარდოთ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონელბრუნვის მოცულობა დაახლოებით 1,8-ჯერ“[1].

ქობულეთის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაცია ერთ-ერთი დიდი ორგანიზაციაა „ცეკავშირის“ სისტემაში. 1984 წელს ამ რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ საქონელბრუნვის გეგმა 35308 ათასი მანეთის ნაცვლად შესრულებულ იქნა 34547 ათასი მანეთით ანუ 98,1 პროცენტით. აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება 1983 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს—19,5%-ით. აღნიშნული ჩამორჩენა გამოწვეულია მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით. უკანასკნელ წლებში ვაჭრობის სისტემაში მტკიცედ დამკვიდრდა გეგმების კორექტირების მავნე პრაქტიკა — სავაჭრო ორგანიზაციებში საქონლის შეტანა ძირითადად თვის ბოლოს ხდება, რაც იწვევს საქონლის რეალიზაციის სირთულეს, უარყოფითად მოქმედებს გეგმის შესრულებაზე.

ბოლო წლების მანძილზე ბორჯომის მინერალური წყლების ქარხანა ქობულეთის რაიონულ სამომხმარებლო კოოპერაციას მინერალური წყლის „ბორჯომის“ მთელი წლის ფონდს — 450 ათას ცალს (ხშირად ფონდის ზემოთაც) უგზავნის იანვარ-თებერვალში. რაიონში სუსტი სასაწყობო მეურნეობის გამო გვიანდება ვაგონების დაცლა, ადგილი აქვს მათ ხშირ მოცდენებს. გარდა ამისა, მოწოდებული „ბორჯომის“ დიდი ნაწილი დაბალი ხარისხისაა, ნაკლებია მასზე მოსახლეობის მოთხოვნილება, რის გამოც სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობას უხდება მისი გაცვლა სხვა საქონელზე.

რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში დეფიციტური საქონელი (რომელიც გეგმის შესრულების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია), შემოდის თვის ბოლო დღეებში. უფრო მიზანშეწონილი იქნება რაიკავშირმა იგი თვის შუა რიცხვებში მიიღოს.

დღეისათვის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში მთელი რიგი სახალხო მოხმარების საქონლის ნაკლებობაა. კერძოდ, არ არის სარეცხი მანქანები, საკერავი მანქანები, ლამპის შუშები, მაცივრები.

სუსტია სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: არ ჰყოფნით სავაჭრო და სასაწყობო ფართი, სამაცივრო დანადგარები. რაიკავშირს ემსახურება „ცე-

---

[1] სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი „საბჭოთა საქართველო“, თბილისი; გვ. 10.

კავშირის“ სისტემის სატრანსპორტო კანტორა, რომლის სატრანსპორტო საშუალებათა უმეტესი ნაწილი მოძველებულია და ამორტიზირებულია, რის გამოც ტრანსპორტი ხშირად თვეობით რემონტში დგას. მწვავედ იგრძნობა სათადარიგო ნაწილების ნაკლებობა. უნდა ამაღლდეს სამომხმარებოლო კოოპერაციის როლი პირად დამხმარე მეურნეობების ნაკვეთებზე წარმოების მართვაში, რისთვისაც სამომხმარებლო კოოპერაციამ ყველა მწარმოებელთან, კოლმეურნეებთან და მუშა მოსამსახურეებთან უნდა დადოს ხელშეკრულება, სადაც აღნიშნული იქნება მხარეთა უფლება-მოვალეობანი, პროდუქციის შესასყიდი ფასები, შეღავათები. სამომხმარებლო კოოპერაციამ უფრო მეტად უნდა იზრუნოს საკარმიდამო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის — ყოველ რაიონში აუცილებლად უნდა იყოს მცირე მექანიზაციის საშუალებათა, საკვების, სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გასაყიდი პუნქტი ან მაღაზიები. სამომხმარებლო კოოპერაციას საკარმიდამო მეურნეობისათვის უნდა ჰქონდეს სპეციალური საკონსულტაციო სამსახური, სადაც კვალიფიციური სპეციალისტები საჭირო რჩევა-დარიგებას მისცემენ და მოემსახურებიან მწარმოებლებს მათთვის საჭირო ყველა საკითხზე. სამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიებს უფლება უნდა მიეცეთ მოსახლეობიდან უშუალოდ შეისყიდონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და გაუშვან იგი ბრუნვაში.

რაიონში „ცეკავშირის“ სისტემის ერთ-ერთი დიდი საწარმოა ქობულეთის საკონსერვო ქარხანა. 1984 წელს ქობულეთის საკონსერვო ქარხანამ მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 113,3%-ით — გეგმის ზევით გამოშვებულ იქნა 413,3 ათასი მანეთის პროდუქცია, 2814 ათასი მანეთი სასაქონლო პროდუქციის ნაცვლად წარმოებულ იქნა 3167,6 ათასი მანეთის პროდუქცია. დაგეგმილი 300 ათასი მანეთი მოგების ნაცვლად მიღებულ იქნა 456,8 ათასი მანეთი მოგება, დანახარჯები 1 მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე დაგეგმილი 94,1 კაპიკის ნაცვლად შემცირებულ იქნა 90 კაპიკამდე, წარმოების რენტაბელობამ დაგეგმილი 16,1%-ის ნაცვლად შეადგინა 25,2%[2].

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, საკონსერვო ქარხნის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი სირთულეებია. შევეხებით ზოგიერთ მათგანს.

სახელმწიფო შესყიდვის ფასი „კაიფერა“ მსხალზე 20 კაპიკია, ამასთან სტანდარტი ითვალისწინებს მისი ხელით მოკრეფას. ასეთი მცირე შესყიდვის ფასის გამო მოსახლეობა მას ძირითადად ფერთხავს და ისე მოაქვს ქარხანაში, ხოლო დაფერთხილი მსხალიდან ვერ იწარმოება ხარისხოვანი პროდუქცია, რის გამოც ქარხანა გარკვეულ ზარალს ღებულობს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ შეიცვალოს სახელმწიფო სტანდარტი „კაიფერა“ მსხალზე. უნდა იყოს სტანდარტული და უსტანდარტო მსხალი და მათი შესყიდვის ფასი დაწესდეს შესაბამისად 40 და 20 კაპიკი, ხოლო მისი დახარისხება უნდა დაევალოს შემფუთავ ქარხანას.

ასევე მაღალრენტაბელური ტყემლის კომპოტების წარმოებისათვის მიზანშეწონილია დღეისათვის არსებული ტყემლის ერთი სტანდარტის ნაცვლად (სახელმწიფო შესყიდვის ფასი — 35 კაპ.) იყოს ორი სტანდარტი — სტანდარტული (შესყიდვის ფასი 40 კაპ.) და უსტანდარტო (შესყიდვის ფასი 20 კაპ.).

დღეისათვის ქარხანაში ერთ-ერთი რთული პრობლემაა პროდუქციის გასა-

---

[2] მონაცემები აღებულია ქობულეთის რაიონის საკონსერვო ქარხნის წლიური ანგარიშგებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღება. განსაკუთრებით ეს ეხება ციტრუსის პროდუქციას (ქარხნის სასაქონლო პროდუქციის 70% ციტრუსების პროდუქციაზე მოდის). განსაკუთრებით დიდი რაოდენობით უშვებს ქარხანა მანდარინის წვენებს (1984 წელს დაგეგმილი 1000 ტუბის ნაცვლად ქარხანამ გამოუშვა 2000 ტუბი). მისი საგემოვნო თვისებები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნებს. ამასთანავე საკმაოდ ძვირიცაა — 3 ლიტრიანი ქილა ღირს 7,5 მანეთი. საყიდლად მოუხერხებელია — გამოდის მხოლოდ 3 ლიტრიან ქილებში. ძალზე დაბალი ხარისხისაა ეტიკეტები, რომელსაც ცენტრალიზებულად იღებენ „ცეკავშირიდან". დაბალია ქილების ხარისხიც (ასე, მაგალითად, ქუთაისიდან მიღებული ქილები მწვანე ფერისაა, რაც მნიშვნელოვნად აუარესებს პროდუქციის გარეგნულ სახეს). მიზანშეწონილი იქნება, თუ კი მანდარინის წვენი ჩამოისხმება „პეპსი-კოლას" 330 გრამიან ქილებში ლამაზი ეტიკეტით, რაც გააუმჯობესებს პროდუქციის გარეგნულ სახეს, უფრო ხელმისაწვდომი გახდება საყიდლად, მნიშვნელოვნად დაჩქარდება რეალიზაცია.

დღეისათვის ქარხანაში საკმაოდ მოძველებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საჭიროა უმოკლეს ვადაში დაიდგას კომპოტების, ჯემის, მურაბის ახალი ტექნოლოგიური ხაზები, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმდინარე წლიდან უკვე სირთულეები წარმოიქმნება ნედლეულის მიღებაში.

დღევანდელ პირობებში დიდი დრო მიაქვს დაფასოების პროცესს, რაც ხელით სრულდება. ავტომატურ ან ნახევრად ავტომატურ დაფასოებაზე გადასვლა ქარხნისათვის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. ქარხანა განიცდის პასტერიზატორის ნაკლებობასაც, რაც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

დღეისათვის ქარხანაში მოქმედებს მაცივარი, რომლის სიმძლავრე 100 ტონაა. წარმოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის ქარხანას ესაჭიროება 300 ტონა სიმძლავრის მაცივარი.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან რეზერვს ქარხანაში წარმოადგენს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებასთან კავშირურთიერთობის შემდგომი გაღრმავება. დღეისათვის ეს ურთიერთობა მხოლოდ აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებულ ფონდებში თანხების გადარიცხვით შემოიფარგლება, რომელსაც არასისტემატური ხასიათი აქვს. ამას იწვევს ის გარემოება, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოები და ორგანიზაციები ემორჩილებიან „ცეკავშირის" გამგეობას და საქართველოს სსრ ცენტრალურ კომიტეტს, ხოლო დებულებები რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების შესახებ და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდის შესახებ მიღებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, რის გამოც სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოები და ორგანიზაციები ძალზე ხშირად უარს ამბობენ თანხების გადარიცხვაზე რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა ცენტრალიზებულ ფონდებში. დღეისათვის ქარხნის ნედლეულით მომარაგება დაკისრებული აქვს ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს „აჭარსოფლდამზადების" გაერთიანებას. უფრო გამართლებული იქნება თუ კი ეს ფუნქცია იმ ნედლეულზე, რომელსაც ქარხანა ღებულობს რაიონიდან, დაეკისრება აგროსამრეწველო გაერთიანებას. საჭიროა გაერთიანებამ რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მიამაგროს საკონსერვო ქარხანაზე. ქარხნის ნედლეულით შეუფერხებელ მომარაგებაზე პასუხი უნდა აგოს აგროსამრეწველო გაერთიანებამ. ქარხნის რიტმული და-

ტვირთვისათვის საჭიროა აგროსამრეწველო გაერთიანებამ შეიმუშავოს ნედლეულის კრეფისა და გადაზიდვის გრაფიკი, ხოლო ქარხანამ — შესაბამისად მიღების გრაფიკი. საჭიროა დაწესდეს მკაცრი კონტროლი აღნიშნული გრაფიკების ზუსტად დაცვაზე. აღნიშნული ღონისძიებების გატარებით რაიონში მნიშვნელოვნად დაჩქარდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის „წარმოება-გადამუშავების“ ციკლი, ამაღლდება აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტიც. დღეისათვის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის გეგმა არ შედის რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმაში. რაიონის ხელმძღვანელობას არც აინტერესებს შეასრულებს თუ არა სამომხმარებლო კოოპერაცია გეგმას, ვინაიდან იგი რაიონის მაჩვენებლებზე არ მოქმედებს, რაც ჩვენი აზრით არასწორია. საჭიროა რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის გეგმა შედიოდეს რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კრებსით გეგმაში და მისი შესრულებისათვის რაიონის ხელმძღვანელობას ისევე უნდა მოეთხოვოს, როგორც რაიონის კრებსითი გეგმის შესრულებისათვის.

Н. П. ЦОМАЯ, Т. Д. ЛОРДКИПАНИДЗЕ

## О ПОВЫШЕНИИ ЭФФЕКТИВНОСТИ РАЙОННОЙ ПОТРЕБИТЕЛЬСКОЙ КООПЕРАЦИИ

Резюме

В работе рассмотрены вопросы, связанные с совершенствованием хозяйственной деятельности потребительской кооперации изучаемого района.

Анализируется работа Кобулетского консервного завода — одного из крупных предприятий потребительской кооперации.

Даны практические рекомендации, которые будут способствовать повышению эффективности потребительской кооперации как данного, так и ряда других районов республики.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ აქუბარდია

# საკურორტო მეურნეობის ძირითადი ფონდების ეფექტიანობის მაჩვენებლების საკითხისათვის

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა ორ ასპექტში განიხილება: ზოგადეკონომიკურ და სოციალ-ეკონომიკურ ასპექტში. საკითხისადმი ასეთი მიდგომა იმით არის განპირობებული, რომ წარმოების ნებისმიერი წესისათვის დამახასიათებელია მისი ორი მხარის, მწარმოებლური ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობა. წარმოების ზოგადეკონომიკური ეფექტიანობა უპირატესად მწარმოებლურ ძალთა ფუნქციონირების შედეგიანობას გამოხატავს და იგი განისაზღვრება შრომის მარტივი პროცესის პოზიციებიდან, როდესაც ხდება მისი სოციალური ფორმისაგან აბსტრაგირება. წარმოების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება წარმოებით ურთიერთობათა ხასიათით, წარმოების მოცემული წესისათვის დამახასიათებელი სპეციფიკურ ეკონომიკურ კანონთა მთელი სისტემით და, რაც მთავარია, პირველ რიგში მისი ძირითადი ეკონომიკური კანონით. მაშასადამე, სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა საბოლოო ჯამში წარმოადგენს სამეურნეო პრაქტიკაში ძირითადი ეკონომიკური კანონის რეალიზაციის ზომას.

თანამედროვე ეტაპზე გაზრდილ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებში იგულისხმება არა მარტო მატერიალური, არამედ მუდმივად მზარდი და მრავალფეროვანი სულიერი მოთხოვნილებებიც, რომელთა დაკმაყოფილებაში მატერიალური წარმოების სფეროსთან ერთად სულ უფრო აქტიურ როლს თამაშობს არამატერიალური სფეროც, რამაც თავისი ლოგიკური ასახვა ჰპოვა სოციალიზმის ძირითადი კანონის ფორმულირებაშიც[1].

საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ზემოხსენებულ ასპექტებში განხილვა წარმოადგენს მეთოდოლოგიურ საფუძველს არაწარმოებითი სფეროს ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისთვისაც, რამდენადაც დღეისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში უკვე დამკვიდრებული შეხედულების თანახმად ეკონომიკური ურთიერთობანი ვრცელდება უშუალოდ მატერიალური წარმოების ფარგლებს გარეთაც იმასთან დაკავშირებით, რომ მატერიალურ ღირებულებათა მოძრაობა გარკვეული საზოგადოებრივი ფორმით ეკონომიკურ კანონთა მოქმედების სფეროში საზოგადოების ყველა იმ წევრებსაც შეიყვანს, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ წარმოებასა და გაცვლაში[2].

---

[1] ლ. ჩიქავა, არამატერიალური წარმოების როლი სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა რეალიზაცაში, „ეკონომისტი", 1984, № 12, გვ. 46—57.

[2] Солодков М. В. Непроизводственная сфера при социализме, М., 1981, с. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენადაც არაწარმოებით სფეროში დახარჯული შრომა მიმართულია ადამიანზე, როგორც მოქმედების ობიექტზე და შრომის შედეგები ძირითადად სასარგებლო ეფექტის სახით მოიცემა, ამდენად სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება განაპირობებს დროის ეკონომიის კანონის მოქმედების რიგ თავისებურებებს არაწარმოებით სფეროში თუნდაც იმ გაგებით, რომ სოციალისტური საზოგადოებისათვის სულაც არ არის სულერთი, თუ რა გზებით და რა საშუალებებით ხდება ამ ეკონომიის მიღწევა.

ამრიგად, არაწარმოებითი სფეროს ფუნქციონირების ეფექტიანობის ცნებაში იგულისხმება მისი ისეთი განვითარება, რომელიც სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების უზენაესი მიზნის რეალიზაციას უზრუნველყოფს შრომის ოპტიმალური დანახარჯებით. ამასთან, ეს დანახარჯები იქით უნდა იყოს მიმართული, რომ იგი ზემოთ აღნიშნული აზრით უზრუნველყოფდეს თავისუფალი დროის ზრდას. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს არაწარმოებითი სფეროს ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდას, ეს შემდეგი ციფრებიდანაც ჩანს: დღეისათვის საოჯახო საქმეებზე და თვითმომსახურებაზე ქვეყნის მასშტაბით იხარჯება დაახლოებით 150 მლრდ. კაც-საათი, ანუ სხვანაირად, მთლიანად საზოგადოებრივ მეურნეობაში დახარჯული დროის 62%-მდე. არაწარმოებითი სფეროს რიგი დარგების განვითარების არსებული შესაძლებლობების რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს შევამციროთ ეს დანახარჯები დაახლოებით ორჯერ მაინც[3], რაც, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს შესაბამისად გავზარდოთ თავისუფალი დროის ფონდი, ანუ მეტი დრო დაეთმოს აქტიურ დასვენებას, კულტურისა და განათლების დონის ამაღლებას, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ სასიკეთო უკუგავლენას მოახდენს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის გარკვეულ მნიშვნელობას იძენს არაწარმოებითი სფეროს ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის საკითხი. როგორც მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების დონისა და სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, 70-იანი წლებისათვის მოსახლეობის კომუნალურ-საცხოვრებელი მეურნეობის ძირითადი ფონდებით უზრუნველყოფის დონე საზოგადოებრივად აუცილებელი ნორმალური დონის მხოლოდ 50% თუ შეადგენდა[4]. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა სხვა სახის მომსახურებაზეც[5]. გამონაკლისს არც საკურორტო მეურნეობა შეადგენს. საილუსტრაციოდ ქ. სოხუმსა და გაგრაში, მიმდინარე ეკონომიკური ექსპერიმენტებიც გამოდგება, რომლის ძირითად მიზანს არაორგანიზებულ დამსვენებელთა მომსახურების დონის გაუმჯობესება წარმოადგენს.

ამიტომაც მიექცა ასეთი განსაკუთრებული ყურადღება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986—2000 წლების კომპლექსურ პროგრამაში საკურორტო მეურნეობის განვითარე-

---

3 Экономика развитого социалистического общества, М., 1977, с. 382.

4 საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების ნორმალურ დონეს არაწარმოებით სფეროში შეესაბამება მოცემული დარგის ისეთი დანახარჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების ყველა წევრის საკმაოდ მაღალი ხარისხის მომსახურებას. აქედან გასაგებია, თუ რას ნიშნავს ძირითადი ფონდებით უზრუნველყოფის ნორმალური დონე.

5 Солодков М. В. Экономика непроизводственной сферы, М., 1980, с. 130.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას საერთოდ საკავშირო მასშტაბით და განსაკუთრებით საქართველოს რესპუბლიკაში. კომპლექსურ პროგრამაში კერძოდ მითითებულია, რომ 1990 წელს საკურორტო მომსახურების მოცულობა გაიზრდება 25—30%-ით და 2000 წელს — 2,3—2,5-ჯერ. გაფართოვდება სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლებისა და ბაზების ქსელი[6].

როგორც ცნობილია, ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის გამომხატველ განზოგადებულ მაჩვენებელს წარმოადგენს ფონდუკუგება, მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი საწარმოო ფონდების ეფექტიანობის განსაზღვრისათვის ფონდუკუგების მაჩვენებლის დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, არაწარმოებით სფეროში ძირითადი ფონდების ეფექტიანობის საკითხებთან დაკავშირებით საბოლოოდ ჩამოყალიბებული კრიტერიუმები ჯერ კიდევ არ გვაქვს...[7]

დღეისათვის არაწარმოებით სფეროში ფონდუკუგების მაჩვენებლის განსაზღვრა ხდება, როგორც გაწეული მომსახურების მოცულობის შეფარდება ძირითადი ფონდების ღირებულებასთან და ამდენად ფონდუკუგება განსაზღვრულია როგორც ღირებულებითი მაჩვენებელი.

მომსახურების მოცულობის ფულად ფორმაში გამოხატვა ფართოდ გამოიყენება ეკონომიკაში. დღეისათვის საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში გვაქვს სხვადასხვა მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ხდება გაწეული მომსახურების ფულადი შეფასება. იმ შეხედულების გაზიარება, რომ არაწარმოებით სფეროში დახარჯული შრომის უდიდესი ნაწილი არ ქმნის ეროვნულ შემოსავალს, სულაც არ გულისხმობს იმას, რომ არაწარმოებითი სფეროს მუშაკთა შრომის შედეგები არ გამოიხატება ფულადი ფორმით. მიუხედავად იმისა, რომ აქ შრომის შედეგებს საზოგადოდ ნივთიერი ფორმა არა აქვთ, ისინი გაიცვლებიან როგორც მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილ პროდუქტებზე, ასევე არაწარმოებითი სფეროს შიგნით შექმნილ სხვა სახის მომსახურებაზეც. ამის შესახებ წერდა კ. მარქსი, რომ არამწარმოებლურ მუშაკთა მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება იმავე (ან ანალოგიური) ხერხით, როგორითაც განისაზღვრება მწარმოებლურ მუშაკთა შრომის ღირებულება, კერძოდ კი წარმოების დანახარჯებით, რომელიც მათი შენახვის, ან მათი წარმოებისთვისაა საჭირო[8].

არაწარმოებითი სფეროს იმ დარგების მომსახურების მოცულობა, სადაც ჭარბობს ფასიანი მომსახურება, ტოლია მატერიალური დანახარჯების, ხელფასის და მოგების ჯამის, ხოლო იქ სადაც მომსახურების გაწევა ხდება უფასოდ ან შეღავათიან პირობებში ტოლია სახელმწიფოს, ან კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ გაწეული იმ დანახარჯების, რომლებიც გამიზნულია მოცემული დარგის დაწესებულებათა შესანახად და რომელშიც შედის მატერიალური დანახარჯები და ხელფასი[9]. რაც შეეხება ძირითადი ფონდების ღირებულების შეფასებას, ჩვენ ვიზიარებთ იმ ეკონომისტების შეხედულებას, რომელთა მიხედვითაც ძირითადი ფონდების ნამდვილ ღირებულებას ყოველი მოცემული მო-

6 გაზ. „კომუნისტი", № 234, 1985 წ., 10 ოქტომბერი

7 Вопросы экономики, 1979, № 11, с. 154—156.

8 კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, კაპიტალი, ტ. IV, ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 164.

9 Методические указания к разработке государственных планов экономического и социального развития СССР, М., 1980, с. 676.

მენტისათვის წარმოადგენს ძირითადი ფონდების ნარჩენი ღირებულება შრომის საშუალებების მატერიალური და მორალური ცვეთის გათვალისწინებით და ამდენად ძირითადი ფონდების შეფასების სწორედ ეს სახე უნდა იქნეს გამოყენებული ფონდუკუგების მაჩვენებლის გამოთვლისას[10].

ცხრილი № 1

საქ. სსრ პროფკავშირების საკურორტო დაწესებულებათა
ფონდუკუგების მაჩვენებლების დინამიკა 1965—1984 წწ.[11]

| მაჩვენებლები | 1965 | 1970 | 1975 | 1980 | 1984 |
|---|---|---|---|---|---|
| ძირითადი ფონდები ათას მანეთობით | 70954 | 111643 | 139806 | 161943 | 190975 |
| ძირითადი ფონდების ზრდის ტემპები %-ით | 100 | 157,3 | 183,0 | 228,3 | 269,2 |
| მომსახურების მოცულობა ათას მან-ით | 27200 | 43866 | 47543 | 61122 | 71519 |
| მომსახ. მოცულობის ზრდის ტემპები %-ით | 100 | 171,2 | 174,8 | 224,7 | 262,9 |
| ფონდუკუგების მაჩვენებელი მან-ით | 0,38 | 0,39 | 0,34 | 0,38 | 0,37 |

I ცხრილიდან ჩანს, რომ 1965—1984 წწ-ში, როგორც ძირითადი ფონდები, ასევე მომსახურების მოცულობა, თითქმის ერთნაირად გაიზარდა — 2,6-ჯერ. რაც შეეხება წლების მიხედვით მათი ცვლილების დინამიკას, ძირითადი ფონდების ზრდის ტემპები წინ უსწრებს მომსახურების მოცულობის ზრდის ტემპებს, მაგრამ ეს განსხვავება იმდენად მცირეა, რომ ფონდუკუგების მაჩვენებლის დინამიკა განხილულ პერიოდში არ ამჟღავნებს არც ზრდის და არც შემცირების ტენდენციას. მთლიანად ფონდუკუგების მაჩვენებლის სიდიდე საქართველოს კურორტებისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

მხოლოდ ფონდუკუგების მაჩვენებლის საშუალებით ძნელია ვიმსჯელოთ საკურორტო მეურნეობის ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის შესახებ, რადგანაც ხშირად ახალი ფონდების მოქმედებაში მოყვანა მიმართულია არა მხოლოდ მომსახურების მოცულობის გაზრდისაკენ, არამედ შრომის პირობების გაუმჯობესებისაკენ, შრომის მწარმოებლურობის გაზრდისაკენ შრომითი დანახარჯების შემცირების გზით. ამდენად ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრისათვის გარკვეულ მნიშვნელობას იძენს საკურორტო მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ფონდშეიარაღების მაჩვენებლის შესწავლა, რომელიც წარმოადგენს ძირითადი ფონდების შეფარდებას დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობასთან. შრომის ფონდშეიარაღების ზრდა იწვევს, ჯერ ერთი, მუშაკთა შრომის პირობების გაუმჯობესებას და მეორეც, შრომის შედეგების, ანუ ჩვენ შემთხვევაში მომსახურების ხარისხის ზრდას, რაც აგრეთვე ძალზე მნიშვნელოვანია. როგორც საკურორტო მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ფონდშეიარაღების მაჩვენებლის დინამიკის შესწავლამ გვიჩვენა მეთერთმეტე ხუთწლედში იგი შეადგენდა 11,4 ათას მანეთს ერთ მუშაკზე, მაშინ როცა მთლიანად არაწარმოებით სფეროში

---

[10] Степанков А. Совершенствование показателей фондоотдачи и производительности труда. Вопросы экономики, 1969, № 6, с. 43—44.

[11] ცხრილი შედგენილია საქ. სსრ პროფკავშირების კურორტების მართვის ცენტრალურ საბჭოში მოპოვებული მასალების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო მასშტაბით მან მხოლოდ 4,3 ათასი მანეთი შეადგინა[12]. ჩვენი აზრით, ეს განსხვავება ძირითადად განპირობებულია ექიმთა და დამხმარე სამედიცინო პერსონალის ნაკლებობით რესპუბლიკის მთელ რიგ საკურორტო ზონებში. მაგალითად, მხოლოდ 1984 წელს საკურორტო დაწესებულებებს 200 ექიმი დააკლდათ, მაშინ როდესაც რესპუბლიკის დედაქალაქში მათი სიჭარბეა.

მიუხედავად იმისა, რომ არაწარმოებითი სფერო სახალხო მეურნეობის, როგორც ერთიანი მექანიზმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მისი ფუნქციონირება სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ეკონომიკური კანონზომიერებების საფუძველზე მიმდინარეობს, ამ სფეროს დარგების ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი განაპირობებენ ისეთი ეკონომიკური სტიმულირების და ბერკეტების გამოყენების სპეციფიურობას, როგორიცაა სამეურნეო ანგარიშიანობა, მოგება, რენტაბელობა და ა. შ. ეს თავისებურებანი განპირობებულია არაწარმოებით სფეროში ღირებულებითი ურთიერთობების მოქმედების სპეციფიურობით, ამ სფეროში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ხასიათით და, აქედან გამომდინარე, მათი შრომის შედეგების თავისებურებებით. ყველაფერი ეს ერთად აღებული გავლენას ახდენს არაწარმოებითი სფეროს დაწესებულებათა სამეურნეო ანგარიშიან ერთიერთობათა მოქმედების ხასიათზე.

დაფინანსების ხერხების, წყაროებისა და დანახარჯების ანაზღაურების სიდიდის მიხედვით არაწარმოებითი სფეროს დარგების კლასიფიკაციის ანალიზი გვიჩვენებს[13], რომ საკურორტო მეურნეობა განეკუთვნება ისეთ დარგებს, რომლებშიც გვხვდება არასრული სამეურნეო ანგარიშიანობის ფორმა და ამდენად მოგებისა და რენტაბელობის ანალიზისას ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

ძირითადი ფონდების რენტაბელობის ნორმის ანალიზს განვიხილავთ, ჩვენი საკვლევი ობიექტიდან გამომდინარე, როგორც მოგების შეფარდებას საკურორტო დაწესებულებების ძირითად ფონდებთან, ხოლო მოგებას — როგორც საგზურების რეალიზაციის შედეგად მიღებულ შემოსავალსა და დანახარჯებს შორის სხვაობას.

როგორც II ცხრილიდან ჩანს ძირითადი ფონდების რენტაბელობის ნორმის სიდიდე 1975—1984 წწ. მერყეობს 3,3—4,0%-ის ფარგლებში და აღნიშნულ პერიოდში არ ხასიათდება ზრდის ტენდენციით. ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ ჯერ ერთი იმაში, რომ საკურორტო მომსახურებით მოსახლეობის დაკმაყოფილების არსებული დონე საგრძნობლად ჩამორჩება მოთხოვნილებას, რის გამოც წინა პლანზე წამოწეულია მოცემული დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ექსტენსიური გაზრდის ამოცანა[14] და ამდენად ძირითადი ფონდების ზრდის ტემპები აღემატება მოგების ტემპებს და მეორეც ის, რომ მოგების საერთო რაოდენობის 30%-მდე განპირობებულია იმ დამსვენებელთა ხარჯზე, რომელთაც გააჩნიათ საგზურები, მაგრამ ან საერთოდ არ ჩადიან დანიშნულების ადგილზე, ან გვიან ჩადიან და, ან ადრე ბრუნდებიან უკან. 1978

---

[12] Непроизводственная сфера СССР, под ред. М. В. Солодкова, М., 1981, с. 229.

[13] Непроизводственная сфера СССР, под ред. М. В. Солодкова, М., 1981, с. 138—139.

[14] თ. აქუბარდია, საკურორტო მეურნეობის ძირითადი ფონდების სტრუქტურის თავისებურებანი, ახალგაზრდა მეცნიერ-ეკონომისტთა VIII რესპუბლიკური კონფერენციის მოხსენების თეზისები, თბ., 1985, გვ. 210.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს ამ კატეგორიის დამსვენებელთაგან საერთოდ არ ჩავიდა დასასვენებლად ან სამკურნალოდ 61,5%, დაგვიანებით ჩავიდა 30,5% და 8% ადრე გამოემგზავრა[15].

ცხრილი № 2

საქ. სსრ პროფკავშირების საკურორტო დაწესებულებათა ძირითადი ფონდების რენტაბელობის ნორმის დინამიკა 1975—1984 წწ.[16]

| მაჩვენებლები | 1975 | 1980 | 1981 | 1982 | 1983 | 1984 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ძირ. ფონდ-ის ღირებულება ათას მან. | 139806 | 161943 | 164720 | 176457 | 180310 | 190975 |
| მოგება ათას მან. | 5648,0 | 6147,0 | 6430,0 | 5893,0 | 6516,0 | 7596,0 |
| რენტაბელობის ნორმა %-ით | 4,0 | 3,8 | 3,9 | 3,3 | 3,6 | 4,0 |

ამდენად ცხადია, რომ რენტაბელობის ნორმის რეალური სიდიდე კიდევ უფრო ნაკლები იქნება.

როგორც ვხედავთ, საკურორტო მეურნეობის ძირითადი ფონდების ეფექტიანობა მთლიანობაში არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, რამდენადაც იგი არ შეესაბამება საზოგადოების გაზრდილ მოთხოვნებს. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არსებული ძირითადი ფონდების ეფექტიანობის გაზრდა დამატებითი კაპიტალდაბანდებების გარეშე გაწეული მომსახურების მოცულობის გაზრდის გზით. საკურორტო მეურნეობაში ძირითადი ფონდების ეფექტიანობის გაზრდის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რეზერვად წარმოგვიდგება საკურორტო მომსახურებაში სეზონურობის დაძლევა.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება წამოიჭრას საკითხი იმის შესახებ, რომ მშრომელთა უმრავლესობას სურს საკურორტო მომსახურებით სარგებლობა ზაფხულის თვეებში. ეს ცხადია, მაგრამ თუ კი მოხერხდება მშრომელთა კულტურული დასვენებისა და გართობისათვის ყველა აუცილებელი პირობების შექმნა, მაშინ მთელი პასუხისმგებლობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ დამსვენებელთა რიცხვი ნოემბრიდან მაისამდე საგრძნობლად გაიზრდება, მითუმეტეს, რომ საქართველოში მზიანი დღეების რიცხვი 180-დან 220 დღემდე გრძელდება[17].

Т. Г. АКУБАРДИЯ

## К ВОПРОСУ О ПОКАЗАТЕЛЯХ ЭФФЕКТИВНОСТИ ОСНОВНЫХ ФОНДОВ КУРОРТНОГО ХОЗЯЙСТВА

В статье на основе изучения литературных источников дается попытка определения эффективности функционирования непроизводственной сферы. В связи с этим исследуются показатели эффективности основных фондов курортного хозяйства Грузинской ССР, определяется основной путь их повышения.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის არასაწარმოო სფეროს ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ

15 Арахамия Ш. Г. Экономические и социальные проблемы сферы обслуживания развитого социалистического общества, Тб., 1981, с. 86—87.

16 ცხრილი შედგენილია საქ. სსრ პროფკავშირების კურორტების მართვის ცენტრალური საბჭოს მასალების საფუძველზე.

17 ე. კობახიძე, საქართველოს სსრ საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი, თბ., 1971, გვ. 21.

ბიბლიოთეკა

# სამართალი

Е. МИСКАРЯН-ШЕКРИЛАДЗЕ

## ЗАЩИТА И ОХРАНА СЕМЬИ В СВЕТЕ РЕШЕНИЙ XXVII СЪЕЗДА КПСС

Сегодня вряд ли есть смысл доказывать доказанное — то, что семья, эта клеточка человеческого общества, микроорганизм, является именно тем коллективом, на котором зиждется государство, на котором базируется общество в целом. Это неоспоримо. От прочности семей, от их стабильности зависит многое — настроение людей, их трудовая и социальная активность, счастье, здоровье и, что самое важное, продление человеческого рода, воспитание человека будущего — морально и физически здорового, высокообразованного, творчески мыслящего, инициативного, дисциплинированного. Забота о семье, ее защита и охрана — один из важнейших конституционных принципов в нашей стране, объект пристального внимания и заботы Коммунистической партии и Советского государства.

Выступая на XXVII съезде КПСС, Генеральный секретарь ЦК КПСС товарищ М. С. Горбачев уделил особое внимание проблемам укрепления семьи, ее прочности, созданию оптимальных условий для дальнейшего улучшения условий труда и быта женщин, что даст им возможность уделять больше внимания семье, воспитанию детей, успешно сочетать трудовую деятельность с материнством[1].

Не последнее место в решении этих вопросов занимает и решение жилищно-бытовых условий семей, забота о молодоженах, о старшем поколении, подготовка юношества к семейной жизни, повышение у людей чувства ответственности за семью. Все это вызывает необходимость в усовершенствовании действующего брачно-семейного законодательства, строгого контроля за его правильным применением и исполнением, поскольку оно, как наиболее близкое к брачно-семейным отношениям, служит правовым средством помощи, защиты и охраны семьи.

Взаимоотношения в семье отличаются особой спецификой, связаны больше с нормами морали, нравственности, социально-бытовыми отношениями, но, тем не менее, вне правового регулирования и без него они существовать не могут.

Закон начинает действовать с того момента, когда люди объявляют о своем намерении заключить брак. Законодатель ,при наличии определенных условий (достижение брачного возраста, согласие на заключение брака, несостояние в другом зарегистрированном браке и др.) санкционирует брак, регулирует порядок его заключения, определяет условия, препятствующие заключению брака.

Государство не запрещает и не наказывает мужчину и женщину, не желающих, независимо от причин, регистрировать в установленном законом порядке свои отношения, но и не поощряет их. Более того, признается только брак, зарегистрированный в государственных

[1] См. Политический доклад Центрального Комитета КПСС, газ. «Правда», № 57 (24679) от 26 февраля 1986 г., с. 6.

органах записи актов гражданского состояния (ч. 2 ст. 6 КОБС ГССР). Ни религиозный брак или обряды, ни фактические брачные отношения правового значения не имеют и правовой защите не подлежат. Далее, законодатель четко регулирует личные и имущественные правоотношения между супругами, родителями и детьми, а также между иными членами семьи, институт усыновления, опеки и попечительства.

Брак, потерявший свое значение, направленность и смысл, может быть расторгнут. Свобода заключения брака непосредственно связана со свободой развода. Но всякий развод взят под контроль государства. Это — один из основных принципов советского семейного права. Для предотвращения произвола при расторжении брака контроль этот необходим.

Всякий произвол в семье, всякое ущемление и нарушение прав кем-либо из членов семьи, при наличии вины совершившего, не остается безнаказанным. «Неблагоприятные правовые последствия совершения недозволенных законом действий, например, заключение фиктивного брака, злостного неисполнения обязанностей по воспитанию ребенка, порождают применение семейно-правовых санкций к нарушителю закона»[2].

Прочность семьи зависит от самых разных причин — здесь и обязательная регистрация брака, которая даже при очень большой любви мужчины и женщины друг к другу все же необходима, поскольку дисциплинирует супругов и подвергает их отношения не только нормам этического поведения (это необходимо во всех случаях), но и правовому воздействию; здесь и количество детей в семье, поскольку, чем их больше, тем семья прочнее; и поведение родителей, и общая культура. Регистрация брака преследует не только личный интерес вступающих в брак, но также государственный и общественный интерес.

Защищая семью всеми возможными правовыми способами, ратуя за ее прочность гарантированными средствами защиты и охраны, государство стремится к нормализации отношений между людьми, стремится по мере возможности заранее помочь молодым супругам избежать конфликтной ситуации из-за неустроенности в жилищно-бытовом плане, что в первые годы супружества является наиболее частой причиной расторжения брака. Молодоженам оказывают всемерное содействие в индивидуальном строительстве, в возможности внеочередного вступления в жилищно-строительные кооперативы.

Каков же критерий для определения молодоженов? По логике — это лица, вступившие в брак. Но, оказывается, понятие «молодожены» для жилищного законодательства определяется совсем иным критерием. В постановлении ЦК КПСС и Совета Министров СССР от 22 января 1981 г. определено, что молодоженами признаются лица, вступившие в первый брак до 30 лет. Если же это повторный брак хотя бы одного из супругов или же один из них перешел предел тридцатилетнего возраста, то льготы на этих новобрачных не распространяются.

Правда, судя по последним социологическим исследованиям, проведенным В. Сысенко, подавляющее большинство мужчин вступает в брак в возрасте 22—24 лет, женщин — 20—21 года, за пределами же тридцати лет женихов — 5%, невест — 2,9%[3].

---

[2] Нечаева А. М. Брак, семья, закон. М., 1984, с. 4.

[3] См. Сысенко В. Новобрачные в зеркале собственных взглядов, суждений, оценок. В кн.: Молодожены. М., 1985, с. 15.

Процент этот настолько невелик, что вряд ли стоило делать какие-то ограничения и лишать эту категорию новобрачных права на устройство своего жилья и быта. Спора здесь не должно было быть, поскольку семья эта, в течение, по крайней мере десятилетия, все же считается перспективной.

Данное правовое неравенство, где лишение жилищных льгот определяется только лишь возрастной границей, должно быть устранено.

Вызывает некоторую тревогу падение в г. Тбилиси индекса брачности: 1969 г. — 9,8; 1976 г. — 9,7; 1977 г. — 9,8; 1978 г. — 9,8; 1979 г. — 10,2; 1980 г. — 10,2; 1981 г. — 10,3; 1982 г. — 10,0; 1983 г. — 8,9; 1984 г. — 8,8; 1985 г. — 8,9 (на 1000 человек). Причины этой динамики не выяснены полностью, но факт остается фактом. Все приписывать более свободному отношению молодежи к добрачным связям, к т. н. «пробным бракам», очевидно, нельзя. Здесь кроется более серьезная причина.

С другой стороны, благодаря социальной, материальной, правовой помощи государства, увеличение государственных средств и способов в воспитании детей, количество разводов на 1000 человек в г. Тбилиси понизилось. Динамика индекса разводимости выглядит следующим образом: 1969 г. — 2,5; 1976 г. — 2,9; 1977 г. — 3,0; 1978 г. — 3,0; 1979 г. — 2,9; 1980 г. — 2,9; 1981 г. — 2,9; 1982 г. — 3,0; 1983 г. — 2,9; 1984 г. — 2,7; 1985 г. — 2,8.

Правда, уменьшение невелико, но это, хоть и незначительная, но победа правовых средств и способов упрочения семьи.

Забота о детях — главная, основная забота семьи, государства и общества. Для создания здоровых и нормальных условий их жизни и воспитания нужна не только всесторонняя помощь семье, но и, в основном, нормальный в ней микроклимат, ее прочность и устойчивость, а семья может быть крепкой и здоровой только в том случае, если в семье есть дети, и родители наделены чувством ответственности как за их воспитание, так и за поведение.

Всякое расторжение брака — крах семьи, крушение надежд, и, даже в том случае, если развод желаем и неизбежен, вызывает у супругов, особенно у женщины, ощущение потери и одиночества. В этой атмосфере душевного дисконфорта в семье растут дети, зачастую ощущая вседозволенность и безнаказанность из-за отсутствия второго воспитателя — отца, и свою ущербность. На этом фоне повышается количество правонарушений среди несовершеннолетних, в лучшем же случае — срывы в дисциплине, успеваемости, в коллективе.

Можно ли найти действенный правовой способ в уменьшении количества разводов или для его полной ликвидации? Опыт развития брачно-семейного законодательства показал, что его нет. Санкций за разрушение семьи в правовых нормах не содержится, да и вводить их нельзя, поскольку это, во-первых, будет противоречить принципу свободы развода, а во-вторых, правовые санкции, даже самые жесткие, не смогут обеспечить сохранность и устойчивость «умершего» брака. Поэтому с разводами следует бороться загодя — при подготовке молодежи к семейной жизни ;с помощью постепенно прививаемой им правовой культуры, на примере родителей, на воспитании чувства ответственности во всем и за все поступки и т. д. Предотвращение поспешных, легкомысленных браков, которые распадаются почти сразу же или же вскоре после появления ребенка — самая важная морально-психологическая и правовая задача.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Выявление и устранение причин развода (а они самые разнообразные), скурпулезное рассмотрение дел о расторжении брака играют не последнюю роль. Установлено, что в нашей республике каждый третий брак распадается из-за пьянства или алкоголизма одного из супругов. Принятие антиалкогольного законодательства является поэтому большим шагом на пути укрепления семей. Ведь пьющие родители наносят ущерб не только себе, своему здоровью, не только производству, государству, обществу, но, что страшнее всего, своему потомству. Неоспоримо, что дети алкоголиков, а зачастую и их внуки не могут быть совершенно здоровы, они отстают, а иногда и очень сильно, в физическом или умственном развитии, или же нервы их из-за неврозной обстановки в семье до предела напряжены, готовы к срыву. Отсюда — отсталость, правонарушения, преступления и... склонность к спиртным напиткам.

Борьба против пьянства и алкоголизма, безусловно, оздоровляет обстановку в семье, а отсюда — и укрепляет ее. Поэтому борьба за выздоровление каждого пьющего — это борьба за укрепление их семей, за благополучие детей.

Виновное поведение родителей, наносящее детят вред, карается очень суровой семейно-правовой санкцией — лишением родительских прав.

В г. Тбилиси за последние шесть лет (с 1980 по 1985 гг.) судами было удовлетворено 36 исков о лишении родительских прав. На первый взгляд число это кажется незначительным, но за ним стоит по крайней мере тридцать шесть несовершеннолетних со своей взрослой трагедией. Меняется уклад жизни ребенка, безоговорочно, к лучшему, но все же меняется. Надо полагать, что эта санкция, отнимая у недостойных родителей самое дорогое — ребенка, практически освобождает их от забот о нем, оставляя единственную обязанность — выплату алиментов и вносит единственное в их жизнь изменение — уход ребенка, который мешал, из семьи. Правда, законодатель (ч. 2 ст. 64 КОБС ГССР) предусматривает возможность выселения из квартиры родителя, лишенного родительских прав, без предоставления ему другого жилого помещения в тех случаях, если он систематически нарушает правила социалистического общежития, делая для ребенка невозможным совместное с ним проживание. Но во всех остальных случаях страдающей стороной остается невиновный ни в чем ребенок. Очевидно, одновременно с иском о лишении родительских прав следовало бы рассматривать и иски о выселении родителя, лишенного родительских прав и утраты права, в пользу ребенка, на имущества семьи. Поэтому, на наш взгляд, санкцию ст. 64 КОБС ГССР следует усилить.

В резолюции XXVII съезда Коммунистической партии Советского Союза прямо подчеркивается необходимость повышения ответственности родителей за воспитание детей. Это очень справедливое решение, поскольку основной функцией, целью и направленностью семьи является не только рождение, но и должное воспитание ребенка.

Родительские права, обязанности и ответственность как перед самим ребенком, так и перед государством и обществом возникают с первых же дней жизни ребенка. Но, оказывается, распространяются не на всех родителей. Существуют родители, которые с первых же дней жизни ребенка не берут на себя ни прав, ни обязанностей по отношению к ребенку, ни, тем более, ответственности. Это та категория родителей (из которой не исключаются и супружеские пары), которая

6. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1986, 3.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

добровольно отказывается от родительских прав, оставляя ребенка буквально на попечении того лечебного учреждения, где он родился.

Конечно, каждый при желании может отказаться от родительских прав, свободно сложить с себя и родительские обязанности. Государство не станет насильно навязывать ребенка, насильно вверять недобросовестным людям почетное звание родителей, а воспитает ребенка само, своими заботами, на свой счет. Но нам представляется, что поступок таких родителей, как крайне аморальный, не должен оставаться безнаказанным.

Надо полагать, что освобождение от нежеланного или больного ребенка не должно проходить легко и просто — путем дачи расписки об отказе от него. На основании данной ими расписки этих родителей следует лишать родительских прав в соответствии с ч. 2 ст. 64 КОБС ГССР, как уклоняющихся от выполнения обязанностей по воспитанию детей и возлагать на них обязанность по содержанию ребенка (ч. 1 ст. 72 КОБС ГССР); если же они оставляют больного ребенка или ребенка, рожденного с увечьем, то, на основании ст. 76 КОБС ГССР, должны быть привлечены к участию в дополнительных расходах.

Конечно, если воспринять это предложение, количество рассматриваемых дел в народных судах возрастет, но это будет оправдано тем колоссальным воспитательным значением, которое будет иметь эти процессы.

Охрана материнства и детства — государственная забота. Сюда входит целый комплекс мероприятий — охрана здоровья будущей матери, и охрана женского труда, всевозможные профилактические мероприятия по охране здоровья женщин и детей, улучшение быта женщин, социальная, государственная и моральная помощь, оказываемая им и даже льготы в виде преимущественного права молодой матери при поступлении в вузы[4] и первоочередное представления незамужним матерям жилплощади и т. д.

Во всем этом проявляется яркая забота Коммунистической партии и Советского государства о женщине и подрастающем поколении.

На одной из этих льгот следует остановиться — это первоочередное предоставление одиноким матерям жилплощади.

Прежде всего следует отметить, что, если по состоянию на 1 января 1981 года в городе Тбилиси родилось 977 детей, не имеющих отцов, то на 1 января 1986 г. эта цифра возросла до 3031.

Материнство всегда почет, но, независимо от того, состоит женщина в браке или нет, естественно, что установка законодателя о предоставлении этим матерям жилплощади в первую очередь возражений не вызывает. Но, если разобраться в вопросе по существу, то термина мать-одиночка в правовых нормах нет. Брачно-семейное законодательство применяет термин родители, не состоящие в браке между собой, т. е. под понятием «одинокая мать» следует понимать мать, не состоящую в браке. Но одинокими, т. е. не состоящими в браке матерями, являются также разведенные женщины и, тем более, вдовы. Почему же жилищное законодательство распространяет свои льготы только на женщин, родивших детей вне зарегистрированного брака? Разве дети-сироты или дети, чьи отцы ушли из семей, не относятся к категории детей одиноких матерей? На наш взгляд, это усовершен-

[4] См. Постановление Совета Министров ГССР № 457 от 10 июня 1984 г. «О предоставлении льгот молодым матерям при поступлении в высшие учебные заведения республики».

ეროვნული ბიბლიოთეკა

ствование в законе не помешает восстановлению справедливости по отношению к тем женщинам, которые потеряли мужей и сами воспитывают детей. Бесспорно, в квартирах они нуждаются так же, а иногда и гораздо больше, чем одинокая (не бывшая замужем) мать.

Государство обладает могучими средствами охраны и защиты семьи — оказанием материальной помощи семьям, имеющим детей, охраной материнства и детства, улучшением жилищно-бытовых условий семей, охраной труда женщин и несовершеннолетних, и, естественно, нормами брачно-семейного законодательства, которые, с одной стороны, обладают определенными законодательными запретами и дозволениями, а с другой, при помощи этих запретов и дозволений, служат сохранению, укреплению и защите семьи.

Укрепление семьи, ее стабильность и прочность — серьезные и важные проблемы, в решении которых заключается государственный интерес. Именно поэтому в резолюции XXVII съезда КПСС сказано: «Следует осуществить меры по дальнейшему укреплению семьи, повышению ответственности родителей за воспитание детей, улучшению условий труда и быта женщин, позволяющих успешно сочетать материнство с активным участием в трудовой и общественной деятельности. В ближайшие годы полностью удовлетворить потребности населения в детских дошкольных учреждениях»[5].

На реализацию в жизнь резолюций XXVII съезда КПСС должны быть направлены все правовые средства советского законодательства.

Представлена отделом гражданского права Института экономики и права АН ГССР

---

5 Резолюция XXVII съезда Коммунистической партии Советского Союза по Политическому докладу Центрального Комитета КПСС. Газета «Правда», № 65(24687) от 6 марта 1986 г., с. 2.

„მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1986. № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნადარეიშვილი

# სასჯელების ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში („შვიდეული“)

ისეთი სახის ქონებრივი სასჯელი, როგორიც იყო ე. წ. შვიდეულად ზღვევინება, დღემდე სასურველი სისრულით არ არის შესწავლილი. ამავე დროს ხსენებულ სასჯელში უკეთესად, ვიდრე სხვა სახის ქონებრივ სასჯელებში, კარგად ჩანს საჯარო საწყისების არსებობის ერთ-ერთი კონკრეტული სახეობა ქართულ სინამდვილეში.

შვიდეულად, ანუ შვიდმაგად ზღვევინება ნაქურდალისა იხსენიება შალვა ქვენიფნეველ ერისთავის მიერ ლარგვისის მონასტრისადმი მიცემულ შეწირულების წიგნში, სადაც ვკითხულობთ: „და თუ ვინ იპაროს, შვიდ ნაწილად ეზღვიოს; და მონასტრისაი უპატიობაი დაებრჭობოდეს“. ხსენებული დოკუმენტი შედგენილია 1440 წელს და მაშასადამე, ქრონოლოგიურად გვიანი შუა საუკუნეების ხანას განეკუთვნება.

ცხადია, ნაქურდალის შვიდ „ნაწილად“, ანუ შვიდეულად ზღვევინება არ შეიძლება XV საუკუნეში წარმოშობილად ჩავთვალოთ. ის გაცილებით უფრო ადრეა საგულისხმებელი.

ქართლის ერისთავ გრიგოლ სურამელის მიერ შიომღვიმისადმი მიცემულ „შეუვალობის განახლების დაწერილში“[1]; რომელიც 1245—50 წლებში შედგენილად ითვლება, ნახსენებია ე. წ. „შვიდეული“. საერისთაოს უმაღლესი ხელისუფალი ხსენებულ დოკუმენტში ქურდობისათვის მძიმე ქონებრივ სასჯელს, შვიდეულს აწესებს.

ხსენებულ დოკუმენტში ერისთავთერისთავი გრიგოლი თითქოს მეფისაგან სავსებით დამოუკიდებლად გრძნობს თავს და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის სარგო და წილი რომელიც მას ერგება, ძლიერი მეფის ხანაში, მეფისათვის იქნებოდა განკუთვნილი.

დოკუმენტში ცალ-ცალკეა მოხსენიებული შემთხვევები „სისხლისა“ და ნაპარევისა. მოვიტანოთ სათანადო ადგილი საბუთიდან:

„3. თუ სისხლი შეჰკდეს მღუიმისა კაცსა ჩვენისა კაცისაი, მემღუიმის ჴელისუფალმან სისხლის პატრონსა სისხლი გარდასცეს, მონასტრისა წესითა, ვითა ჩვენისაც მონასტრისა წესია.

4. და სხვებ ჩვენი მამასახლისისა პატრონთანა ნურას დაეკარების, ნუცა შეუდგების, ნუცა რას წაუღებს, თაიღდა დაცეს და შუა ჩამოდგეს და რაც მემღვიმემან ბრძანოს, იგი იურვოს.

5. თუ ნაპარევი შეხდეს მღუიმისა კაცსა, მღუიმის ხელისუფალმან თავნი ხელთ მისცეს და შუიდეული წმიდის შიოსდა შემიწირავს ს-მნ-ჩემი კერძია საერისთაოი“.

---

[1] „ქართული სამართლის ძეგლები“; ტ. II, ტექსტები გამოსცა პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი, 1965, დოკ. № 18, გვ. 37—38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბუთის თანახმად „სისხლი“ სხვა კატეგორიის ქონებრივ სასჯელად მოჩანს, ვიდრე „შვიდეული“.

ქურდობის შემთხვევასთან დაკავშირებით ერისთავთ-ერისთავს სასამართლო გადასახადი ეკუთვნოდა შვიდეულის სახით. საერისთავო გადასახადი დაუთმეს მონასტერს და ამის შესახებ არის საუბარი ზემოთ მოტანილ დოკუმენტებშიც.

შიომღვიმის მონასტრის შეუვალობის საბუთის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის რომ ქურდისაგან დაზარალებულ პირს ნაქურდალი ნივთი „თავნი“ უბრუნდება და გარდა ამისა ხელისუფლის სასარგებლოდ მპარავმა უნდა გადაიხადოს შვიდმაგი ღირებულება. მაშასადამე, შვიდეულად ზღვევინება ხდებოდა „თავნის“ პატრონისათვის დაბრუნების შემდეგ და თავნი თავისთავად არ შედიოდა შვიდეულის ანგარიშში.

მომდევნო ხანაში კი, როგორც ჩანს, შვიდეულის ოდენობაში თავნის ღირებულებაც იანგარიშებოდა.

საერთოდ ქართულ სინამდვილეში შვიდეულის გარდა შეხვდებით სამეულსა და ხუთეულსაც. დაკვირვებას საჭიროებს საკითხი: ციფრები სამი, ხუთი, და შვიდი, რაიმე საკრალური მნიშვნელობის მქონედ ხომ არ ითვლებოდა ქართულ სინამდვილეში და ამ გავლენის გამოხატულებასთან ხომ არა გვაქვს საქმე.

ცნობილია, რომ ნაქურდალის ცხრაწილად, ცხრამაგად გადახდას იცნობდა სამართლის ზოგიერთი სისტემა[2]. იბნ-ბატუტას ცნობით ცხენის ქურდი მონღოლი ნაქურდალსაც აბრუნებდა და სასჯელის სახით ცხრა ცხენსაც იხდიდა.

მარკო პოლო იმასვე მოგვითხრობს საქონლის ქურდობასთან დაკავშირებით, რასაც იბნ-ბატუტა ლაპარაკობს ქურდის მიერ ნაქურდალი პირუტყვის ცხრამაგად ზღვევაზე. წვრილმანი ქურდობისათვის კი ჯოხით სცემდნენ დამნაშავეს.

1590 წელს შედგენილ სვიმონ პირველის ბრძანებაში მეკობრეთ მძებნელის შესახებ ვხვდებით ასეთ დანაწესს:

3. ვისცა ჩვენის ორდუსა რამ მოეპაროს, ის ქურდი ჩვენს კარზედ მოიყვანონ.

4. ვისაც გორის ციხის ალების წინათ რამ მოეპაროს, ის სამეულად აზღვევინონ: ერთი პატრონსა, ერთი და ნახევარი ჩვენ და ნახევარი მეკობრეთ-მძებნელსა.

5. ვისცა სხუის უმტეროს თემისა რამ მოეპაროს, ის ხუთეულად აზღუევინოს: ორი პატრონსა, ორი ჩვენ და ერთი მეკობრეთ-მძებნელსა.

6. ვისცა ჩვენის საბატონოსა რამ მოეპაროს, ის შვიდეულად აზღვევინონ: ორი პატრონსა, ოთხი ჩვენ და ერთი მეკობრეთ-მძებნელსა“[3]..

---

[2] მონღოლური სამართლის მიხედვით, როგორც იბნ-ბატუტა (1302—1337 წწ.) წერს ვისაც უპოვიდნენ ნაქურდალ ცხენს აიძულებდნენ დაებრუნებინა ნაქურდალი პირუტყვი და გარდა ამისა ჯარიმის სახით ახდევინებდნენ დამნაშავეს ცხრა ცხენს. თუ ქურდს ცხენი არ ეყოლებოდა, მაშინ შვილებით უნდა ეზღო გადასახდელი და თუ შვილებიც არ ეყოლებოდა, ჩინგიზ ხანის დიდი იასის მიხედვით, დამნაშავეს „ცხვარივით კლავდნენ“. И. Березин. Очерк Внутренного устроиства Улуса Джучиева. Труды Восточного отделения императорского Русского Археолсгического сбщества т. VIII, 1864 т. 409 მკვლევარები აღნიშნავენ, რომ რიცხვი ცხრა მონღოლებში წმინდა საკრალურად ითვლებოდა. იქვე, გვ. 416.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, II, დოკ № 65, გვ. 204.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქურდობის (მპარაობის) წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას ფეოდალურ საქართველოში ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნდა. ჩვენამდე მოღწეულია გიორგი მესამის სიგელი მპარავთმძებნელთა შესახებ.

მპარავთმძებნელის თანამდებობის არსებობა ჩანს თამარ მეფის დროსაც, კერძოდ თამარ მეფის ერთ-ერთ სიგელში[4]. XV საუკუნის ერთ-ერთ დოკუმენტში ნახსენებია „მპარავთმეძებარი“, ხოლო სვიმონ მეფის 1590 წლის სიგელამდე სამოცდაერთი წლით ადრე შედგენილ საბუთში — „მპარავთმეძიებელი“.

მაგრამ ცხადია, რომ მპარავთმძებნელთა ინსტიტუტი მეთორმეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში კი არ არის წარმოშობილი, არამედ გაცილებით ადრე. ეს ჩანს მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების გიორგი მესამის სიგელიდან შიომღვიმისადმი, რომელიც დაწერილია 1170 წელს.

ხსენებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „სამართალი სამპარავთმეძებლოი არცარაი წინაი შესრულა. ნუცა სადა აწ შევლენ ჩუენნი მპარავთმძებნელნი, თუინიერ თუ გარეთ ნაპარევი შელა-ხდეს მღუიმისა გლეხთა. თუ მრავალჯერ ეპაროს მას კაცსა, ანუ ჩამოარჩონ ჩუენთა ჩენილთა ანუ გაპატიჟონ და თუ გარდაიხუეწოს სხუაგან, სდევდენ ჩუენნი ჩენილნი. აწ მისსა საქონელსა თანაი არაი საქმე უც ჩუენთა მპარავთ-მეძებელთა, თუით მემღუიმისა ხელისუფალმან თავნი ნაპარევისა პატრონისა შეუქცივნეს და სამართალი წმიდისა უდაბნოისათჳს აიღოს“[5].

მრავალჯერ მპარაობა, ცხადია, დანაშაულს ამძიმებდა და ამიტომაც ასეთი დანაშაულის ჩამდენი ქურდი რეციდივისტი სასტიკად ისჯებოდა. მართალია, მპარავი მაშინ ძირითადად დღევანდელი მნიშვნელობით ქურდს ნიშნავდა, მაგრამ მპარავის ცნება მაინც უფრო ვრცლად უნდა იგულისხმებოდეს ის უნდა ნიშნავდეს აგრეთვე ქონებას არა მხოლოდ ფარულად, არამედ აშკარად გამტაცებელსაც.

აქედან უფრო გასაგები ხდება მრავალჯერ მპარავისათვის ისეთი მძიმე სასჯელის შეფარდება, როგორიც იყო ჩამოხრჩობა.

ქურდი თუ მონასტრის ტერიტორიაზე შევიდოდა, მონასტრის ხელისუფალნი ნაპარევის თავნს პატრონს უბრუნებდნენ, ხოლო „სამართალს“ — ალბათ სასამართლო ჯარიმას — ქონებრივი სასჯელის სახით მონასტრის სასარგებლოდ აიღებდნენ. მხოლოდ არ ვიცით კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ეს ქონებრივი სასჯელი. შესაძლოა ეს იყო ნაპარევის შვიდეული.

ყოველ შემთხვევაში ცხადად ჩანს კანონმდებლის შეხედულება, რომ ქურდობა, როგორც ასეთი, მხოლოდ კერძო პირის ინტერესთა დარღვევად არ ითვლებოდა.

ვახტანგ ბატონიშვილის აზრი, რომ მესამეჯერ ქურდობა-ავაზაკობისათვის ძველ საქართველოში ფეხებს ჰკვეთდნენ დამნაშავეთო, სწორი ჩანს. არქანჯელო ლამბერტის ცნობითაც XVII საუკუნის სამეგრელოში ქურდს ფეხს აჭრიდნენ. ქურდობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება შემოგვინახა მეგრულმა ზანურმა ენამაც, სადაც ქურდს სიტყვა „მახენჯი“, იგივე „მახინჯი“ მიესადაგება. საფიქრებელია, რომ ენამ შემოგვინახა საზრისი, რომ ქურდობა მორალურ სიმახინჯესთანაა დაკავშირებული.

---

[4] იქვე, დოკ. № 13, გვ. 31. აგრეთვე: თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები, შიომღვიმის მონასტრისა და ძეგლი ვაჰანის ქვაბთა, 1896, გვ. 26 საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება 1926, გვ. 2—7.

[5] ქართული სამართლის ძეგლები ტ. II, დოკ. № 9, გვ. 22—23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ისაა გამორიცხული, რომ ზანურმა ზემოხსენებული ქურდის აღმნიშვნელ სიტყვაში ასახა როგორც ქურდის პიროვნების მორალური შეფასება, ასევე ამ ქმედობისათვის გათვალისწინებული სასჯელიც, რომელიც ადამიანს ფიზიკურად ამახინჯებდა.

არქანჯელო ლამბერტის ცნობით XVII საუკუნის სამეგრელოში ქურდი, რომელიც ეკლესიიდან ოქროს ან ვერცხლს მოიპარავდა, სიკვდილით ისჯებოდა.

პატრი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, რომელიც XVII საუკუნეში საქართველოს სამეფო სამთავროებში წლების მანძილზე მოღვაწეობდა, მოგვითხრობს, რომ სამეგრელოში ქურდები სასამართლოს მიერ ისჯებიან. დამნაშავეს ქონებას ჩამოართმევენ, ცალი ხელით ხეზე ჩამოჰკიდებენ და შემდეგ ხელ-ფეხს მოსჭრიანო[6].

რა თქმა უნდა, მხოლოდ სასტიკი სასჯელების მეშვეობით ქურდობის, როგორც დანაშაულის ამოკვეთა შეუძლებელია თუ ხალხი, საზოგადოებრივი აზრი დამნაშავის წინაშე ოფიციალურ სასჯელზე უფრო მეტად მრისხანე ძალად აღიმართა. ყოველ შემთხვევაში ვახუშტის ცნობის თანახმად ლევან დადიანმა შესძლო ქვეყანაში წესრიგის დამყარება.

მთავარმა სასახლესთან ახლოს „გარემო წყაროთა“ უახლესთა დადგა ფიალანი ოქროსანი და უშორესთა ვერცხლისა, დაბმულნი ძეწკვებითა, რათა სმიდნენ მგზავრნი მით ვინაითგან ვერავინ იკადრებდა ქურდობასა ანუ პარვა-ავაზაკობისა ქვეყანათა შინა მისთა“.

ასე რომ საქართველოსათვის უცხო არ ყოფილა ქურდობისათვის მკაცრი სახელმწიფოებრივი-საჯარო სასჯელები.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ, რომ სახელმწიფოებრიობის ისეთ კლასიკურ ქვეყანაში, როგორიც რომი იყო, ქურდობა ჯერ კიდევ delicta privata-დ კერძო პირის ინტერესთა დარღვევად ითვლებოდა და ამიტომაც ქურდის დასჯა საჯარო საწყისებს არ ექვემდებარებოდა.

ქურდობა საჯარო ე. ი. სახელმწიფო ხასიათის დარღვევად არ ითვლებოდა თვით VI საუკუნეშიაც კი იმპერატორ იუსტინიანეს კანონმდებლობის მიხედვითაც. ქურდობა იუსტინიანეს სამართლის თანახმად კერძო ხასიათის გადაცდომად ითვლებოდა. საკმარისი იყო ნაქურდალის დაბრუნება, ან იშვიათ შემთხვევაში, მისი ორმაგი ფასის გადახდა დარღვეული უფლების აღსადგენად და ამით ქურდიც სავსებით თავისუფლდებოდა სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან.

შეხედულებას ქურდობაზე, როგორც საჯარო ხასიათის დანაშაულზე, ვხვდებით მოგვიანებით ბიზანტიური სამართლის ისეთ ცნობილ ძეგლებში, როგორიც იყო „ეკლოგა“. ხსენებული სამართლის წიგნის (ტიტ. XVII, 10,) განსაკუთრებით მკაცრად ისჯება სამხედრო ლაშქრობის დროს და სამხედრო ბანაკში ჩადენილი დანაშაული. თუ ვინმე ასეთ ვითარებაში ცხენს მოიპარავს, მას მკლავის მოკვეთით სჯიან.

თუ ვინმე სამხედრო ბანაკისა და ლაშქრობის ვითარების გარეშე სახელმწიფოს სხვა ალაგას ჩაიდენს ქურდობას, ასეთი პირი, თუ ის დანაშაულს ჩადის პირველად და თანაც თავისუფალი და მდიდარი კაცია, მხოლოდ ქონებრივი სასჯელით ისჯება. ქურდმა უნდა დაუბრუნოს პატრონს ნაქურდალთან ერთად მისი ორმაგი ღირებულება. თუ ქურდი ღარიბი კაცი იყო, პირველი ქურდობი-

---

[6] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, თარგმანი იტალიურიდან ბექან გიორგაძისა, თბილისი, 1964, გვ. 83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის მას ელოდება გაწკეპლვა და გაძევება, ხოლო მეორეჯერ ქურდობისათვის ხელის მოჭრა.

მაგრამ ეკლოგაში სავსებით და თანმიმდევრულად არ არის დაძლეული შეხედულება ქურდობაზე, როგორც კერძო ხასიათის დარღვევაზე. სხვისი მონის მითვისებისათვის მხოლოდ ნაქურდალი მონის პატრონისათვის დაბრუნებაა გათვალისწინებული (VXII, 2) ან მისი ღირებულების ანაზღაურება. მაგრამ „ეკლოგაში“ ქურდობისათვის უმრავლეს შემთხვევაში მაინც საჯარო სასჯელებია გათვალისწინებული.

ვინც სხვისი ჯოგი წაასხა მას გაწკეპლვა მოელის იმ შემთხვევაში თუ ასეთი დანაშაული პირველად არის ჩადენილი. მეორე გზის ხსენებული დანაშაულის ჩამდენს გაძევებით ემუქრება კანონმდებელი, ხოლო მესამე გზის სხვისი ჯოგის წალალვისათვის დამნაშავეს ხელს მოკვეთენ. ცხადია, ასეთ შემთხვევაშიც ნაქურდალი მეპატრონეს უბრუნდებოდა.

რაიმე წმინდა ნივთის გატაცებისათვის საკურთხევლიდან, დღისით იყო ქურდობა ჩადენილი თუ ღამით სულ ერთი იყო, დამნაშავეს დაბრმავებით სჯიდნენ (XVII, 15).

ცხადია, საქართველოში ცნობილი იყო ბიზანტიური სამართლის ნორმები და ბიზანტიური სასამართლო პრაქტიკაც.

ისევე როგორც ბიზანტიაში, საქართველოშიც მრავალჯერ პარვა სასტიკად ისჯებოდა. გიორგი III-ის სიგელის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ზოგ შემთხვევაში ქართული სამართალი უფრო სასტიკი იყო მპარავის, განსაკუთრებით მპარავი რეციდივისტის მიმართ, ვიდრე ბიზანტიურ-ბერძნული. ქურდი რეციდივისტისათვის გათვალისწინებული სასჯელი „გაპატიჟება“, რომელიც გიორგი III-ის შიომღვიმისადმი 1170 წელს მიცემული მამულის მფლობელობისა და შეუვალობის სიგელში იხსენიება, ჩამოხრჩობის გარდა, ასოთ დამზიანებელ, დამასახიჩრებელ სასჯელს უნდა ნიშნავდეს. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ იმავე ხანაში XII საუკუნეში მოქმედ ძეგლში „დიდ სჯულისკანონში“ „თავითი განპატიჟება“ ნიშნავს სიკვდილით დასჯას, თავის მოკვეთით.

სხეულებრივი სასჯელების მოძალება შეიმჩნევა ბიზანტიაში, როგორც ამას ზინოგოვიციც აღნიშნავს, ეკლოგის შექმნის ხანაში; აქედან მოყოლებული ეს ტრადიცია კარგა ხანს გრძელდებოდა.

სვიმონ პირველის ბრძანების ტექსტში, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ, მპარავის ნაცვლად ტერმინი „ქურდი“ იხმარება, ხოლო კლასიკური ხანის მპარავთმძებნელის მონაცვლედ — მეკობრეთმძებნელი.

ტერმინი მეკობრე მტაცებლის მნიშვნელობით ქართულში ჩანს უკვე მერვე მეათე საუკუნეების ნათარგმნ ძეგლებში. „მამათა სწავლან“-ში, მაგალითად „რომელმან განყიდოს რაი უმეტეს ფასისა მისისა, რაი — იგი ღირდეს, იგი მეკობრე და უძვრეს ავაზაკთა არს იგი“.

თავისთავად უყურადღებოდ არ შეიძლება დარჩეს საკითხი, თუ რატომ შეცვალა ტერმინი მპარავი მეკობრემ, ხოლო მპარავთძებნელის სახელი მეკობრის მძებნელისამ. თუ ტერმინი მპარავი ქურდმა შეცვალა, მაშინ მოსალოდნელი იყო მიგველო ქურდის მძებნელის სახელი ნაცვლად მპარავთმძებნელისა. მაგრამ მთლად ასე არ მოხდა. მპარავთმძებნელის ნაცვლად გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში უპირატესად გვაქვს მეკობრის-მძებნელი.

უპირატესად ვამბობთ იმიტომ, რომ მოგვიანებით, 1651 წლის წყალობის სიგელში „ქურდის მძებნელიც“ იხსენიება და „სამეკობროც“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. სურგულაძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ „მპარაობა“ და „მეკობრეობა“ ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვებია.

ხსენებული მოსაზრებების საფუძვლად ავტორს გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებაში“ ნახმარი სამართლებრივი ტერმინები მოჰყავს:

სადაც გვხვდება ნაპარევი, მოპარვა, სამეკობრეო საქმე და მეკობრე. ხსენებული სამართლის წიგნის მე-4 მუხლის მიხედვით „ვინც რა მოიპაროს, ცხენი, ცხუარი, ძროხა, ანუ სასაქონლო რამე, ანუ სახლი გატეხონ და წაიღონ რამე და უკან ჩაუდგნენ და მიეწივნენ, და მეკობრე რაზომაც მოკლან, სისხლი გაცუდდეს ყველასი, და ნაპარევისათვის ერთი თავი იგი თავადი დაუურვონ და ორი სხუად თავითურთ სამი შეიქმნა“.

მართალია, სახლის ფარული გაქურდვა შეიძლება მოხდეს, მაგრამ უფრო საგულვებელია, რომ კანონმდებელს ამ შემთხვევაში სახლის გატეხა არა აქვს მხედველობაში. მეკობრე აქ ქონების მხოლოდ ფარულად გამტაცებელს არ უნდა ნიშნავდეს. მეკობრე ყაჩაღის, ავაზაკის, მძარცველის მნიშვნელობით იხმარება „ამირანდარეჯანიან“-შიც, რომლის უძველესი ხელნაწერები ჩვენამდე მოღწეული მხოლოდ XVIII საუკუნისაა.

„მეკობრეობა“ ყაჩაღობის მნიშვნელობით იხმარება თამარ მეფის ისტორიკოსთან „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“-ის ავტორთანაც: წარმოსრულ იყვნეს მეკობრობად და მზერად ქარავნისა-ო ამბობს ავტორი, რაც ნიშნავს ქარავნის სათვალთვალოდ და გასაძარცვავად წასვლას.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში მეკობრის ცნება უფრო რთული და მეტი სემანტიკური შინაარსით იყო დატვირთული, ვიდრე ქურდისა. ამიტომაც მეკობრის მძებნელი იყო მოხელე, რომელსაც ევალებოდა ქურდის, ავაზაკის, ყაჩაღის და საერთოდ სხვისი ქონების ფარულად თუ აშკარად გამტაცებლის დაკავება.

ძველი ტრადიცია იყო, რომ ლაშქარში, სამხედრო ბანაკში ქურდობა გაცილებით უფრო საშიშ ქურდობად ითვლებოდა, ვიდრე ქურდობა ჩვეულებრივ ვითარებაში. გასაგებია, რომ მხედრისთვის იარაღის ან ცხენის მოპარვა სალაშქრო ვითარებაში გაცილებით უფრო სერიოზულ ანტისახელმწიფოებრივ ქმედობად ითვლებოდა, ვიდრე იგივე ქმედობა მშვიდობიან ვითარებაში.

ამიტომაც სვიმონ პირველის ბრძანებაში ხაზგასმით არის აღნიშნული რომ „ორდუსა“ შინა ქურდობა („მოეპაროს“) ისე მნიშვნელოვანი დანაშაულია, რომ დამნაშავე მეფის კარზედ უნდა მიიყვანონ. ცხადია, ასეთი დანაშაულის ჩამდენს მოელოდა გაცილებით უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე შვიდეულის გადახდაა. თუმცა კანონმდებელი სასჯელის კონკრეტული სახეობის შესახებ დუმს. უნდა ვიფიქროთ, რომ „ორდუ“-ში ქურდობის მოსაქმეს შეეფარდებოდა საჯარო სახის სასჯელი, ანუ საჯარო სასჯელი და ქონებრივი სასჯელი ერთად.

ქურდისთვის წმინდა საჯარო ხასიათის სასჯელის შეფარდების პრაქტიკის შესახებ ნათქვამია, რომ თუ ქურდს გორის ციხის აღების წინ ექნებოდა რაიმე მოპარული, ის უნდა დასჯილიყო მხოლოდ ნაქურდალის ზღვევით. აქ იგულისხმება მეფე სვიმონ პირველის მიერ სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ გორის ციხის აღება, რომელიც დაახლოებით 1579 წელს ან მის ახლოს ხანებში უნდა მომხდარიყო. ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში შეინიშნება შეხედულება, რომ „სხვა ქვეყანაში“ ქურდობისათვის უფრო მსუბუქი სასჯელი იყო გათვალისწინებული. ალბათ, სწორედ ეს გარემოება აქვს სიგელს მხედველობაში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა გორი ოსმალებს ეჭირათ, ე. ი. გორი „უცხოს“ ხელში იყო, ამიტომ გორიდან ქურდობისათვის ნაკლები სასჯელი იყო გათვალისწინებული[7].

გორის ციხე თურქების ხელში იყო და როგორც ფიქრობენ, თურქთა ბატონობის ხანაში ჩადენილი ქურდობა კანონმდებლის დანაწესის თანახმად შედარებით მსუბუქად ისჯებოდა, მაგრამ აქაც საჯარო ელემენტი საზღაურისა კარგად ჩანს: ნაქურდალი ნივთის ერთნახევარი ღირებულება სამეფო ხელისუფლების სასარგებლოდ იდებოდა[8].

ნაქურდალ-მიტაცებულის სამმაგად ზღვევა ჯერ კიდევ გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დებაში“ იყო დაწესებული. ამდენად ის ძველი დანაწესი ჩანს სვიმონ მეფის ბრძანების მეხუთე მუხლის თანახმად: თუ ქურდი სხვაგან, თავის თემის გარეშე „უმტერო თემში“ რაიმეს მოიპარავდა, მას სასჯელად ქონებრივი სასჯელი, მოპარვის ხუთჯერადი გადახდა-ზღვევინება შეეფარდებოდა. სვიმონ მეფის ბრძანებაში აღნიშნული ზღვევინება „აზღვევინონ“ საზღვევთან არის დაკავშირებული. „საზღვევი“ გვხვდება XI საუკუნის დოკუმენტში — ნიკორწმინდის დაწერილში. მონასტრის გლეხს ცხენი მოჰპარეს და დამნაშავეს ქონებრივ სასჯელად, „საზღვევად“ მიწის ორი ნაკვეთი გადაახდევინეს. ხსენებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „გლეხსა ჩვენსა ცხენი მოჰპარეს, მუნვე ზნაკუას და საზღვევად ავიღეთ მიწა ნაკვეთი და მოწმე არიან კაცნი“. „ქველაის ძისა შვილთაგან ავიღეთ საზღვევად მიწაი შხროს ზედა რუსის ძესა თანა და მოწამე არიან კაცნი“. „მღილა დაკოდნა ეკლესიისა კაცნი და მისდა საზღვევად ავიღეთ ველისჭრულსა, რაიცა იყო მისი კერძო, მოწამე არიან კაცნი“[9].

ზღვევა ძველი და ახალი აღთქმის თარგმანებში ნიშნავდა ვნებას, ზიანს ჯარიმას, დაზიანებას, დასჯას, დაჯარიმებას. მაგ. „ვზღვევდ თავით ჩემით ნაპარევისა დღისა და ღამისა“ დაბ. 31, 19. „არარაითი იზღვინეთ ჩუენგან“ II კორინთ. 7, 9. „ზღვევა სახმართა“ ფულადი სახდელის მნიშვნელობით გვხვდება კართაგენს შეკრებილი მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილების ქართულ თარგმანში, რომელიც „დიდ სჯულისკანონში“ არის შესული[10].

XI ს-ის დოკუმენტის ნიკორწმიდის დაწერილის მიხედვით — „საზღავო“ და „საზღავად აღება“ ქონებრივი სასჯელია. დამნაშავე იხდიდა „საზღვევოს“ დაზარალებულის სასარგებლოდ, და ალბად, საჯარო ხელისუფლების სასარგებლოდაც, მაგრამ ნიკორწმიდის საბუთში ამ დოკუმენტის თავისებური ხასიათის გამო არც იყო მოსალოდნელი, რომ ეს გარემოება ყოფილიყო ფიქსირებული.

ნიკორწმიდის დაწერილის ტექსტში დაცული ცნობის მიხედვით ქურდობისა და დაკოდვისათის, საგულვებელია, რომ ამ შემთხვევაში პირველი ქურდობისათვის და შედარებით მსუბუქი ჭრილობისათვის იყო „საზღავო“ დაწესებული. უნდა შეინიშნოს, რომ ქურდს, ასევე პირს, რომელმაც დაკოდნა ეკლესიის კაცნი, ერთი სახელწოდების ქონებრივ სასჯელს, „საზღავოს“ ახდევინებდნენ. 1590 წელს გამოცემული მეფე სვიმონ პირველის ბრძანებით მეხუთე პარაგრაფში გათვალისწინებული იყო სხვის „უმტერო თემში“ ქურდობა. ასე-

---

[7] ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1963 წ, გვ. 52.

[8] თ. ჟორდანია, ქრონიკები ტ. II, გვ. 46—47; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970, დოკ. № 4, გვ. 28—29.

[9] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III გვ. 8.

[10] დიდი სჯულისკანონი, თბილისი, 1975, გვ. 319.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ქმედობისათვის დამნაშავე ნაპარევი ნივთის ღირებულებას ხუთმაგად ე. წ. „ხუთეულს“ იხდიდა, როგორც ქონებრივ სასჯელს. ნივთის ღირებულება ან ნივთი ორმაგად უნდა დაბრუნებოდა პატრონს და სამეფო ხელისუფლებას, ხოლო ერთი მეკობრის მძებნელს. ნაქურდალის ხუთმაგად გადახდა, როგორც ქონებრივი სასჯელი, იშვიათად გვხვდება ძველი სამყაროს ცნობილ ძეგლებში. ბიბლიაში, რომელიც ქრისტიანული ქვეყნების საკანონმდებლო ძეგლების თეორიულ საფუძველს წარმოადგენდა, ქურდობად ითვლებოდა სხვისი საკუთრების ფარულად მითვისება. ფარულად მისაკუთრებულ-მითვისებულად ითვლებოდა ნივთი იმ შემთხვევაში, თუნდაც ხსენებული ნივთი თავდაპირველად მიმთვისებლის ხელში კანონიერი, მართებული გზით მოხვედრილიყო. მაგ. ნაპოვნი ნივთის ან მიბარებული ქონების გადამალვა ქურდობად ითვლებოდა. უსულო ნივთის ქურდობისათვის ნაქურდალის ოდენობით ანაზღაურება იყო დაწესებული. (იხ. გამოსვლათა XXII, 1-4). ძველი ებრაული სამართალი პირუტყვის, საქონლის ქურდობას განიხილავდა, როგორც ქურდობის კვალიფიციურ სახეობას. ასეთი ქურდობა ნაქურდალის სამმაგად გადახდევინებით ისჯებოდა. თუ ქურდი მოპარულ პირუტყვს დაკლავდა ან გაყიდდა, ეს ითვლებოდა დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად. მაგ. ცხვრის ქურდს ნაქურდალს ოთხჯერ გადაახდევინებდნენ, მაგრამ თუ ხარს მოიპარავდა ვინმე, ეს ქმედობას კიდევ უფრო ამძიმებდა. მუშა პირუტყვის მოპარვა უფრო საშიშ დანაშაულად ითვლებოდა ვიდრე მეწველი და სხვა სახის საქონლის ქურდობა. ამიტომაც ხარის ქურდს ნაქურდალს ხუთმაგად ახდევინებდნენ. „ხუთეული“ ჯარიმა ქურდობისათვის ცნობილი იყო ზოგიერთი მონღოლური სამართლებრივი სისტემისათვისაც. მაგრამ ქართული „ხუთეული“ მათგან დამოუკიდებლად დადგა ეროვნულ საწყისებზე და თვითმყოფად წარმოშობილი მოვლენა ჩანს.

„დიდ სჯულისკანონში“, რომელიც XII საუკუნის დასაწყისში უკვე შედგენილი იყო, იხმარება ტერმინი „ცხადად მპარავი“. ხსენებულ თხზულებაში ერთგან ნათქვამია: „ხოლო მოყუასთა პარუისათვის განთუისებულად არ იტყუის სჯული, ხოლო ნათესაობით მოიღებს მპარავობისათვის მეორე ნაწილი მეექუსისა წიგნისა კოდიკოისაი და მეორე ნაწილი ორმოცდამეშუიდისა წიგნისა დიგესტონთაისაი. ხოლო ორ არიან სახენი პარვისანი და რომელიმე მისი ითქუმის ცხადად პარვად, ხოლო რომელიმე უცხადოდ. და ცხადი ვიდრემდე მპარავი არს, რომელი მოპარულსა საქონელსა თანა შეპყრობილ იქნას, ვითარსცა მომღებელ იყოს პატივსა პირველ საქონლისა მის წარღებისა, ადგილსა სადა განაწესა მისვე დღესა, გინა საეროსა ადგილსა, გინა განთუისებულსა, ხოლო უკუეთუ წარეკოს იგი, სადა წინასწარ დაეწეროს, დაღაცთუ შეპყრობილ იქმნას იგი ამისსა შემდგომად, არღარა არა ცხადი მპარავი. ხოლო არა ესრე მპარავი არს. ხოლო სატანჯველი საჩინოდ მპარავისაი ვიდრემდეა არს ოთხი ნაწილი სხუაი საფასოი მოპარულისა, ხოლო არს ოდესმე უმეტესცა ზღვეულებაი მისი, ხოლო უჩინოსა ორწილად, ხოლო ორკერძოვეთაგან გარეგან ასე ვითარისა ზღვეულებისა მიცემულ იქმნების საქონელი იგი ნაპარევი ანუ საფასოი მისი“.

„დიდი სჯულისკანონიდან“ მოტანილი ციტატა საკმარისი საბუთია იმისა რომ XI ს-დან მოყოლებული ქართველობისათვის ცნობილი იყო ქურდობის შესახებ რომაულ-ბიზანტიური სამართლის მიერ შემუშავებული ცნებები, ყოველ შემთხვევაში „ცხადად მპარავი“, „საჩინოდ მპარავი“ იხდიდა, სჯულისკანონის ზოგიერთ ხელნაწერებში მოთავსებული ნორმების მიხედვით ოთხ ნაწილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სხუათ საფასოს“ მოპარულისას. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ ოთხ ნაწილში „თავნი“ ე. ი. თვით მოპარული ნივთი არ იგულისხმებოდა, ესაა იგივე „ხუთეული“, თუ თავნის პატრონისათვის დაბრუნებასთან ერთად დიგესტონის მიხედვით ნაქურდალის ოთხჯერადი საფასე ფისკის სასარგებლოდ მიდიოდა.

გვიანი შუა საუკუნეების ქართულ საბუთებში იხსენიება ნაქურდალის „ხუთეულად“ გადახდევინება.

სვიმონ პირველის ბრძანების მეექვსე პუნქტის თანახმად ვინც მეფის საბატონოსა შიგან რასმეს მოიპარავდა, მას შვიდეულად აზღვევინებდნენ ამ შვიდეულიდან ოთხი ნაწილი მიდიოდა მეფის ხელისუფლების — ხაზინის სასარგებლოდ. ერთი ნაწილი ეძლეოდა მეკობრისმძებნელს, ხოლო ორი წილი „პატრონს“ — დაზარალებულს. შვიდეულის შესახებ ნორმა დაცულია „დასტურლამალშიც“.

ხსენებული საკანონმდებლო ძეგლის სპეციალურ თავში, რომელიც ხევისთავების ფუნქციებს ეხება, სოფელში მომხდარ ქურდობასთან დაკავშირებით ნათქვამია: „საქონელი თუ საბატონოს კაცის შვილისა იყოს, ან აზნაურიშვილის ექვსი პატრონს და ერთი ხევისთავს. თუ გლეხისა იყო ერთიორად გლეხს ერთი ხევისთავს, ოთხი ბატონს“.

აქაც ჩანს ნაქურდალის შვიდეულად გადახდა-ზღვევინების პრინციპი. კანონმდებელი ამ შემთხვევაში მტკიცე კლასობრივ-წოდებრივი პოზიციიდან აფასებს ქურდობას, როგორც დანაშაულს. ამიტომაც საპატიო კაციშვილს და აზნაურიშვილს ნაქურდალი ექვსმაგად უბრუნდება.

1750—1760 წლებს შუა შედგენილ კახეთის საბაჟოს გარიგების წიგნში ნაქურდალის შვიდმაგად გადახდის წესი არის ფიქსირებული[11]. თვით შვიდეულის განაწილება დაზარალებულსა, მეფის ხელისუფლებასა და ქურდობასთან მებრძოლ მოხელეს შორის ცალკეულ კუთხეებში თავისებურადაა გადაწყვეტილი. მაგრამ როგორც წესი, „შვიდეული“ მეფისთვის შემოსავლის წყაროა. აქ მას თავის წილი ერგება. ვახტანგ VI სამართლის წიგნის მიხედვით, თუ ქურდი სახლში ერთად მწოლ მეუღლეებს შეეპარა და „კაცის იარაღი“, „ქალის სამკაული“ ან სხვა რამ მოიპარა, ქურდმა ნაქურდალიც უნდა ზღოს და ნახევარ-ნახევარი სისხლი ცოლსა და ქმარს უნდა დაუურვოს (151-ე მუხლი).

ცხადია, ასეთი მძიმე ქონებრივი სასჯელის გადახდა ძნელი იქნებოდა და ამიტომაც, კანონმდებელი ითვალისწინებს კიდევ ქურდის ცოლ-შვილით, საქონლით და ნასყიდით დაზარალებული მხარისათვის გადაცემას. ნაპარევის შვიდეულად მიცემას და ნახევარი სისხლის გადახდას ითვალისწინებს კანონმდებელი ლაშქრობაში ცხენის, იარაღის, ტანსაცმლის, ჯაჭვის, აბჯრის ქურდობისათვის (152-ე მუხლი.).

ასევე „მონაპარევის“ შვიდეულად და — სისხლის ნახევრის გადახდით ისჯება ქურდი, ვინც დედაკაცს ზედ შებმული სამკაული შეხსნა ან შეაჭრა. ვახტანგ VI სამართლის წიგნის 164-ე მუხლის მიხედვით. „ამ ზემოთ წერებულს ქურდობაებს გარდაის სხვა ქურდობაები დიდსა თუ მდაბლისა, ბევრსა თუ ცოტასი, შინა თუ გარეთ, ვისაც რისაც ფერი ქურდობა შეემთხვიოს, მისი საზღაური შვიდეული არის“. მაგრამ ამ შემთხვევაში კანონმდებელი შვიდეულის გარდა ქურდის მიერ დაზარალებულისათვის ნახევარი „სისხლის“ გადახდას არ მოითხოვს. ამასთან ერთად, 154-ე მუხლის მიხედვით: „თუ ის საქონელი, ან პირუტყვი საბატიოს კაციშვილისა ან აზნაურიშვილისა მოპარულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმას ის საზღაური შვიდივ მთლივ მიეცემის; თუ ეს მონაპარავი გლეხის არის, ერთიორად გლეხს მიეცემის და სხვა სახელმწიფო არის. სამთხრობლო, რაც საქონლის დამკარგავს გაუა, ისიც ქურდმა უნდა მისცეს.“

„დასტურლამალის“ მიხედვით საბატიოს კაციშვილს და აზნაურიშვილს ქურდისათვის გადახდევინებული შვიდეულიდან ექვსი ნაწილი ერგებოდა ხოლო „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისას“ მიხედვით დაზარალებულ ნივთის პატრონს, „შვიდივ მთლივ მიეცემის“.

რადგანაც ორივე საკანონმდებლო ძეგლი ვახტანგ VI-ის ხელიდან არის გამოსული, ეს წინააღმდეგობა მოულოდნელი ჩანს. „დასტურლამალი“ შედგენილია 1707—1709 წლებში.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ცოცხალ იურიდიულ პრაქტიკაში XVIII ს. „დასტურლამალის“ დანაწერს უფრო ეძლევოდა უპირატესობა. ეს საკითხი საგანგებო დაკვირვებას საჭიროებს.

როსტომ მეფის 1651 წლის სიგელიდან კარგად ჩანს, რომ დაზარალებულს მთლიანად არ ეძლეოდა ქურდისათვის გადახდევინებული ჯარიმა. ხსენებული სიგელის მიხედვით მეფე ეკლესიის მისამართით აღნიშნავს: „თქუენი საყდრის ყმას არა ეთხოვებოდეს ერთის ლაშქარ ნადირობასა და საურისაგანც არ გეთხოოს და ვერც ქურდის მძებნელთან ხელი დაიდვას და რარიგადაც ძველს გუჯარში ეწეროს...“ ამას წინათ ხელმწიფეთაგან სახელისა ღუთის მშობლის მამულისაც ნამეკობრევი შერჩენოდეს და მისი ჯურუმი საყდარს შესწიროდეს, ჩვენც იმავე წესით დაგვიმტკიცებია სამეკობრო, რაც წესი იყოს პატრონს უნდა რაიმე მიეცეს და თუ სხვის კაცის ნამეკობრევი საყდრის ყმაზედ გამოჩნდეს, ერთისათვის ორი პატრონს უნდა რომე მისცენ და სხვა რაც საზღაური ამოვიდეს, ისიც საყდარს უნდა რომე მიართონ“[12].

ერეკლე II-ს განჩინებაში ქიზიყში სამეფო და სამოურავო სარგოს შესახებ ასეთი ნორმაა დაწესებული: „ნაქურდალი ასე არის: შვიდი გამოვა, ორი ბატონისა არის, ხუთი დარჩება, ერთი ხევისთავისა არის, ოთხი დარჩება ამ ოთხიდან ორი წილი ბატონისა არის და მესამედი მოურავისა“[13].

მთელ რიგ სამართლებრივ სისტემებში საერთო იყო ნორმა, რომლის თანახმადაც დანაშაულის ადგილზე წასწრებული ქურდის მოკვლა არ ისჯებოდა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 42-ე მუხლში ჩამოთვლილია რა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, საგანგებოდ არის მინიშნებული, რომ თუ „კაცს ქურდი შეეპაროს და ის ქურდი მოკლას თავის სახლში“, იმის სისხლი არ ითხოვების და არც გაჩნდების“-ო.

აქ ქურდობის განსაკუთრებულ, მძიმე შემთხვევაზეა ლაპარაკი, როგორც ჩანს, კანონმდებელი გულისხმობს საცხოვრებელში (ბინაში) ქურდის შეპარვას, როდესაც ქურდმა იცის, რომ სახლის პატრონი შინაა და საგულვებელია რომ შინ უნდა იყოს და მიუხედავად ამისა მაინც შეიპარება სახლში, ეს ითვლებოდა ქურდის ბოროტი ნების საშიშ გამოვლინებად. თუმცა საკანონმდებლო ნორმაში ამის შესახებ პირდაპირი მითითება არ არის, აქ უნდა იგულისხმებოდეს დაკეტილის სახლის კარის გატეხვა ან მისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გაღება, რაც დამნაშავის ბოროტი ნების მაღალ ხარისხს გულისხმობს.

---

11 საქართველოს სიძველენი ტ. III ე. თაყაიშვილის რედ. გვ. 134.

12 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, თბილისი, 1977 წ., გვ. 150. № 70.

13 იქვე, დოკ № 47, გვ. 126,

ეროვნული

შესაძლოა, რომ კანონმდებელი მასაც გულვობდეს, რომ ასეთ ვითარებაში ქურდმა შეიძლება მეპატრონის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ქურდობასაც მიმართოს.

დოკუმენტურ წყაროებში შემონახულია ცნობები იმის შესახებ, რომ ქურდობა ფეოდალურ საქართველოში სასტიკად ისჯებოდა. ქურდობისათვის სასჯელად გამოიყენებოდა ჩამოხრჩობა, ქონებრივი და სხეულებრივი სასჯელები.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ძველ საქართველოში „ქურდსა, ავაზაკსა და მძარცველსა ერთი წილ შვიდი მიაცემინიან და უკუეთუ ვინ მესამედ ჰყო აღმოხდიან თვალთა და მცირედისათვის მოჰკვეთიან ფერხნი“[14].

ასე რომ ქურდობის წინააღმდეგ ქართული სამართალი საკმაოდ სასტიკად იბრძოდა.

Г. Н. НАДАРЕЙШВИЛИ

## ИЗ ИСТОРИИ ИМУЩЕСТВЕННЫХ НАКАЗАНИЙ В ФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ («СЕМЕРИЦА»)

### Резюме

По римскому праву воровство считалось — Privata delicta (частное преступление) и, следовательно, по отношению к ворам не применялись публичные наказания. Даже в Византии в эпоху Юстиниана (VI в.) воровство не считалось публичным преступлением.

По грузинскому же праву воры-рецидивисты и разбойники карались смертной казнью, а в некоторых случаях — членовредительством. Обычный же вор возмещал украденное всемеро и в некоторых, законом в предусмотренных случаях, платил пострадавшему и половину «сисхли».

Государство имело свою долю в семерице. Если украденное принадлежало глехи, то ему возмещалось вдвойне, а остальное шло государству.

В преступлениях против собственности законодатель видел посягательство как против частных лиц, так и против государства.

[14] იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი 1973, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Д. Е. МЕТРЕВЕЛИ

# СУБЪЕКТ ПРЕСТУПЛЕНИЯ, ЗАКЛЮЧАЮЩЕГОСЯ В НЕЗАКОННОМ ИЗГОТОВЛЕНИИ И РАСПРОСТРАНЕНИИ НАРКОТИКОВ

По советскому уголовному праву субъектом преступления является физическое вменяемое лицо, достигшее к моменту совершения преступления установленного законом возраста. Таким образом, законодатель определяет два необходимых и обязательных признака субъекта любого преступления: достижение установленного законом возраста и вменяемость.

По действующему советскому уголовному законодательству уголовной ответственности подлежат лица, которым до совершения преступления исполнилось 16 лет (ч. I ст. 10 Основ уголовного законодательства Союза ССР и союзных республик[1], ст. 12 Уголовного кодекса Грузинской ССР и соответствующие статьи УК других союзных республик).

За совершение ряда преступлений, общественная опасность которых очевидна и доступна пониманию лица в более раннем возрасте, в виде исключения, уголовная ответственность наступает с 14-летнего возраста. Исчерпывающий список этих преступлений дается в ст. 12 УК Грузинской ССР «Ответственность несовершеннолетних» и соответствующих статьях УК других союзных республик.

Преступления, предусмотренные в ст. 252 УК Грузинской ССР в данном перечне не указаны, следовательно, уголовная ответственность за незаконное изготовление, приобретение, хранение, перевозку пересылку и сбыт, а также за нарушение установленных правил производства, приобретения, хранения, перевозки и пересылки наркотических, сильнодействующих и других ядовитых веществ наступает с 16-летнего возраста.

Устанавливая уголовную ответственность за совершение вышеперечисленных действий, законодатель руководствуется тем, что субъект, не достигший этого возраста, может не сознавать общественной опасности своих действий, вреда, который он приносит их совершением, а следовательно, и не должен нести наказания.

Вторым необходимым и обязательным признаком субъекта преступления является вменяемость.

Ф. Энгельс писал: «невозможно судить о морали и праве, не касаясь вопроса о свободе и воле, о вменяемости человека»[2].

Лицо, не обладающее этим признаком, т. е. невменяемое, не может отвечать за совершенные им действия.

Ст. II основ уголовного законодательства СССР и союзных рес-

[1] В книге «Сборник законов СССР и Указов Президиума Верховного Совета СССР» (1938—1975 гг.), М., 1975, т. 3, с. 310—335.

[2] Ф. Энгельс. Анти-Дюринг. Маркс К. и Энгельс Ф., Собр. соч., изд. 2-ое, т. 20, с. 113—115.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

публик (ст. 13 УК Грузинской ССР и соответствующие статьи УК других союзных республик) предусматривают: не подлежит уголовной ответственности лицо, которое во время совершения общественно опасного деяния находилось в состоянии невменяемости, то есть не могло отдавать себе отчета в своих действиях или руководить ими вследствие хронической душевной болезни, временного расстройства душевной деятельности, слабоумия или иного болезненного состояния». Как писал известный русский психиатр В. П. Сербский: «Не потому человек становится невменяемым, что он болен, а потому, что болезнь лишает его выбора суждения и свободы выбора того или другого образа действия»[3].

Поэтому привлечение душевнобольного к уголовной ответственности и применение к нему меры наказания было бы не только несправедливым, но и нецелесообразным — наказание не сможет достигнуть своих целей.

Понятие невменяемости строится на сочетании двух критериев: медицинского и психологического (обычно, в литературе, его именуют юридическим).

В соответствии со ст. II Основ уголовного законодательства Союза ССР и союзных республик (ст. 13 УК Грузинской ССР «невменяемость» и соответствующие статьи УК других союзных республик) медицинский критерий невменяемости определяется как хроническая душевная болезнь, временное расстройство душевной деятельности, слабоумие или иное болезненное состояние. Наличие одного из вышеперечисленных признаков является достаточным для установления медицинского критерия невменяемости.

Но установление одного только медицинского критерия не говорит о невозможности вменения в вину совершенного общественно опасного деяния. Как гласит та же статья, «Не подлежит уголовной ответственности лицо, которое во время совершения общественно опасного деяния находилось в состоянии невменяемости, то есть не могло отдавать себе отчета в своих действиях или руководить ими».

Таким образом, для признания лица невменяемым требуется установление не только медицинского, но и юридического критерия.

Юридический критерий невменяемости характеризуется двумя признаками: интеллектуальным — неспособностью лица отдавать себе отчет в своих действиях и волевым — неспособностью лица руководить своими действиями.

Следовательно, невменяемость определяется только сочетанием двух критериев: медицинского и юридического. Только таким образом можно получить точную оценку психической неполноценности лица, совершившего общественно опасное деяние.

Необходимо также отметить и тот факт, что вопрос о невменяемости должен устанавливаться только в отношении конкретного общественно опасного деяния.

«Невменяемость мыслится законодателем как психическое состояние лица в свете отношения этого лица к данному делу, к данным — «своим» действием, и то же лицо, находившееся в том же состоянии психического расстройства или аномалии, может быть признано как невменяемым, так и вменяемым»[4].

---

[3] В. П. Сербский. Судебная психиатрия, вып. I, М., 1985, с. 42.

[4] В. С. Трахтеров. Юридические критерии невменяемости в советском уголовном праве, Ленинградский юридический институт, «Ученые записки», выпуск IV, 1947, с. 130.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Как показывает изученная нами следственно-судебная практика, определенная часть лиц, совершающих незаконное изготовление, приобретение, хранение, перевозку и пересылку с целью сбыта или без таковой, а равно сбыт наркотических веществ, сами употребляют наркотики.

Следовательно, возможно разделение субъектов данного преступления на две группы. В одну войдут лица, сами не употребляющие наркотические вещества, но занимающиеся незаконными операциями с ними.

Данные проведенного нами исследования свидетельствуют, что основная часть лиц, занимающаяся незаконным сбытом наркотических веществ или совершением вышеперечисленных действий с целью сбыта, сами обычно не только не страдают наркоманией и не нуждаются в лечении, но и вообще не употребляют наркотические вещества.

Так как при совершении данного преступления они, в основном, преследуют именно цель наживы, цель личного обогащения, нам представляется, что данное обстоятельство должно учитываться при назначении наказания, как отягчающее ответственность.

В другую же группу можно включить ту категорию лиц, которая систематически употребляет наркотические вещества, страдает наркоманией и занимается совершением незаконных действий с ними (незаконным изготовлением, приобретением, хранением, перевозкой и пересылкой с целью сбыта, а равно самим сбытом наркотиков).

Таким образом, установление отношения лица к потреблению наркотических веществ становится необходимым для индивидуализации наказания, назначаемого за совершение рассматриваемого преступления, тем более, что ст. 32 Основ уголовного законодательства Союза ССР и союзных республик (ст. 37 УК Грузинской ССР и соответствующие статьи УК других союзных республик) гласит: «При назначении наказания суд, руководствуясь социалистическим правосознанием, учитывает характер и степень общественной опасности совершенного преступления, личность виновного и обстоятельства дела, смягчающие и отягчающие ответственность».

Подобное подразделение субъектов рассматриваемого нами преступления является необходимым при решении вопроса об уголовной ответственности и назначения наказания лицам, совершающим незаконные операции с наркотиками.

Необходимость установления того факта, потребляет или нет преступник наркотические вещества, объясняется также и тем, что на основании ст. 63 УК Грузинской ССР и соответствующих статей УК других союзных республик, есть лицо, совершившее преступление, на основании медицинского заключения окажется наркоманом, то суд, наряду с наказанием, применяет к виновному принудительное лечение.

Как известно, согласно ст. 12 Основ уголовного законодательства Союза ССР и союзных республик (ст. 14 УК Грузинской ССР и соответствующие статьи УК других союзных республик), лицо, совершившее преступление в состоянии опьянения, не освобождается от уголовной ответственности. Более того, согласно п. 12 ст. 39 УК Грузинской ССР состояние опьянения признается отягчающим вину обстоятельством.

Уголовный закон не формулирует понятие опьянения, поэтому мы даем его посредством анализа медицинского термина «опьянение»; в медицине под опьянением понимается нарушение физиологической функции организма и прежде всего его центральной нервной сисмемы

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

вследствие приема алкоголя и других наркотиков[5]. Следовательно, сам термин опъянение используется для обозначения не только алкогольного, но и наркотического опъянения.

Различается физиологическое (обычное) и патологическое опъянение. Физиологическое опъянение не влечет за собой утрату способности понимать совершаемые действия и руководить ими. Поэтому оно не только не исключает уголовной ответственности, но и усиливает ее, несмотря на то, что, как правильно указывал известный русский психиатр С. С. Корсаков, «в каждом состоянии опъянения врач должен видеть ненормальное состояние мозговой деятельности»[6]. Естественно, данное положение распространяется и на наркотическое опьянение, но в то же время нельзя игнорировать тот факт, «что... наркоманы, не являющиеся невменяемыми, должны быть наказаны за совершенные преступления, поскольку они сознают свои действия и способны руководить ими»[7].

Что же касается патологического опьянения, то оно представляет собой расстройство психической деятельности человека, расстройство человеческого сознания. Нередко оно сопровождается агрессивными действиями, опасными для окружающих, галлюцинациями. «Больному мерещатся различные звери, чудовища, птицы, насекомые, пресмыкающиеся, уроды и т. п. Он слышит шепот, брань, угрозы, ему кажется, что за ним следят, подкрадываются к нему, обвиняют его в тяжелых преступлениях, нападают на него. Своих друзей больной принимает за врагов и начинает от них яростно защищаться. Им овладевает дикая злоба. Иногда на первый план выступают бредовые идеи отношения и преследования»[8].

При патологическом опьянении лицо утрачивает способность сознавать значение своих поступков или руководить ими. Поэтому в случае совершения этим лицом предусмотренного законом общественно опасного деяния оно признается невменяемым.

На наш взгляд, будет правильным признать невменяемым и лицо, находившееся в момент совершения преступления в состоянии абстиненции.

Абстиненция представляет собой синдром, возникающий у наркомана после внезапного прекращения или даже сокращения дозы потребляемого наркотика.

«Наиболее тяжелые абстинентные явления развиваются после употребления героина, на втором месте стоит морфин или пантапон при внутривенном введении, далее морфин при внутримышечном и подкожном введении, несколько слабее — промедол и другие синтетические препараты морфиноподобного действия, еще слабее опий при курении и приеме во внутрь, наконец кодеин и другие подобные препараты»[9].

У наркомана появляется особое физическое и психическое состояния, острое психическое расстройство. Взять, к примеру, состояние при опийной абстиненции. «Первые проявления абстинентного синдрома у подавляющего большинства больных выражались в виде обще-

5 Г. М. Энтин. «Опьянение», БСЭ, издание 3, т. 18, 1974, с. 465.

6 С. С. Корсаков. Курс психиатрии, М., 1913, с. 714.

7 Н. С. Лейкина. Личность преступника и уголовная ответственность. Л., 1968, с. 129.

8 И. В. Стрельчук. Клиника и лечение наркоманий. М., 1956, с. 23.

9 Д. Д. Федотов. Современное состояние и перспективы разработки проблемы лечения и профилактики неалкогольных токсикоманий. Алкоголизм и токсикомания, сборник, М., 1968, с. 174.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

го недомогания, познабливания, зевоты, чувства усталости, слабости. Если явления абстиненции развивались к вечеру, то в первую же ночь нарушался сон, который становился прерывистым, беспокойным, неглубоким. Через 16—20 часов после отнятия наркотика у больных на первый план выступали явления гиперсекреции желез. Появились чихание, насморк, кашель, слезотечение, усиление потовыделения, усиливалась перистальтика кишечника. Через 48—72 часа, наряду с усилением всех отмеченных явлений, наблюдалось резкое учащение дыхания, некоторое повышение артериального давления, учащение сердцебиения, ломящие боли во всем теле, особенно в области суставов нижних конечностей, поясницы, нижней части живота, озноб, гусиная кожа»[10].

В тяжелых случаях абстиненции часто развиваются припадки, а иногда может возникнуть состояние, опасное для жизни наркомана.

И хотя наркоман обычно может отдавать себе отчет в своих действиях, осознает, что совершает преступление, он готов пойти на все во имя получения необходимого ему количества наркотического вещества. Он не может руководить своими действиями, т. е. здесь отсутствует волевой признак юридического критерия невменяемости, и, поэтому, по нашему мнению должен быть признан невменяемым.

Состояние опьянения имеет большое значение для индивидуализации наказания. Как уже указывалось, совершение преступления лицом, находящимся в состоянии опьянения, является отягчающим вину обстоятельством. Но в то же время ч. II п. 12 ст. 39 УК Грузинской ССР гласит: «Суд вправе, в зависимости от характера преступления, не признавать это обстоятельство отягчающим ответственность».

Данное дополнение, предоставляя суду определенную свободу, способствует более точной квалификации преступления и осуществлению справедливого правосудия, обеспечивая соблюдение принципа индивидуализации наказания — одного из важнейших принципов советского уголовного права.

Закон не предъявляет каких-то конкретных особенных требований к субъектам преступлений, заключающихся в незаконном изготовлении, приобретении, хранении, перевозке, пересылке и сбыте наркотических веществ, т. е. субъектами данного преступления могут быть любые частные лица.

Что же касается нарушения установленных правил производства, приобретения, хранения, перевозки и пересылки наркотических веществ, то ч. IV ст. 252 УК Грузинской ССР представляет собой бланкетную диспозицию и законодатель, определяя уголовную ответственность за совершение этого преступления, сужает круг возможных участников.

В советской юридической литературе высказывалась точка зрения, согласно которой субъектами данного преступления могут быть как должностные, так и частные лица[11]. Следовательно, получалось, что любое частное лицо может быть привлечено к уголовной ответственности за совершение данного преступления.

Но, как определил Пленум Верховного суда СССР, в п. 9 своего постановления от 25 февраля 1966 года «О судебной практике по делам о незаконном изготовлении и распространении наркотических и иных сильнодействующих и ядовитых веществ», за совершение данно-

[10] В. В. Бориневич. Наркомания, М., 1963, с. 139—140.

[11] «Комментарий к УК РСФСР» под ред. проф. Г. З. Анашкина, проф. И. И. Карнеца, проф. Б. С. Никифорова. М., 1971, с. 474.

ᲛᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

го преступления, кроме должностных лиц, несут ответственность лица, которые в силу порученной им работы обязаны соблюдать установленные правила при производстве, хранении, отпуске, учете и перевозке указанных веществ[12].

Данная точка зрения была подтверждена и в п. 16 постановления Пленума Верховного суда СССР от 26 сентября 1975 года «О судебной практике по делам о хищении наркотических веществ, незаконном изготовлении и распространении наркотических, сильнодействующих и ядовитых веществ» от 26 сентября 1975 года[13].

Следовательно, как правильно указывает К. А. Карпович, руководствуясь тем, что наркотики изъяты из свободного обращения и сам факт хранения их без надлежащего разрешения образовывает оконченный состав преступления, а также для того, чтобы нести ответственность за нарушение данных правил, необходимо наличие определенных условий для их соблюдения и вменение их соблюдения в обязанность того или иного лица, можно предположить, что субъектом данного преступления могут быть только лица, в обязанность которых входит производство, хранение, отпуск, учет, пересылка и перевозка наркотиков, как должностные (зав. аптеками, кладовщики аптекарских складов и т. д.), так и иные лица, в обязанность которых, в силу порученной им работы, входит соблюдение установленных правил (провизор, фармацевт, экспедитор и т. д.)[14].

Как указывает вышеназванное постановление Пленума Верховного суда СССР, при наличии в действиях должностного лица, допустившего нарушение этих правил, признаков должностного преступления (злоупотребление, халатность, взяточничество и др.), его деяние следует квалифицировать по статьям УК союзных республик, предусматривающим ответственность за должностное преступление[15].

Таким образом, субъектом рассматриваемого преступления может быть не любое частное лицо, а только те лица, которым в силу порученной им работы вменена обязанность соблюдения данных правил.

Это не относится к тем случаям, когда предметом совершения преступления являются сильнодействующие и ядовитые вещества. Например, согласно § 63 и 68 «Правил перевозок пассажиров и багажа по железным дорогам СССР» не допускаются к перевозке ручной кладью и багажом ядовитые вещества, способные причинить вред железной дороге или ее пассажирам. В случае несоблюдения этих правил нарушитель привлекается к административной ответственности, а № 292 предусматривает в надлежащих случаях привлечение и к уголовной ответственности[16].

Таким образом, как это прямо указано в Правилах, к ответственности за нарушение правил перевозки и пересылки сильнодействующих и ядовитых веществ могут быть привлечены и частные лица.

Представлена отделом уголовного права и криминологии
Института экономики и права АН ГССР

---

12 Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР 1924—1973 гг., М., 1974, с. 558.

13 Сборник постановлений..., ч. II, М., 1978, с. 295.

14 К. А. Карпович. Уголовная ответственность за незаконное изготовление и распространение наркотических веществ. Ростов-на-Дону, 1972.

15 Сборник постановлений..., ч. II, с. 295.

16 Правила перевозок пассажиров и багажа по железным дорогам СССР, офиц. изд., М., 1964.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეცენზია, ინფორმაცია, ქრონიკა

## კანონი და კანონქვემდებარე აქტი

(თ. ლილუაშვილი, „სოციალისტური კანონიერების არსი და მნიშვნელობა“)

წლეულს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ დასტამბა თ. ლილუაშვილის წიგნი „სოციალისტური კანონიერების არსი და მნიშვნელობა“. წიგნი სამი თავისაგან შედგება: 1) საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება; 2) კანონიერების განუხრელი დაცვა და გატარება საზოგადოების წინსვლისა და განვითარების აუცილებელი პირობაა და 3) მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების სასამართლო წესით დაცვა, როგორც კანონიერების უმნიშვნელოვანესი გარანტია. ამ პატარა წიგნში კანონიერების პრობლემასთან დაკავშირებული არაერთი საჭირბოროტო საკითხია განხილული. შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

ვიდრე უშუალოდ კანონიერების პრობლემის განსჯას შეუდგებოდეს, ავტორი ჯერ საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების საკითხს ეხება. საზოგადოებაში მოქმედებენ სოციალური ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ სოციალურ, საზოგადოებრივ ურთიერთობებს ადამიანებს შორის. სოციალურ ნორმებს ავტორი ანსხვავებს ტექნიკური ნორმებისაგან, რომლებიც, საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისით, „აწესრიგებენ ადამიანების დამოკიდებულებას ტექნიკასთან, ბუნებასთან“ (გვ. 6). აქვე ავტორი სოციალურ ნორმათა ერთობლიობიდან გამოჰყოფს სამართლებრივ ნორმებს და იძლევა ამ უკანასკნელთა განსხვავებას სხვა სოციალური ნორმებისაგან. ავტორის თქმით, ის უპირატესი ნიშან-თვისება, რომლითაც სამართალი განირჩევა სხვა სოციალური ნორმებისაგან, „მდგომარეობს სამართლის ნორმატულობის, ფორმალური განსაზღვრულობის და სავალდებულობის ისეთ მაღალ დონეში, რომელიც არ გააჩნია არც ერთ სხვა სოციალურ ნორმას“ (გვ. 7).

თ. ლილუაშვილი საგულდაგულოდ იკვლევს სამართლის როლის საკითხს სახალხო მეურნეობის მართვის დროს და არკვევს სამართლისა და პარტიის პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულებას ამ სფეროში. საყურადღებოა მისი დასკვნა, რომ პარტიის პოლიტიკა ჩაქსოვილია სამართლის ნორმაში. ამიტომ დაპირისპირება სამართლის ნორმისა პარტიის პოლიტიკასთან არ შეიძლება. „ის, ვინც არ ასრულებს ან არღვევს სამართლებრივი ნორმის მოთხოვნას პარტიული მოსაზრებებით, — დასძენს თ. ლილუაშვილი — სინამდვილეში ეწინააღმდეგება და არღვევს პარტიის პოლიტიკას, ვინაიდან სამართლის, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტის, თითოეული ნორმა არ შეიძლება შემუშავდეს ამ პოლიტიკის გაუთვალისწინებლად“ (გვ. 20).

წიგნის ამ ნაწილში ჩვენს ყურადღებას იპყრობს სამართლისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების საკითხიც. ავტორი ამტკიცებს, რომ „სამართლებრივი ნორმები უნდა შემუშავდეს ეკონომიკურ კანონზომიერებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათვალისწინებით“ (გვ. 26). წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლის ნორმა ვერ იქნება ეფექტიანი, ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას, ვერ შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი წარმოების ამაღლებას.

ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამართალს საზოგადოდ „ეკონომიკის წინსვლისა და განვითარების საქმეში“, მაგრამ აქვე გვაფრთხილებს, რომ ამ სფეროში „სამართლის როლის გადაფასება ისეთივე საშიშია, როგორც მისი შეუფასებლობა“ (გვ. 27). თ. ლილუაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „სამართალი უაღრესად ეფექტიანი ინსტრუმენტია სახელმწიფოს ხელში. მაგრამ იგი არ არის აბსოლუტურად უნივერსალური საშუალება, რომელსაც შეუძლია ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების შექმნა ან არსებული ურთიერთობების გარდაქმნა. სამართალს რომ ასეთი უნარი ჰქონდეს, მაშინ ყველა ნაკლი და სიძნელე, რაც ეკონომიკისა თუ რომელიმე სხვა სფეროში გვაქვს, შეიძლებოდა ადვილად აღმოგვეფხვრა შესაბამისი კანონებისა და დადგენილებების მიღებით“ (იქვე).

წიგნის მომდევნო, მეორე თავი, როგორც უკვე ვთქვით, მთლიანად კანონიერების პრობლემას ეძღვნება. უფრო ზუსტად, ეს თავი ეხება კანონიერების დაცვასა და გატარებას, რაც ავტორის სამართლიანი თქმით, „საზოგადოების წინსვლისა და განვითარების აუცილებელი პირობაა“. ამ თავის პირველი პარაგრაფი კანონიერების ცნებისადმია მიძღვნილი, ხოლო მეორე პარაგრაფში განხილულია კანონიერების დაცვის გარანტიები. წიგნის ეს ნაწილიც საინტერესოდ იკითხება. ავტორი აქაც და წიგნის სხვა ნაწილებშიც ამა თუ იმ მეცნიერული დებულების მეტი თვალსაჩინოებისა და დამაჯერებლობისათვის ხშირად იყენებს ჩვენი სამართლებრივი ცხოვრებიდან აღებულ მასალებს. ეს ცხოვრებისეული მასალები კიდევ უფრო ამდიდრებს და სიცოცხლისუნარიანობას ანიჭებს ავტორისეულ მსჯელობას.

